დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
ასავალ დასავალი
2023 წლის 19 - 25 ივნისი
N28 1492
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# მიშვალდებული ადგა!

7



4-5



„მე, 86 წლის ელიზბარ ჯაველიძე, სადაც გარეწარ ბექა ყორშიასა და მაგის აქოთებულ გუნდს გადავეყრები, აუცილებლად გავუსწორდები!“

# ბექა ყროლშია!

2



# შავი სახლი





10

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ აგვისტოს ომში სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების სამარცხვინო ქმედებათა შესახებ სრული და ერთადერთი სიმართლე თქვა!

# პოლიტიკური ჩათლახები







# თორნიკე რიჟვაძის წინააღმდეგ



8

ნაცსექტანტი ინვალიდი ტალახაძე პარლამენტის სხდომათა დარბაზის აივნიდან გადმოსაყრელი რუსული რუბლებით თავისნაირმა ინვალიდმა ხოშტარიამ ხომ არ მოამარაგა?

# აბაშიძის სიმართლე



მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ნაშიერები ირაკლი აბაშიძის შვილს წაესივნენ!

22



# გრიშა ონიანი:

თელავის ცენტრში, სადაც ერეკლე მეფის ქანდაკებაა, დაიდგას გალიაში გამომწყვდეული ლევან ბერძენიშვილის დაჩოქილი, შარვალჩახდილი და ენაგადმოგდებული ქანდაკება,

16



## რომელსაც ყველამ უნდა შეაფურთხოს!

# აი, ინვალიდი!

*მიუხედავად იმისა, რომ თეთრი ფერი სისუფთავის, სიწმინდისა და უმწიკვლობის სიმბოლოდ ითვლება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეზიდენციასა და კანცელარიას, რომელიც 1800 წლიდან ვაშინგტონის ცენტრშია განთავსებული, „თეთრ სახლს“ მხოლოდ შენობის ფერის გამო ეძახიან. აშშ-ის პრეზიდენტის რეზიდენციის სახელწოდება — „თეთრი სახლი“ არ უკავშირდება არც ანტიკურ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ თეთრი ფერი სულიერ უბრალოებას განასახიერებს და არც ქრისტიანულ მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც თეთრი ფერი ღვთიურ სინათლესთან კავშირის სიმბოლოა.*

**ხელი შეუწყვეს სისხლიან სამხედრო გადატრიალებას დამოუკიდებლობის გზაზე ახალშემდგარ საქართველოში.**

**პრეზიდენტ ბუშის** სიტყვები — **ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო,** სხვა არაფერი იყო, თუ არა **„შავი სახლის“** მიერ საქართველოს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებისათვის გამოტანილი პოლიტიკური განაჩენი, რომლის აღსრულებაშიც თავისი დიდი წვლილი კრემლმაც შეიტანა.

**აშშ-ის პრეზიდენტის რეზიდენცია საქართველოსათვის „შავ სახლად“ იქცა მაშინაც, როცა შიგ უმცროსი ჯორჯ ბუში ბინადრობდა, რომელმაც ანტიდემოკრატიული**



# „თეთრი სახლის“ „შავ სახლად“ ტრანსფორმაცია უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში არასოდეს ყოფილა ისეთი სავალალო, როგორიც არის დღეს, ჯო ბაიდენისა და მისი ადმინისტრაციის მმართველობის პირობებში!

# შავი

აღსანიშნავია ისიც, რომ **„თეთრი სახლი“,** შენობის სახელწოდების გარდა, ერთგვარ პოლიტიკურ მეტაფორასაც წარმოადგენს, რომლითაც აშშ-ის პრეზიდენტსა და მთავრობას მოიხსენიებენ. მაგალითად, როცა ამბობენ — **„თეთრი სახლის“** პოზიცია ასეთი და ასეთიაო, ან **თეთრი სახლის** გადაწყვეტილებით, ეს და ეს მოხდაო, აშშ-ის პრეზიდენტისა და მთავრობის პოზიციასა თუ გადაწყვეტილებას გულისხმობენ.

ეს დაახლოებით ისეა, როგორც პარტიისა და ლენინის შემთხვევაში იყო — ამბობდნენ პარტიას და გულისხმობდნენ ლენინს; ამბობენ **„თეთრ სახლს“** და გულისხმობენ ამერიკის ხელისუფლებას.

ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში არაერთხელ ყოფილა პერიოდი, როცა **„თეთრ სახლს“** ფერი უცვლია და **„შავ სახლად“** გადაქცეულა. ცხადია, ამაში შენობის ფერის ცვლილება არ იგულისხმება, არამედ საუბარია **პოლიტიკურ სიშავეზე,** რომელიც ზოგიერთი პრეზიდენტისა და მთავრობის მმართველობისას ამერიკას ერთიანად აბნელებს.

უფრო მეტიც — რაკი ამერიკა მსოფლიო ზესახელმწიფო და უდიდესი გეოპოლიტიკური მოთამაშეა, **„თეთრი სახლის“ „შავ სახლად“ გადაქცევა სხვა ქვეყნებზეც ავბედითად აისახება.**

მარტო საქართველოს მაგალითი რომ ავიღოთ, ჩვენი ქვეყანა, როგორც ამერიკის მოკავშირე და სტრატეგიული პარტნიორი, პირდაპირ საკუთარ ტყავზე გრძნობს და განიცდის ოკეანის გაღმა მომხდარ პოლიტიკურ მეტამორფოზას, როცა **„თეთრი სახლი“ „შავ სახლად“** გარდაიქმნება.

მაგალითად,

**აშშ-ის პრეზიდენტის რეზიდენცია ქართული სახელმწიფოსათვის „შავი სახლი“ იყო მაშინ, როცა იქ უფროსი ჯორჯ ბუში და მისი ადმინისტრაცია ისხდნენ, რომლებმაც, რბილად თუ ვიტყვით, ხელი არ შეუშალეს, რეალურად კი,**



**რეჟიმის შემქმნელი სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურად“ მონათლა და ამით მწვანე შუქი აუნთო ნაცბანდის თავაწყვეტილ პარპაშს, რამაც საქართველოს უხვად მოუტანა სისხლი და ცხედრები.**

ისიც კარგად გვახსოვს, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს, როცა რუსული არმადა სამაჩაბლოში შეჯლიგინდა, **„შავი სახლის“ ლიდერი ჯორჯ ბუში** რუსეთის იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრისა და ფაქტობრივი მმართველის **ვლადიმერ პუტინის** გვერდით იჯდა პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოსადმი **„შავი სახლის“** დახმარება წყლისა და პამპერსების გამოგზავნით შემოიფარგლა. **„შავ სახლს“** არც იმაზე შეუწუხებია თავი, რომ საქართველოს ოკუპაციის გამო რუსეთისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციები დაეწესებინა ისევე, როგორც ამას დღეს უკრაინის ომის ფონზე აკეთებს.

და მაინც, **„თეთრი სახლის“ „შავ სახლად“ ტრანსფორმაცია** უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში არასოდეს ყოფილა ისეთი თვალში საცემი და სავალალო, როგორიც არის დღეს, **ჯო ბაიდენისა** და მისი ადმინისტრაციის მმართველობის პირობებში!

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას, საქართველოსა და კავკასიის მთლიან რეგიონს „შავი სახლიდან“ წამოსული სიბნელე უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში არასოდეს მოსდებია ისე მძლავრად და საშიშად, როგორც ახლა, როცა **„ამერიკელ ჩერნენკოდ“ შერაცხილი, ფეხარეული და თითქმის ქმედუუნარო ბაიდენი** საკუთარ თავში ძალას მხოლოდ იმისათვის პოულობს, რომ ლიბერალიზმის დროშა აფრიალოს და ლგბტ იდეოლოგიის მთელ მსოფლიოში გავრცელება ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად გამოაცხადოს.

**„შავი სახლი“** დღეს არის მთავარი ლობისტი და დამფინანსებელი ტრადიციული ერების, ტრადიციული რელიგიებისა და თვითმყოფადი კულტურების წინააღმდეგ მიმართული გენდერული პროგრამებისა, რომლებიც ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, ბავშვებისათვის სქესის შეცვლის უფლების მინიჭებას, დედ-მამის ცნების მაგივრად „მშობელი ნომერი ერთისა“ და „მშობელი ნომერი ორის“ შემოღებას, ლგბტ პროპაგანდის ტოტალურ წარმოებას, ოჯახის ინსტიტუტისათვის ძირის გამოთხრასა და სხვა ათასგვარ სიბილწეს გულისხმობენ.

ყოველივე ამის კვალდაკვალ,

# საქართველოში „შავ სახლს“ პოლიტიკურად ყველაზე ბნელი და კუნაპეტი ფიგურა – კელი დეგნანი წარმოადგენს!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ვმუშაობთ კანონპროექტზე, რომლის მიხედვითაც **სუროგაცია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის იქნება დაშვებული.** უცხოეთის მოქალაქეებს ბიზნესად აქვთ ქცეული ეს საკითხი. ძალიან ბევრი რეკლამა ვრცელდება და **ჩვენს მოქალაქეებს, ქალბატონებს სთავაზობენ ე.წ. სარფიან ბიზნესს. შემდეგ არავინ არ იცის, აქ დაბადებული ბავშვი ვის გაჰყავს, რომელ წყვილს გაჰყავს, არსებობს ინფორმაციები, შეიძლება ერთნაირსქესიან წყვილებს გაჰყავთ აქ დაბადებული ბავშვები...** სხვა სირთულეებსაც გადააწყდა ჯანდაცვის სამინისტრო. **ამიტომ ამას სჭირდება რეგულირება.**

„ახალი თაობა“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**საერთოდ, არსებობს ოპოზიცია?** ერთადერთი, რითიც შემოიფარგლებიან, განცხადებებია ქვეყნის წინააღმდეგ. **ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოს სტატუსის მიღებაში ხელი შეუშალონ.**

„ახალი თაობა“

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**„ჰეფი მილში“** ბავშვებს სთავაზობენ და აწვდიან **ლგბტ პროპაგანდის შემცველ დოკუმენტაციას,** რაც არის ამ თემის შემოპარება და შეგუება პატარა ასაკიდან — **ეს არის დამაზიანებელი** და ამ ქვეყანაში ვერავინ ვერასდროს შეძლებს, **პროპაგანდას დაარქვას უფლებების დაცვა.**

„ინტერპრესნიუსი“

**ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში არაერთხელ ყოფილა პერიოდი, როცა „თეთრ სახლს“ ფერი უცვლია და „შავ სახლად“ გადაქცეულა...**



# სახლი

**„შავი სახლიდან“** გამოსული სიბნელე ნელ-ნელა ნთქავს ამერიკულ დემოკრატიას, რომელიც ბაიდენის ხელისუფლებამ ერთდროულად ჩააგდო სასაცილო და სატირალ დღეში. ამის მკაფიო ნიშანია თუნდაც **აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტისა და მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატის დონალდ ტრამპის** წინააღმდეგ დაწყებული სამართლებრივი დევნა, რომლის პოლიტიკური მოტივებიც ხელისგულზე დევს.

2023 წლის აპრილში მანჰეტენის ოლქის პროკურორმა **ტრამპს** ფინანსური დოკუმენტაციის გაყალბების ბრალდება ერთბაშად 34 მუხლით წაუყენა, ახლახან კი, იუსტიციის დეპარტამენტში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, კიდევ ერთი ბრალი დაუმატეს, რომელიც 7 მუხლისაგან შედგება და საიდუმლო დოკუმენტების არასათანადოდ გამოყენებას ეხება. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ 2023 წლის 9 მაისს მანჰეტენის ფედერალურმა სასამართლომ ტრამპი დამნაშავედ ცნო და 5 მილიონი დოლარით დააჯარიმა იმისათვის, რომ თითქოს 27 წლის წინათ — 1996 წელს — სავაჭრო ცენტრის გასახდელ ოთახში გამჭოლავ-შემავიწროებელი მზერა გააყოლა მწერალ ქალ **ჯინ კეროლს.**

დედამიწის ზურგზე ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადზე უცხადესია, რომ **დონალდ ტრამპის** წინააღმდეგ დაწყებული კამპანია ერთადერთ მიზანს ემსახურება — **ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტმა, რომლის მმართველობის დროსაც „თეთრი სახლი“ „შავ სახლად“** არ გადაქცეულა, 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში არ გაიმარჯვოს, ოთხი წლის წინათ ძალიან საეჭვო ვითარებაში დაკარგული ძალაუფლება არ დაიბრუნოს და წერტილი არ დაუსვას **კოლექტიური ბაიდენის ნეოლიბერალურ სიშლეგეს,** რომელმაც **„თეთრი სახლი“** ამერიკისა და მთელი მსოფლიოსათვის **„შავ სახლად“** აქცია.

სხვათაშორის, სიმბოლური და ნიშანდობლივია, რომ **„თეთრი სახლის“ „შავ სახლად“** გადამქცევ **ბაიდენსა** და მის ადმინისტრაციას მკვეთრად უპირისპირდება, აკრიტიკებს და ამხელს აშშ-ის პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი — **რობერტ კენედი უმცროსი,** რომლის ბიძა 60 წლის წინათ დალასში მოკლული **ჯონ ფიცჯერალდ კენედი** ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკური ფიგურაა, რადგან მისი პრეზიდენტობის დროს **„თეთრი სახლი“ „შავი სახლი“** არ გამხდარა.

**ამერიკის 35-ე პრეზიდენტის ჯონ კენედის ძმისშვილმა და ამერიკის იუსტიციის ყოფილი მინისტრის რობერტ კენედის შვილმა, უმცროსმა რობერტ კენედიმ** „შავ სახლში“ მოკალათებული **ბაიდენის ადმინისტრაცია** ღიად დაადანაშაულა იმაში, რომ ამერიკელ ხალხს უკრაინის ომის შესახებ სიმართლეს უმალავს. მისი განცხადებით, ამერიკის დღევანდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებები უკრაინაში ომის გახანგრძლივებისაკენ არის მიმართული, რადგან **ბაიდენის** ადმინისტრაციის მიზანს რუსული არმიის გამოფიტვა და პუტინის გადაყენება წარმოადგენს.

მოკლედ, **რობერტ კენედი უმცროსი,** დონალდ ტრამპისა არ იყოს, ღიად და გაბედულად ილაშქრებს **„შავი სახლის“** წინააღმდეგ, რაც გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ აშშ-ის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში რომელიმე მათგანის გამარჯვების შემთხვევაში, **„შავი სახლი“** ისევ **„თეთრი სახლად“** გადაიქცევა, ეს კი შვება იქნება არამხოლოდ ამერიკელი ხალხისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის და, მათ შორის, საქართველოსათვისაც.



**ნინო ლომჯარია**



**ეკა გიგაური**

**„თეთრი სახლის“ „შავ სახლად“ გადაქცევაზე თუნდაც მარტო ის მეტყველებს, რომ საქართველოში ამერიკის საელჩოსა და ელჩის მთავარ დასაყრდენს ნინო ლომჯარიასა და ეკა გიგაურის დარი ყოვლად უავტორიტეტო ლიბერალი „ენჯეოშნიკები“ წარმოადგენენ!**

საერთოდ, ძნელია, მსოფლიოში მოძებნო მეორე ქვეყანა, რომელსაც **ბაიდენის ადმინისტრაციის** მიერ **„თეთრი სახლის“ „შავ სახლად“** გადაქცევა ისე მძიმედ შეეხო, როგორც საქართველოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოში **„შავ სახლს“** პოლიტიკურად ყველაზე ბნელი და კუნაპეტი ფიგურა — **კელი დეგნანი** წარმოადგენს, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ ქართველი ხალხის მეხსიერებაში **ნინო ლომჯარიას დაქალად** დარჩება.

სხვა თუ არაფერი, **„თეთრი სახლის“ „შავ სახლად“** გადაქცევაზე თუნდაც მარტო ის მეტყველებს, რომ საქართველოში ამერიკის საელჩოსა და ელჩის მთავარ დასაყრდენს **ნინო ლომჯარიასა და ეკა გიგაურის** დარი ყოვლად უავტორიტეტო ლიბერალი „ენჯეოშნიკები“ წარმოადგენენ!

შეიძლება ითქვას,

**საქართველო, ევროპის ბევრი სახელმწიფოს მსგავსად, ისეთივე გულის ფანცქალით ელოდება „შავი სახლის“ კვლავ „თეთრ სახლად“ გადაქცევას, როგორც ვატიკანში, წმინდა პეტრეს მოედანზე, შეკრებილი კათოლიკეები – სიქსტეს კაპელას საკვამურიდან თეთრი ბოლის ამოსვლას, რაც იმის ნიშანია, რომ კარდინალთა კონკლავმა ახალი რომის პაპი აირჩია.**

**არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ვაშინგტონის „შავი სახლიდან“ პოლიტიკური „თეთრი ბოლის“ ამოსვლა დღეს მთელ მსოფლიოს ისე სჭირდება, როგორც არასოდეს უახლესი ისტორიის მანძილზე!**

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ბავშვებთან **ლგბტ პროპაგანდის ჩატარება გამაოგნებელი და კატეგორიულად მიუღებელია** საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის საქართველოში.

„რეზონანსი“

**გიგლა ბარამიძე**
*პოლიტიკოსი, დიპლომატი*



**რასა, რასაა რომ უბნობ?** ან რას ემსახურება რასა იუკნავიჩიენეს ბერწი ზმანებანი და **სააკაშვილის** მორიგი ნატვრა-ცუნდრუკი — **დამაბრუნეთ ქართულ პოლიტიკაშიო...** ჰოდა, ნუ მოაღორებთ, ნუ დაჩაგრავთ, ნუ ჰკრავთ ხელს, აუსრულეთ გულისნადები — დააბრუნეთ, მყისიერად და ნარნარად ქართულ ციხეში, სადაც მისი ერთადერთი საბუდარია!

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**მივმართავ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს:** თქვენ საქართველოში, მართალია, საპატიო დიპლომატიური მისიით ბრძანდებით და გიდასტურებთ პატივისცემას, მაგრამ **არ დაგავიწყდეთ, რომ სტუმრები ხართ!** იმედს ვიტოვებ, **ლგბტ თემას, ევროკავშირის წევრის სტატუსის მინიჭების პროცესში, შანტაჟის კიდევ ერთ იარაღად არ გამოიყენებთ** და თუ მაინც შეეცდებით, საზოგადოებისგან პასუხი იქნება შესაბამისი!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დიტო სამხარაძე**
*პარლამენტარი*



ევროპული ღირებულებები ბევრად შორსაა იმ რეალობისგან, რასაც **გლობალური ომის პარტიის აგენტები თავს გვახვევენ** — 12 პუნქტი შესრულებულია!

„აიპრესი“

***იმ სიბილწის, სიბინძურისა და ყროლის მასშტაბი, რომელიც წინა კვირას „ჟურნალისტად“ წოდებულმა საყურიანმა კონჩიტამ ბექა ყორშიამ სააკაშვილის ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“ ეთერში დაახვავა, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ცნობილი ხალხური სიბრძნის უტყუარობას — ერთი და იგივე ხისგან სალამურიც გამოითლება და შიბაქიცო!***

# ბექა ყროლშია!



ჩვენ არ ვიკადრებთ იმ პროვოკაციის დეტალურად განხილვას, რომელიც **პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა** და **მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ, აკადემიკოს როინ მეტრეველის** დისკრედიტაციის მიზნით 2023 წლის 11 ივნისს **ყორშიას** მოაწყობინეს. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ მართლაცდა **უკანალმოფამფალებული საყურიანი შიბაქის მდგომარეობა,** რომელიც მშვენიერ ქართულ გვარს არცხვენს, ამიერიდან უნდა გამოიხატოს ორიოდე სიტყვით — **ბექა ყროლშია!**

რაც ჩაადენინეს და რა დავალებაც შეასრულებინეს, ამის გამო საყურიანი ბექა თავიანფეხებიანად მართლაც **ყროლშია.** დარწმუნებული ვართ, მომხდარის გამო **ყორშიების** გვარის ღირსეული წარმომადგენელი, ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი, აწ განსვენებული **თემურ ყორშია** საფლავში ტრიალებს. **მკითხველს შევახსენებთ, რომ მამუკა ხაზარაძისა და თემურ ჭყონიას ბიზნეს-პარტნიორი, რომელმაც აგვისტოს ომის დროს უკმაყოფილება არ დამალა და ზუგდიდიდან გაძუძგული როლანდ ახალაია, ზაზა გოროზია, ალიკა ქობალია და მთელი ნაცსაძალლეთი სააკაშვილიანად „მოიკითხა“, ნაცებმა მიზანში ამოიღეს, ფულების შეწერა დაუწყეს, ყველაფერი წაართვეს, ქვეყნიდან გააქციეს და საერთაშორისო ძებნილად გამოაცხადეს.** ყაჩაღ-ბანკირმა **მამუკა ხაზარაძემ** და უკვე გაცხადებულმა გეი-აქტივისტმა **თემურ ჭყონიამ,** როგორც მათი ზნე და წესია, დრო მოიცეს და საქართველოდან განდევნილი ბიზნეს-პარტნიორი პირწმინდად გაძარცვეს. ამის შესახებ გარდაცვლილი ბიზნესმენის მეუღლესა და ვაჟს „ასავალ-დასავალისთვის“ დეტალურად აქვს მონათხრობი.

სააკაშვილის მიერ შერისხული **თემურ ყორშია** 2011 წლის 27 იანვარს მოსკოვში დააპატიმრეს, ხოლო 25 მარტს ციხის საკანში **გაურკვეველ ვითარებაში** გარდაცვლილი იპოვეს. საქართველოში ჩამოსვენებულ ბიზნესმენს სხეულზე ჭრილობების კვალი აღენიშნებოდა, რაც იმის უტყუარი მტკიცებულება გახლდათ, რომ ყორშია მოსკოვის ციხეში სწორედ სააკაშვილის დაკვეთით აწამეს და მოკლეს! **ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან სააკაშვილის, როგორც ორმაგი აგენტის დაკვეთებსა და სურვილებს მოსკოვში ზედმიწევნით ასრულებდნენ და ნაცფიურერის დღეგრძელობაზე ზრუნავდნენ და დღესაც ზრუნავენ.** ამის შესახებ კიდევ ერთხელ ამ ბოლო დროს გახდა ცნობილი, როცა სააკაშვილის მოძღვარი, **მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილი** მოსკოვიდან ჩამოვიდა და **მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კირილის** დანაბარები გაახმოვანა — **ჩვენ ბატონი მიხეილისთვის ვლოცულობთო!**

**ბექა ყორშიას** რომ ღირსების ნატამალი ჰქონდეს, სწორედ **თემურ ყორშიას** მკვლელობის საქმეს გამოიძიებდა, მაგრამ კაცს, რომელსაც ყურის ბიბილოებთან ერთად სინდის-ნამუსი და ყველაფერი გახვრეტილი აქვს, რა უნდა მოჰკითხო და შეაგონო?

ზემოთ ვთქვით, ამ სამარცხვინო საქმის დეტალების ქექვას არ დავიწყებთ-მეთქი, მაგრამ მთელმა ქვეყანამ ნახა, რომ **83 წლის მხცოვან მეცნიერსა და დიდ ქართველ ისტორიკოსს, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილისა და შოთა მესხიას ბრწყინვალე თანავარსკვლავედში სამართლიანად დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი, სწორედ ტუტრუცანა ბექა ყროლშიამ დაურეკა, ირაკლი ღარიბაშვილის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად გაეცნო და იქედნეს მანჭვაგრეხით სთხოვა — კარგი იქნება, თუ ბატონ ირაკლის აკადემიკოსობას მივანიჭებთო!** ბატონმა როინმა ამ მართლაცდა სინდისგახვრეტილ ყროლშიას, რომელიც წყეულ ნიკუტა გვარამიასთან სწორი ნაწლავით და კიდევ სხვა რამეებით იყო მიერთებული, დიპლომატიურად და მამაშვილურად ჰკითხა — **მერედა, პრემიერს აკადემიკოსობა რომ მივანიჭოთ, ამით ბატონ ირაკლის დათვურ სამსახურს ხომ არ გავუწევთო?**

აკადემიკოს **როინ მეტრეველს** ამ უგვან და საყურიან პროვოკატორთან სატელეფონო საუბრისას არც ის დაუმალავს, რომ აღნიშნული საკითხის პრესისთვის მიჩუმათება, რასაც გარეწარი **ყროლშია** ასე დაჟინებით და ფარისევლურად ითხოვდა, არაფრით გამოვიდოდა, რადგან პიროვნების აკადემიკოსად არჩევას თავისი პროცედურები აქვს. ამის მიუხედავად, **ათასგზის გახვრეტილი და გამოხვრეტილი ყროლშია** მხცოვან აკადემიკოსს პირდაპირ უჩხიკინებდა და პროვოცირებას ცდილობდა — **პრემიერს აკადემიკოსობა ძალიან სჭირდებაო!**

მოკლედ, **გეი-აგენტურამ და სააკაშვილის სამყაყეთმა,** რომლებიც მეცნიერებათა აკადემიის გაუქმებას ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის დროს გეგმავდნენ, ერთი ვაი-უშველებელი და ღრიანცელი ატეხეს — **არიქა, მეცნიერებათა აკადემია და**






**ბექა ყროლშიას მიერ აყროლებულ ავანსცენას კიდევ ერთი ფიგურანტი შეემატა – ისევ და ისევ ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“ ჩიტკორი დეა მამისეიშვილი...**





ლაშა ყორშია:
მყავს ოქროს მოწმეები, რომლებიც ძალიან ბევრ ინფორმაციას ფლობენ თემურ ჭყონიასა და მამუკა ხაზარაძეზე!

„სიმართლეს სრულად რომ ვიტყვი, დამიჯერეთ, მერე კიდევ უფრო კარგად დაინახავს საზოგადოება, რა ნაძირალა არის ვითომ ნარმაგებული ბიზნესმენი თემურ ჭყონია!“

„წინა ი... გახარიას, რ... მინისტრ... როგორ...“

**ბექა ყორშიას რომ ღირსების ნატამალი ჰქონდეს, სწორედ თემურ ყორშიას მკვლელობის საქმეს გამოიძიებდა, მაგრამ კაცს, რომელსაც ყურის ბიბილოებთან ერთად სინდის-ნამუსი და ყველაფერი გახვრეტილი აქვს, რა უნდა მოჰკითხო?**

## კვირგვინოსნები

**სვიმონ მასხარაშვილი**
*ისტორიკოსი*



ვინც **როინ მეტრეველს** პროვოკაციებს უწყობს და ებრძვის, **ის ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის მგმობელი და მტერია!**

„ჯორჯიან თაიმსი“

**ირაკლი ბათიაშვილი**
*პროფესორი, ფილოსოფოსი*



**კონსერვატიზმის არსი** ყველაზე ზუსტად ჩვენმა **დიდმა ილიამ** სამ სიტყვაში გამოხატა — **მამული, ენა, სარწმუნოება.** ამიტომ ვართ ჩვენ კონსერვატორები.

„საერთო გაზეთი“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი*



**განათლების სისტემა ისეთ ცუდ დღეშია,** მშობელმა შვილი რეპეტიტორთან რომ არ წაიყვანოს, ეროვნულ გამოცდას ვერ ჩააბარებს და **ამ დროს დიდი თუ პატარა სააკაშვილის კუჭის მოქმედებაზე მსჯელობდა.**

„კვირის პალიტრა“

**არმაზ ახვლედიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



როცა **კულტურას მართავს შავრაზმელი კომისარი,** სახელად **თეა წულუკიანი,** რა თქმა უნდა, ის გვჭირს, რაც გვჭირს — მცდელობა, **კულტურა პოლიტიკას დაუმორჩილო,** მაჩვენებელია იმის, რა შავ დღეში ვართ.

„ინტერპრესნიუსი“

**კობა სუბელიანი**
*ლტოლვილთა და განსახლების ყოფილი მინისტრი*



საჯარო სკოლები უნდა **გაკერძოვდეს,** ანუ უნდა **გაიყიდოს და გახდეს ფასიანი.**

„ალია“



## იმედია, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი და სახელოვანი თავგადასავალი ნამუსგახვრეტილ ბექა ყროლშიაზე არ გაჩერდება და მომავალი დროის ქართველები ნამუსიანად გააგრძელებენ ჩვენი ქვეყნის იმ გმირულ ისტორიას, რომელიც აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა უკვე დაწერა!

## „ამ ნაძირალებმა როინ მეტრეველი რომ შეაქონ, ნამდვილად სირცხვილი იქნება!“

# ელიზბარ ჯაველიძე:

# მე, 86 წლის კაცი, სადაც გარეწარ ბექა ყორშიასა და მაგის აქოთებულ გუნდს გადავეყრები, აუცილებლად გავუსწორდები!

***ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ბოლო დროს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ეხმიანება და აცხადებს, რომ აკადემია დიდ სიურპრიზს ამზადებს:***



— იმ ე.წ. „ჟურნალისტებმა“, რომლებიც თავიდან ბოლომდე გარეცხილი არიან სინდის-ნამუსისგან, წიგნი არ წაუკითხავთ, სამშობლოს სიყვარულის განცდა არა აქვთ, ეკლესიას შეურაცხყოფენ, მშობლებს პატივს არ სცემენ და მთლიანად დემორალიზებული არიან, ბატონი **როინ მეტრეველიც,** მეც და ყველა, ვინც დღეს მეცნიერებათა აკადემიას წარმოადგენენ, ცხადია, უნდა გვლანძღონ! **ამ ნაძირალებმა როინ მეტრეველი რომ შეაქონ, ნამდვილად სირცხვილი იქნება!** ამდენად, ამ უნამუსო და უსამშობლო ხალხის მიერ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ლანძღვა-გინება და უსამართლოდ განქიქება ჩვეულებრივი ამბავია და არ მიკვირს!

**— ვინმე ბექა ყორშიას, რომელმაც ბატონი როინ მეტრეველისა და პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ პროვოკაცია მოაწყო, რას ეტყვით?**

— **საყურიან ბექა ყორშიას ვურჩევ, საყურესთან ერთად დაიკიდოს ორი ბოქლომიც, ერთი — პირზე, ხოლო მეორე — უკანალზე!** ყორშია, ქვეყანას ნუ აყროლებ, თორემ შენს ნაგავში დაიხრჩობი! ახლა გაავრცელეს ჭორები, თითქოს **ბატონი როინის** შვილიშვილები ემუქრებიან მაგ ნაძირალას... ვიცნობ ბატონი როინის შვილიშვილებს, ისინი შესანიშნავი ქართველები და ღირსეული ახალგაზრდები არიან და არავის ემუქრებიან. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდებს მაინც ვურჩევ, თავი შეიკავონ და ამ ნაძირალას არ აყვნენ! **მაგრამ მე, 86 წლის კაცი, სადაც გარეწარ ბექა ყორშიასა და მაგის**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

**მისი პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი აკადემიკოსობას არიგებენო!**

მეორე დღეს **ბექა ყროლშიას** მიერ აყროლებულ ავანსცენას კიდევ ერთი ფიგურანტი შეემატა — ისევ და ისევ **ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“ ჩიტკორი დეა მამისეიშვილი,** რომელიც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობაში მიკროფონით მიიჭრა, აკადემიკოს **როინ მეტრეველს** დაურეკა და რა დაწესებულებაშიც მუშაობს, პირიდან სწორედ იმის შესაფერისი სიტყვები ამოუშვა.

**მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია** რომ ცოცხალი ყოფილიყო, ნანა თვალაბეიშვილის აღვირახსნილ შვილს — დეა მამისეიშვილს ამ უღირსი საქციელის გამო თავში უსათუოდ ტროსტს ჩაჰკრავდა და მოღრეცილ ტვინს შეუნჯღრევდა, რათა ამ გზით მაინც ჩაესვა ტვინი ბუდეში... მჯერა, ასე მოიქცეოდა მისი ღირსეული ბაბუა, ბიძაჩემის უახლოესი მეგობარი აწ განსვენებული **ძუკუ თვალაბეიშვილიც,** რომელიც დედულეთში არაერთხელ მინახავს გაშლილი სუფრის თავში ორმეტრიანი ყანწით ხელში.

სამწუხაროდ და საუბედუროდ, **ბატონი ძუკუს შვილიშვილმა — დეა მამისეიშვილმა** ხელში **ორმეტრიანი მიკროფონი** დაიჭირა, ხოლო დედამისი — **ნანა თვალაბეიშვილი** იმ ელისტრაკო კილაძის უახლოესი მეგობარი და დაქალია, რომელიც ცილისწამებით განთქმულ ბინძურ გაზეთს რედაქტორობს.

ასე რომ, აწ განსვენებულ **ძუკუ თვალაბეიშვილს,** რომელიც ვანის რაიონის სოფელ შუა გორაში, ჩემს ძვირფას დედულეთში, ბიძაჩემის ოჯახში, საქართველოს სადღეგრძელოს სულმოუთქმელად სვამდა და შავ ულვაშებზე ხელს თავმომწონედ ისვამდა, საშინლად არ გაუმართლა, რადგან დღეს მისი შვილიშვილი — **დეა მამისეიშვილიც,** ყველგან გახვრეტილი და საყურიანი ბექას მსგავსად, **ყროლშია!**

ცნობილია, რომ **გალაკტიონი, მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, გოგლა ლეონიძე** პოეტი-აკადემიკოსები იყვნენ! მათ ეს აღმატებული სტატუსი ქართველმა ერმა ქართული სიტყვის მსახურებისთვის და იმ ტიტანური შრომისთვის მიანიჭა, რამაც ენა ქართული სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანა. **მაშინ ჩვენი მწერლობა კალმით იბრძოდა საქართველოს გადასარჩენად, ხოლო დღეს ირაკლი ღარიბაშვილს პირდაპირი ომი აქვს ჩვენს ე.წ. „დაუძინებელ მეგობრებთან“, რათა საქართველო გლობალურ ომსა და უკრაინის ჯოჯოხეთს აარიდოს და ქვეყანა სცილასა და ქარიბდას შორის მშვიდობით გამოატაროს!**

ვფიქრობთ, საქართველოს გადარჩენისთვის ირაკლი ღარიბაშვილი აკადემიკოსობას მართლაც იმსახურებს! **დღეს ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს არამარტო გარეული, არამედ შინაური მტრებისგან იცავს და ეს უკანასკნელნი არაფრით არიან იმ გარეწრებზე უხიფათონი, რომლებიც მსოფლიო საბანკო სისტემას, ეკონომიკას, ზღვას, ხმელეთს, კოსმოსს აკონტროლებენ და პატარა საქართველოს უჩიჩხინებენ — მეორე ფრონტი გახსენითო!**

სულმნათი გალაკტიონი წერდა — ყოველ ნიჭზე ძლიერი ქვეყნის დაცვის ნიჭიაო.



## საქართველოს გადარჩენისთვის ირაკლი ღარიბაშვილი აკადემიკოსობას მართლაც იმსახურებს!

ამ მხრივ ირაკლი ღარიბაშვილი მართლაც გამორჩეული ნიჭის პატრონია, რადგან თავგამოდებით იცავს ერთ ციდა სამშობლოს, რომელსაც ბოროტმა და გაქსუებულმა ბიძიებმა არაერთხელ მოატეხინეს კისერი, როცა გამძვინვარებულ რუსეთის იმპერიას შეგვახეთქეს!

ერთი სიტყვით, **ბექა ყროლშია და უნდა, მთელი საქართველოააყროლოს!**

იმედია, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი და სახელოვანი თავგადასავალი ნამუსგახვრეტილ **ბექა ყროლშიაზე** არ გაჩერდება და მომავალი დროის ქართველები ნამუსიანად გააგრძელებენ ჩვენი ქვეყნის იმ გმირულ ისტორიას, რომელიც აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა** უკვე დაწერა!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**პეტრე მამრაძე**
*პოლიტოლოგი, მეცნიერი*



**ივანიშვილის ფულით** გატარდა ყველა ის რეფორმა, რაც **სააკაშვილის** ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განხორციელდა: **არმიის, პოლიციის, თანამედროვე საბაჟოების მშენებლობა** და ა.შ. **ივანიშვილმა** რუსეთში ფული იშოვა 90-იან წლებში და წინდახედულად დატოვა ეს ქვეყანა, სანამ **პუტინი** ხელისუფლებაში მოვიდოდა. **მას მერე იგი რუსეთში აღარც ჩასულა.**

„საერთო გაზეთი“

**დავით საყვარელიძე**
*თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეჟისორი*



თეატრმა ბევრ სიძნელეს გაუძლო, ქართული კინო ჩაკვდა, **„ჩემი ცოლის დაქალები“** არის მათი „შედევრი“. ფილმები ხომ არ შეიძლება იყოს **მხოლოდ სექსზე და ჭამაზე.** და ამ სექსსაც გაუკულმართებულად გვიჩვენებენ. მოვუწოდებ ახალგაზრდობას, **ქართული კლასიკა იკითხონ, ნუ უყურებენ ამ მდარე ხარისხის სერიალებს.**

„ალია“

**ვაჟა ბერიძე**
*ექსპერტი*



ხელისუფლების პრობლემაა, რომ **ვერ გამოინახა რესურსი, ადამიანები შეიკრიბონ და ანალიტიკური საქმიანობა აწარმოონ,** შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ ველოდებით **ვილაც მიკლუხო მაკლაის,** რომელიც ჩამოვა ჩვენთან და **დაგვარიგებს ჭკუას პაპუასებს.**

„თბილისელები“

**ვიქტორია სირაძე**
*საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*



**რუსეთის კოლონია ვიყავითო... მე ასე არ ვთვლი!** ქართველ ნიჭიერ ხალხს ზედ დაჰკანკალებდნენ... **საქართველო იმდროინდელმა სტუდენტობამ ააშენა,** რომლებიც ომის შემდგომ ქვეყანას ინჟინრების სახელით მოევლინნენ... საქართველო ყოველთვის ცენტრი იყო, **აზერბაიჯანი და სომხეთი ჩვენ შემოგვყურებდნენ.** რუსეთს ამიტომ სჭირდება საქართველო, რადგან ამიერკავკასიაში საქართველო ყველაზე დიდი საყრდენი იყო.

„კვირის პალიტრა“



**ელიზბარ ჯაველიძე:**

# მახსოვს, მიშა მარჯვენა ხელით რომ „მუშაობდა“... კადრებიც არის, გადაღებულია ყველაფერი!

**მსჯავრდებულ სააკაშვილის 2023 წლის 16 ივნისის ფეისბუქ-პოსტიდან**

Mikheil Saakashvili
21 სთ ·

დაიწყეს უკვე „ოცნების თამაში“, „ორპოლუსიანობა ბიძინას აწყობს“ და ა.შ. სწორედ ესაა ოლიგარქის ნარატივი. მერე ვინ გიშლით ხელს - შექმენით მეორე, მესამე, მეხუთე პოლუსი და გაანძრიეთ ხელი. მე პრაქტიკულად ხელფეხშეკრული ვარ. ...ნდა წავიდეთ და ... გავერთიანდეთ თემატურად მაგალითად კიხოცენტრის თემაზე, სამედიცინო რეგულაციების თემაზე, მიგრაციის საკითხებზე.

**გაანძრიეთ ხელი.**

*დასაწყისი მე-5 გვერდზე*

**აქოთებულ გუნდს გადავეყრები, აუცილებლად გავუსწორდები!**

არაერთხელ მითქვამს და ვიმეორებ: ესენი არიან საქართველოს გამოკვეთილი მტრები და ამ ხელისუფლებას ვემდური, რომ ამ გარეწრებს კანონის მიხედვით არ სჯის! **ყორშიასა და მისთანა მოღალატეებისთვის ტყვიას როგორ გავხარჯავ?! ესენი უნდა ჩაიქოლონ!**

## ნაცები ფაშისტებზე უარესები არიან. ფაშისტები დიდი გერმანიის შექმნაზე ოცნებობდნენ და საკუთარი ქვეყნისთვის თავს სწირავდნენ, ხოლო ნაცები მხოლოდ იმას ფიქრობენ, საქართველოს რაავნონ!

არ შეიძლება, 83 წლის კაცს ასე ელაპარაკო, არ შეიძლება მეცნიერებათა აკადემიას ასეთი პროვოკაცია მოუწყო, რადგან ეს სიბრძნის სახლია, ქართული ეროვნული კულტურის უდიდესი კერაა, განათლების ცენტრია, პატრიოტიზმის ქვაკუთხედია... **მაგრამ ვის ველაპარაკო და რა ვურჩიო, როცა ნაძირალა ყორშიასა და მის პატრონებს განათლება, მეცნიერება და პატრიოტიზმი ფეხებზე ჰკიდიათ? ესენი არიან ჭაობიდან ამომძვრალი ბაყაყები, რათა თავიანთი ყიყინით მოსახლეობა გააღიზიანონ.** ახლა მეცნიერებათა აკადემიიდან გესაუბრებით და აკადემიას არ ვკადრებ უწმაწურ სიტყვებს, თორემ ესენი დედის გინების ღირსი არიან!

**— რაც ყორშიამ ჩაიდინა და მოაწყო, მგონი, ეს პროვოკაცია ბატონ როინთან ერთად ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგაც იყო მიმართული!**

— რა თქმა უნდა! ეს იდიოტები ბატონი ირაკლის ოჯახის, მისი შვილების, სიმამრის, მამისა და ახლობლების წინააღმდეგ ყოველთვის რაღაცას ხლართავენ. ზვიად გამსახურდიას შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი არის ერთადერთი ხელისუფალი, რომელიც საქართველოზე ზრუნავს! ღარიბაშვილი, როგორც პოლიტიკოსი და ეროვნული მოღვაწე, თვალსა და ხელს შუა გაიზარდა.

## ირაკლი ის კაცია, რომელმაც მთელი ევროპა შემოიარა და საქართველოს ისტორიის ჭრილში ევროპას უქადაგა, თუ როგორ ესახება და წარმოუდგენია ქრისტიანული ევროპის მომავალი. ჩვენ კი არ გვჭირდება

## „რომ არა ბიძინა, მიშასა და „მიხუინებს“ აქედან ვერ გავაგდებდით!“



**ევროპა, ევროპას სჭირდება საქართველო!**

**— მაინც როგორ გამოიყურება იმ პროვოკაციის კულისები, რაც ბატონ როინს მოუწყვეს?**

— ეს გარეწრები სხვანაირად აბრუნებენ ყველაფერს, თორემ **ბატონმა როინმა** იმ სატელეფონო საუბრის დროს გარკვევით თქვა — **ჩვენ, აკადემია, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ ისე არ გავაკეთოთ, რომ პრემიერ-მინისტრს დათვური სამსახური გავუწიოთო!** როცა ეს საგიჟეთი გადაივლის და თითოეული ქართველი თავისი ქართველობით ისე იამაყებს, როგორც **ირაკლი ღარიბაშვილი** ამაყობს, ჩვენ, მეცნიერებათა აკადემიას, მომზადებული გვაქვს ერთი დიდი სიურპრიზი, რომელსაც აუცილებლად გავახმაურებთ!

**— მაინც რა სიურპრიზია?**

— ჯერჯერობით ამაზე ლაპარაკის უფლება არ მაქვს! შვიდი წლის ვიყავი, საქართველოს, როგორც სამშობლოს რომ აღვიქვამდი. სამშობლოს სიყვარულის გრძნობა მერე და მერე კიდევ უფრო გამიმძაფრდა. ამ გრძნობით დავამთავრე სკოლა, ამ გრძნობით დავამთავრე უნივერსიტეტი, ამ გრძნობით ვიდექი სულგანათლებული ზვიად გამსახურდიას გვერდით. მაგრამ ადამიანი ცას ვერ გამოეკიდება და **არ მინდა, ამ ქვეყნიდან ისე წავიდე, ჩვენი ქვეყანა და ხალხი არ გაუსწორდეს ამ მტრებს, ვისაც ჩვენი სამშობლო ეზიზღება.**

ვაცხადებ: ამათ ჩვენ პირდაპირ უნდა გავუსწორდეთ და ქვეყნიდან განვდევნოთ, თორემ საქართველოს დაღუპავენ! თქვენ ზემოთ კულისების შესახებ მეკითხებოდით, მეტი რაღა კულისები გინდათ, როცა მეცნიერებათა აკადემიის დანგრევის მოსურნე და ქართული განათლების სისტემის მესაფლავე **კახა ლომაია** ტელევიზიით ისევ გამოდის და ჭკუას გვარიგებს? ლომაია ამერიკაში უნდა ეთრიოს, საქართველოში ფეხი არ უნდა დაადგას!

**— აშკარაა, რომ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ბატონი როინ მეტრეველის არჩევა ვიღაცებს ყელზე დაადგათ!**

— ცხადია! **აკადემიაშიც გვყავს ერთი-ორი ისეთი კაცი, რომელიც მშობლიურ მიწას მოწყვეტილია და უგზოუკვლოდ დაფარფატებს.** თუ გადავხედავთ ბატონი როინის შემოქმედებას, დავრწმუნდებით, რომ ეს კაცი საქართველოს ისტორიის დიდი გულშემატკივარია და საქართველოს სიყვარულით აქვს დაწერილი და შექმნილი ყოველივე. ექვთიმე თაყაიშვილის თოთხმეტტომეული, „მეფე თამარ“, „მეფე დავით“, „ბაგრატიონები“, „ქართული დიპლომატიის ისტორია“, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, უამრავი სამეცნიერო ნაშრომი, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. **ბატონი როინი დიდი მეცნიერი, შესანიშნავი პიროვნება და აკადემიის ღირსეული პრეზიდენტია!**

**— ვანო კილურაძემ ბატონ როინს მხარი დაუჭირა? ყორშიას მიერ მოწყობილი პროვოკაციის უკან მის საცეცებსაც ხომ ვერ ხედავთ?**

— **ვანო კილურაძემ** გამოგვიგზავნა თავისი აზრი — **ბატონი როინ მეტრეველის აკადემიის პრეზიდენტად არჩევა არ შეიძლებაო!**



## „საყურიან ბექა ყორშიას ვურჩევ, საყურესთან ერთად დაიკიდოს ორი ბოქლომიც, ერთი – პირზე, ხოლო მეორე – უკანალზე!“

— რატომ არ შეიძლებაო?
— იმიტომ, რომ

## ვანო კილურაძისთვის მთავარია არა სამშობლო და მეცნიერება, არამედ პირადი კეთილდღეობა! როინ მეტრეველი არის ეროვნული კაცი, ხოლო კილურაძე – კარიერისტი!

როცა კილურაძე პარლამენტის წევრი იყო, რაც შეეძლო, აკადემია დააზიანა და თავისი წესები დააწესა. რამდენჯერ დავწერე და კიდევ გავიმეორებ: **1995 წლის არჩევნებში ჩვენმა საარჩევნო ბლოკმა — „კონსტანტინე გამსახურდია — ოცდამეერთე საუკუნეში“ ხმების თხუთმეტი პროცენტი მიიღო. შევარდნაძე მაშინ ისრაელში იყო, ჩამოვიდა იქიდან, დაუძახა ვანო კილურაძეს, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გახლდათ, გაგვიყალბა ხმები, ჩამოგვაკლო პროცენტები და მერე მეცნიერებათა აკადემიის კორიდორებში ტრაბახობდა — ისლა გვაკლდა, ზვიადისტები პარლამენტში შეგვეშვაო!** მაშინ რთული დრო იყო, მაგრამ დღეს კიდევ უფრო რთული დროა, რადგან რუსეთს ებრძვის არა უკრაინა, არამედ მთელი მსოფლიო. რამდენჯერაც რუსეთს ვეომეთ, დავრჩით მარტო, კაციშვილი გვერდით არ დაგვიდგა და დავკარგეთ ტერიტორიები. რაღაციდან დასკვნა ხომ უნდა გამოვიტანოთ? ამიტომ, რასაც დღეს **ირაკლი ღარიბაშვილი** აკეთებს, როცა ქვეყანა დანის პირზე მიჰყავს, რათა სამშვიდობოს გაიყვანოს, არის გმირობა.

**— ხომ არ გეგმავს მეცნიერებათა აკადემია ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრას?**

— ჩვენ კი ვგეგმავთ, მაგრამ თვითონაც უნდა მოინდომოს! (იცინის) თუმცა, როგორც ვიცი, ბატონი ირაკლიც აპირებს ჩვენთან შეხვედრას. იმედი მაქვს, ჩვენ შორის გულწრფელი საუბარი შედგება. მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ის არის, რომ იყოს მთავრობის მრჩეველი. **სულელი სააკაშვილის დროს საერთოდ გაუქმებას უპირებდნენ აკადემიას და ბიძინა ივანიშვილმა გადაგვარჩინა. მთელი ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში სწორედ ბატონი ბიძინა გვიხდიდა ხელფასს — 1000-ლარიან დანამატს, რაც მაშინ ჩვენთვის ბევრ რამეს ნიშნავდა.** ისტორიაში არ მეგულება ადამიანი, რომელსაც, ბიძინა ივანიშვილის მსგავსად, თავისი ხალხისთვის მილიარდები ეჩუქებინოს! რომ არა ბიძინა, მიშასა და „მიხუინებს“ აქედან ვერ გავაგდებდით!

**— სააკაშვილი ახსენეთ და, თურმე, საავადმყოფოში ბიჭი გაუკეთებია! არადა, ქვეყანა გადააყრუეს — კვდება, კვდებაო!**

— მახსოვს, მიშა მარჯვენა ხელით რომ „მუშაობდა“... კადრებიც არის, გადაღებულია ყველაფერი! დიახ, სააკაშვილს აჭარაში გადაუღეს, როცა ტექნიკურად „ხელმარჯვეობდა“. მერე ხან ერთს აეკიდა, ხან — მეორეს. **სანდარა რულოვსი,** რომელიც ცოლად ჰყავდა, სააკაშვილზე ბევრად უშიშარი პიროვნებაა. რულოვსის მერე **სოფიკო ნიჟარაძეს** მიახტა, მერე ვიღაც უკრაინელ **ლიზა იასკოს** მიუგორდა. მოკლედ, გარდაბანში ერთი ბუღა დადის და სააკაშვილი იმის ფუნქციას ასრულებს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# მიშვალებული ადგა!



რეალური კადრი კლინიკა „ვივამედიდან“

***კლინიკა „ვივამედის“ პაციენტმა, მსჯავრდებულმა მიხეილ სააკაშვილმა გასულ კვირას, როგორც იქნა, წერტილი დაუსვა ლამის წელიწადნახევრიან სიმულაციას, უცაბედად გამოვიდა მომაკვდავის როლიდან და გამოაცხადა, რომ აპირებს, აქტიურად ჩაერთოს ქართულ პოლიტიკაში.***

დიდი ხნის განმავლობაში თავმომკვდარუნებული, **საკუთარი ოჯახის წევრების, ადვოკატებისა და თანაპარტიელების მიერ ლამის მიცვალებულად გამოცხადებული სააკაშვილის უეცარმა გაცოცხლებამ ბევრს გაახსენა შესანიშნავი ქართული ფილმის — „იმერული ესკიზების“ ერთი ეპიზოდი,** როცა გასვენებაში მომხდარი კურიოზული გაუგებრობის შედეგად დამფრთხალი ადამიანები შიშით გაჰყვირიან: **„მიცვალებული ადგა, მიცვალებული ადგააააა!“**

მიცვალებულის როლში დიდხანს მყოფი მიშას უეცარი გაცოცხლების შემდეგ ქართველ საზოგადოებას შეუძლია, დაიყვიროს — **„მიშვალებული ადგა!“**

თუმცა, **მიშვალებულის** ადგომამ ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილში შიშისა და პანიკის მაგივრად ირონია და სიცილ-ხარხარი გამოიწვია. ადამიანები სოცქსელების ვირტუალურ სამყაროში და რეალურ ცხოვრებაშიც ანეკდოტებსა და სატირულ-იუმორისტულ სხარტულებს თხზავენ იმის შესახებ, **ერთ წამში როგორ უკვალოდ გაქრა სააკაშვილის დემენცია და კიდევ ორმოცამდე დიაგნოზი, საიდანაც, მინიმუმ, ცხრა დაავადება, ნაცბელადის ჭირისუფალთა მტკიცებით, სიცოცხლისათვის უკიდურესად საშიში იყო.**

მოქალაქეები იცინიან და ქირქილებენ იმის გამოც, რომ აწ უკვე ამდგარი **მიშვალებული** სულ ცოტა ხნის წინათ მთელ ქვეყანას უმტკიცებდა — **ქართულ პოლიტიკას სამუდამოდ ჩამოვშორდი და საკუთარ მომავალს მხოლოდ უკრაინაში ვხედავ, როგორც უკრაინელი პოლიტიკოსიო,** მაგრამ ახლა აცხადებს, რომ ქართულ პოლიტიკაში აქტიურად უნდა ჩაერთოს, რათა ქვეყანა „ივანიშვილის რუსული რეჟიმისაგან“ გაათავისუფლოს!

**რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სასაცილოა!**

**რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სამარცხვინოა!**

**რა თქმა უნდა, ამდგარი მიშვალებული დაცინვასა და მასხრად აგდებს იმსახურებს იმ ყველაფრის გამო, რასაც რუსთავის ციხეში გამწესების წუთიდან სჩადის, მაგრამ არ შეიძლება, ამაზე მხოლოდ ვილღიცინოთ და ყურადღების მიღმა დავტოვოთ ის სერიოზული პოლიტიკური გარემოებები, რომლებმაც მიშვალებულის უეცარი გაცოცხლება და ადგომა განაპირობეს.**

დიდი ტალეირანობა და ბისმარკობა სულაც არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ მიშვალებულად გამოცხადებული სააკაშვილის უცაბედი გამოცოცხლება იმ პოლიტიკური პროექტის მესამე და, ალბათ, გადამწყვეტი ფაზაა, რომელიც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინათ იქნა შემუშავებული საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ამ პროექტის პირველი ფაზა გახლდათ **უკრაინის მოქალაქე სააკაშვილის ტრაილერში ჩადება და საქართველოში გამოგზავნა,** რათა სათავეში ჩასდგომოდა ახალ „ფერად რევოლუციას“, დაემხო „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და თავად მოსულიყო ქვეყნის სათავეში იმ დროისათვის, როცა უკრაინაში კარგა ხნით ადრე დაგეგმილი და შემზადებული ომი დაიწყებოდა. პროექტის ავტორებს საქართველოს ხელისუფლებაში სჭირდებოდათ ძალა, რომელიც უკრაინაში ომის დაწყებისთანავე რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტს გახსნიდა.

**მას შემდეგ, რაც პროექტის პირველი ფაზა ჩაიფუშა და უკრაინიდან ტრაილერით ჩამოტანილი ბანძუბაჟებელი ნაცბელადი ციხეში აღმოჩნდა, ამოქმედდა გეგმა „ბ“, რომლის მიხედვითაც, სააკაშვილს პატიმრობისათვის „ჯანმრთელობის უკიდურესი გაუარესების“ გზით უნდა დაეღწია თავი.** სწორედ ამას ემსახურებოდა **თავის მომკვდარუნების ხანგრძლივი ეპოპეა** და მძლავრი პროპაგანდისტული კამპანია „ჰუმანიტარული მიზნით“ სააკაშვილის გათავისუფლებისა და „სამკურნალოდ“ საზღვარგარეთ გაშვების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კამპანიაში ჩართული იყო ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების დიდი ჯგუფი, იხარჯებოდა დიდძალი ფული უცხოური ლობისტური კომპანიების დასაქირავებლად და ასე შემდეგ, მიზანი მაინც ვერ იქნა მიღწეული, რადგან **საქართველოს ხელისუფლებამ ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან წამოსულ პოლიტიკურ ზეწოლასა და შანტაჟს წარმატებით გაუძლო.**

ყოველივე აქედან გამომდინარე, პროექტის ავტორებს აღარ დარჩათ სხვა გზა, თვინიერ იმისა, რომ **საკუთარი მიშვალებული აეყენებინათ და აეყეფებინათ.** საქართველოში ხელისუფლების ცვლილებით დაინტერესებულმა გლობალურმა ძალებმა, რომელსაც „ქართული ოცნების“ ლიდერები „გლობალური ომის პარტიას“ უწოდებენ, დაინახეს და გააანალიზეს, რომ **სააკაშვილის მიცვალებულად გამოცხადება** და გზავნილის შემოგდება, თითქოს მას ქართული პოლიტიკა აღარ აინტერესებს, კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა. ამან ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა დემორალიზაცია გამოიწვია, პარტია შინააშლილობამდე მიიყვანა და მთავარი ოპოზიციური ძალა გადაიქცა კომიკურ ორგანიზაციად, რომელსაც სათავეში მოექცა საზოგადოების უდიდესი ნაწილის მიერ მასხარად და უნიჭო პროვოკატორად აღქმული ყოვლად არასერიოზული ფიგურა — **ლევან ხაბეიშვილი.**

ამასთან ერთად, ვერც ნაციონალური მოძრაობის მიღმა, დანარჩენ ოპოზიციურ სპექტრში მოხერხდა ისეთი პოლიტიკური ლიდერისა თუ ლიდერთა ჯგუფის გამოძერწვა, რომელიც საპროტესტო მუხტის ორგანიზებას შეძლებდა და ხელისუფლების დამხობის რევოლუციურ სცენარს უხელმძღვანელებდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, პროექტის ავტორები ისეთი შარლატანებისა და 1-პროცენტიანი პოლიტიკური არარაობების ამარა დარჩნენ, როგორებიც **ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე, ლიკა ხოშტარია და ჭიჭე ვაშაძე** არიან.

აქედან გამომდინარე, პროექტის ავტორებს მიშვალებულის აყენების გარდა სხვა გამოსავალი აღარ დარჩათ!

მათი აზრით, ისევ **სააკაშვილს** შეუძლია, პოლიტიკურად პარალიზებული ნაცოპოზიციის ფეხზე წამოყენება და ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მასის ორგანიზება რადიკალური პროცესების დასაწყებად!

ისინი ფიქრობენ, რომ დეზორიენტირებულ და სასოწარკვეთილ ოპოზიციურ ელექტორატს სჭირდება, დაინახოს ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ რეალური საპირწონე, რომელსაც შესწევს ძალა, აღკვეთილი თავისუფლების პირობებშიც კი იმაზე ასჯერ მეტი გააკეთოს, ვიდრე სხვა ოპოლიდერები თავისუფლებაზე ახერხებენ!

**ამიტომაც გაქრა ასე მომენტალურად სააკაშვილის დემენცია!**

**ამიტომაც აორთქლდა ასე ერთბაშად სააკაშვილის ათეულობით დიაგნოზი!**

**ამიტომაც იქცა უკრაინელი პოლიტიკოსი სააკაშვილი კვლავ ქართველ პოლიტიკოსად!**

მოკლედ რომ მოვჭრათ, **ამიტომაც ადგა თუ ააყენეს მიშვალებული!**

სხვა საკითხია, რომ

**ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ დაგეგმილი პოლიტიკური პროექტის ეს მესამე ფაზაც – მიშვალებულის გაცოცხლება – წინა ორი ფაზის მსგავსად, კრახისათვის არის განწირული,**

რადგან ქართულ პოლიტიკაში სააკაშვილის ფაქტორის გააქტიურება ავტომატურად გამოიწვევს ქართველი ხალხის იმ ნაწილის თვითმობილიზაციას, დარაზმვასა და საბრძოლო ყაიდაზე გადაწყობას, რომლისთვისაც ნაცრეჟიმის რეანიმაცია კატეგორიულად მიუღებელი და დაუშვებელია.

**ასეთი კი ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობაა!**

**ასეთი ხალხი საქართველოში გადამწყვეტი სიტყვის მთქმელია!**

ასე რომ, **მიშვალებულის ადგომა თუ აყენება,** პროექტის ავტორებისათვის პოლიტიკური სიზიფეს შრომაა. მათ ეს ლოდი კლდიდან კიდევ ერთხელ დაუგორდებათ და ხელში არაფერი შერჩებათ, **ამდგარი თუ აყენებული სააკაშვილის გარდა!**

***ჯაბა ხუბუა***



კადრი ფილმიდან „იმერული ესკიზები“

**მიშვალებულის აყენება ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ შემუშავებული პოლიტიკური პროექტის მესამე და გადამწყვეტი ფაზაა!**

***მოდით, ყველაფერი თავიდანვე გავარკვიოთ: 21-ე საუკუნეში დისკრიმინაციულად და არაპოლიტკორექტულად მიჩნეული ტერმინი „ინვალიდი“ წინამდებარე პუბლიკაციაში გამოყენებულია არა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების, არამედ სულიერად, პოლიტიკურად და მორალურად დეგრადირებული ადამიანების მიმართ, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს პოლიტიკური პროვოკაციების ინსტრუმენტად იყენებენ.***



ერთ-ერთი ასეთი ინვალიდი, ანუ **სულიერად, პოლიტიკურად და მორალურად დეგრადირებული არსება** გახლავთ ვინმე **ქრისტინე ტალახაძე,** რომელმაც გასულ კვირას საქართველოს პარლამენტში უკადრებელი იკადრა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, თანაც, ბავშვების თვალწინ ამაზრზენი სანახაობა მოაწყო.

საქმე ის არის, რომ **2023 წლის 14 ივნისს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტში სტუმრად იყვნენ მიწვეული შშმ ბავშვები, რომლებიც სხდომათა დარბაზში ჟურნალისტებისათვის განკუთვნილ აივანზე ისხდნენ.** პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა** პლენარული სხდომა სწორედ მათდამი მისალმებით გახსნა და სიტყვა ბოლომდე არც ჰქონდა დამთავრებული, როცა ვიღაც ქალმა აივნიდან თეთრი ზეწარი გადმოფინა წარწერით: **„არა ორიენტაციაარეულ ქოც-რუსულ მთავრობას დაოჯახებულებისგან“.** გარდა ამისა, სხდომათა დარბაზის აივნიდან რუსული რუბლები გადმოყარა და გაჰკიოდა: **„არა — რუსულ ოცნებას!“**

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ქალი — **ქრისტინე ტალახაძე** — შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის მშობელი ყოფილა და სწორედ ამ სტატუსით მოხვედრილა პარლამენტის სხდომათა დარბაზში.

რაც ყველაზე მთავარია, **ეს ნამდვილი ინვალიდი,** რომელმაც სულიერი, პოლიტიკური და მორალური დეგრადაციის ფსკერი გახვრიტა და შშმ ბავშვის დედის სტატუსი იაფფასიანი პოლიტიკური წარმოდგენის გასათამაშებლად გამოიყენა, **ნაცმოძრაობის აქტიური მხარდამჭერი** გამოდგა.

**აბა, ნაცსექტანტის გარდა სხვას ვის მოუვიდოდა თავში,** ვულგარული პოლიტიკური პერფორმანსის მოსაწყობად გამოეყენებინა სრულიად აპოლიტიკური და სოციალური სოლიდარობის გამომხატველი ისეთი აქტი, როგორიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პარლამენტში მიპატიჟებაა?!

**აბა, ნაცსექტანტის გარდა სხვა ვინ ამოყოფდა თავს** სულიერი, პოლიტიკური და მორალური ინვალიდობის ისეთ ფაზაში, რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზში შშმ ბავშვებს ამოფარებული შეპარულიყო, რათა „რუსული ოცნება“ ეყვირა, რუსული რუბლები აეფრიალებინა და ნაცმედიისათვის ე.წ. ტელეკარტინკა დაედგა?!

**ისე, საინტერესოა, ნაცსექტანტი ინვალიდი ქრისტინე ტალახაძე პარლამენტის სხდომათა დარბაზის აივნიდან გადმოსაყრელი რუსული რუბლებით თავისნაირმა ინვალიდმა ელენე ხოშტარიამ ხომ არ მოამარაგა,** რომელსაც რუსული ჰონორარის მორიგი პარტია — 2,5 მილიონი რუბლი მოსკოვიდან სულ ცოტა ხნის წინათ ჩაურიცხეს?

ყოველ შემთხვევაში, **ლოგიკური და სამართლიანი იყო, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა ნაცსექტანტი ინვალიდის მიერ გადმოყრილი რუსული რუბლები ნაცმოძრაობის დეპუტატებს მიუყარეს — ელენე ხოშტარიას გადაეცითო!**

# აი,

ალსანიშნავია, რომ

**იმ დღეს პარლამენტის სხდომათა დარბაზში ვინმე ქრისტინე ტალახაძე ერთადერთი ინვალიდი არ**

## ნაცსექტანტმა ქალმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები პოლიტიკურ იარაღად გამოიყენა!

## კვირგვინოსნები



**ნინო მეტრეველი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*

არ „გაპრავდება“ **რუსეთიდან გამოგზავნილი რუბლების მიღება ხოშტარიებში** და ტყუილად ნუ წვალობთ. **არაა საინტერესო, რატომ იღებ ოკუპანტისგან პოლიტიკოსი ფულს! იღებ და მორჩა!** თან აგინებდე პოლიტიკოსი რუსეთს და თან მისგან **არცთუ მცირე თანხას იღებდე,** რა საფუძვლითაც არ უნდა იყოს, არ მოსულა.

„ალია“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

ვისი აქტივებიც მახსენდება, ეს არის **ელენე ხოშტარიას შემოსავლები რუსეთის ბიუჯეტიდან** და გაყინონ გადმორიცხვები, ვინმეს რაიმეს გაკეთება თუ უნდა, ამით დაიწყონ.

„პირველი არხი“



**დავით არახამია**
*უკრაინის რადას მმართველი ფრაქციის თავმჯდომარე*

მთელ მსოფლიოში არის **გაყინული რუსული აქტივები,** რომლებიც გამოყენებული იქნება უკრაინის აღდგენისთვის, კარგი იქნებოდა, **საქართველოს ხელისუფლებასაც** გამოეჩინა მსგავსი სოლიდარობა.

„პირველი არხი“



**ვატო შაქარიშვილი**
*ორგანიზაცია „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ დამფუძნებელი*

ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იქნება, ქმედითი წვლილი შევიტანოთ **ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებაში** და ვთქვათ, რომ საქართველოში **არ იქნება არც რევოლუცია, არც ომი.**

„პირველი არხი“



**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**4 ყველაზე მდიდარი „ენჯეო“** უფრო მეტს იღებს და ხარჯავს, ვიდრე ყველა პოლიტიკური პარტია ერთად! საქართველოში **თუ ვინმეს ფინანსები არის გაუმჭვირვალე, ეს არის „ენჯეო“ სექტორი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

# ნაცსექტანტი ინვალიდი ტალახაძე პარლამენტის სხდომათა დარბაზის აივნიდან გადმოსაყრელი რუსული რუბლებით თავისნაირმა ინვალიდმა ხოშტარიამ ხომ არ მოამარაგა?




**იყო, რადგან სულიერი, პოლიტიკური და მორალური ინვალიდია ყველა ის დეპუტატი, ვინც შშმ ბავშვებს**



ბული აქტივისტებითა თუ მხარდამჭერებით, რომლებიც საზოგადოებას ანტიჰუმანიზმის წარმოუდგენელ გამოვლინებებს სთავაზობდნენ. მაგალითად, 2010 წელს, როცა აფხაზეთიდან დევნილმა ქალბატონმა, 46 წლის **ნანა ფიფიამ** ლტოლვილთა სამინისტროს წინ პროტესტის ნიშნად ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა, **პირწავარდნილმა მიშარასტმა და ნეოფაშისტმა ქეთა ბაბიანმა ტელეეთერში განაცხადა — ეს ქალი ასეთი ღარიბი თუ იყო და თვითმკვლელობამდე სიდუხჭირემ მიიყვანა, თავის დასაწვავი ბენზინის საყიდელი ფული საიდან მოიტანაო?!**

ვფიქრობთ, **ნაცსექტანტ ქრისტინე ტალახაძის** მიერ შშმ ბავშვების პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენება არაფრით ჩამოუვარდება **ნაცსექტანტი ქეთა ბაბიანის** საქციელს, რომელიც იმაზე კი არ წუხდა, რომ დევნილი ქალი გაჭირვებამ თავის დაწვამდე მიიყვანა, არამედ იქედნურად აცხადებდა — **თავის დასაწვავი ბენზინის ფული ხომ კარგად იშოვაო!**

**ნეოფაშისტი ქეთა ბაბიანი** დიდი ხანია, ტელეეთერში აღარ გამოჩენილა, მაგრამ სულიერი, პოლიტიკური და მორალური ინვალიდის **ქრისტინე ტალახაძის** სახით ნაცმოძრაობას **ახალი ქეთაბაბიანები** ჰყავს, რომლებიც საზოგადოებას მუდმივად შეახსენებენ, რომ ნაცობა მძიმე დიაგნოზი და უკურნებელი სენია!

# ინვალიდი!

**ამოფარებული ქალის პოლიტიკურ გამოხდომას ტაშითა და ოვაციით შეხვდა.**

დიახ, **ანა წითლიძე, თინა ბოკუჩავა, სალომე სამადაშვილი, რომან გოცირიძე და სხვა ოპოზიციონერი პარლამენტარები,** რომლებმაც შშმ ბავშვების თანდასწრებით მოწყობილი იაფფასიანი პროვოკაცია მოიწონეს და შეაქეს, ისეთივე ინვალიდები არიან, როგორიც ნაცაქტივისტი **ქრისტინე ტალახაძე!**

უნდა ითქვას, რომ **ნაცაქტივისტ ტალახაძის** მიერ გამომჟღავნებული სულიერი, პოლიტიკური და მორალური ინვალიდობის ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრაცია თავად შშმ ბავშვების რეაქცია გახლდათ, როცა ზოგი მათგანი გაოგნებული შესცქეროდა ქალის მიერ დარბაზის აივნიდან გადმოკიდებულ ზეწარს, ზოგმა კი მის წივილ-კივილს ვერ გაუძლო და ყურებზე ხელები აიფარა.

ზოგადად, **ნაცმოძრაობა ყოველთვის გამოირჩეოდა სულიერად, პოლიტიკურად და მორალურად დაინვალიდე-**



**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, რომლებიც 14 ივნისს პარლამენტში იყვნენ მიპატიჟებული, ნარმატებული ადამიანები გახდებიან და თავიანთ ქვეყანას ბევრ სიკეთეს მოუტანენ, მაგრამ არაფერი ეშველებათ ქრისტინე ტალახაძისნაირ ინვალიდებს, რომლებიც ნაცსექტის ჭაობში არიან ჩაფლული და რაც უფრო მეტს იფართხალებენ, მით უფრო ღრმად ჩაიძირებიან!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**ელიშერ გვენეტაძე**
*ექსპერტი*



ახალგაზრდებს უნდა გავაგებინოთ, რომ დღეს **ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა** გამორიცხულია!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ალეკო შუღლაძე**
*მწერალი*



ძალიან დიდ ნაწილს **მოუწესრიგებელი, კორუმპირებული, ქაოსური ქვეყანა** სჭირდება.

„ახალი თაობა“

**გია კორკოტაშვილი**
*საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული მისიის“ დამფუძნებელი*



შოუა ეს ყველაფერი, რაც არ უნდა ლანძღონ ერთმანეთი, **„ოცნებასაც“ და ნაციონალებსაც იმდენი ბიზნესი და იქიდან იმდენი შემოსავალი აქვთ,** რომ ძალიან კარგად არიან. **რუსეთი აგრესორია,** მაგრამ **ნაკლები აგრესორი არც ამერიკაა.**

„ალია“

**დაჩი ცაგურია**
*ყოფილი პოლიტპატიმარი*



ვერაფრით წარმოვიდგენდი, იქამდე თუ მივიდოდით, რომ ქართველის გულით ნათქვამი — **საქართველო უპირველეს ყოვლისა,** ვიღაცისთვის საფუძველი იქნებოდა, თითი გამოეშვირა და დაეძახა: **ეს აგენტი, კრემლის მონააო.** რამე თუ არ ვიღონეთ, **ესენი მალე ამ დიადი სიტყვების თქმასაც აგვიკრძალავენ.**

„საერთო გაზეთი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



მინდა, პირდაპირ გითხრათ, რომ **ოპოზიციას არანაირი შანსი არა აქვს** 2024 წლის არჩევნებზე.

„რეზონანსი“

# პოლიტიკური ჩათლახები

## თორნიკე რიჟვაძის წინააღმდეგ

***გასულ კვირას ნაცსექტის პოლიტიკური კანონადის ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე იქცა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების სამარცხვინო ქმედებათა შესახებ სრული და ერთადერთი სიმართლე თქვა.***

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2023 წლის 15 ივნისს **თორნიკე რიჟვაძე** აჭარის უმაღლესი საბჭოს წინაშე წლიური ანგარიშით წარდგა და ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ისაუბრა. სხდომას, რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობის დეპუტატებიც ესწრებოდნენ, რომელთაგანაც ერთ-ერთმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს შეუღრინა — რუსეთის მოქალაქეებს ბათუმში დასაქმების საშუალებას ნუ აძლევთო! ნაცდეპუტატ **ელგუჯა ბაგრატიონს** რიჟვაძემ იქვე უპასუხა, რომ ბათუმში ტურისტული ნაკადები იზრდება, რაც ავტომატურად ნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და ამაში თავიანთი წვლილი შეაქვთ რუსეთის მოქალაქეებსაც, რომლებსაც, აჭარის მთავრობის მეთაურის თქმით, ***„2008 წელს, ლაჩრულად წაგებული ომის შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლებამ მწვანე აუნთო, უვიზო რეჟიმი დაუწესა და ყვავილებითა და ღვინით ხელში ეგებებოდა“.***

რიჟვაძის ამ განცხადებას სხდომათა დარბაზში აურზაური მოჰყვა. ნაცდეპუტატები მას ქართველი ჯარისკაცების შეურაცხყოფაში ადანაშაულებდნენ და ობსტრუქციას უწყობდნენ, რასაც აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა მშვიდად და აუღელვებლად უპასუხა ერთი რეპლიკით: ***„გაქცეული მხედართმთავრის მიმდევრები ხართ, მიშათმავლები!“***

ამის შემდეგ **რიჟვაძის** გაშავების კამპანიაში სტახანოვური შემართებით ჩაერთნენ **ნაცსექტის სახელობის პროპაგანდისტული ტელეკოლმეურნეობები,** რომლებმაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარის განცხადებას „რუსული ნარატივი“ და „მოღალატეობრივი“ უწოდეს. მაგალითად, ნაცმოძრაობის პარტიული ქვეორგანოს — **„მთავარი არხის“** საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტი პირდაპირ ასე იყო დასათაურებული: **„რიჟვაძის მოღალატეობრივი განცხადებები“.**

იმავე **„მთავარმა არხმა“** თორნიკე რიჟვაძის შესაჩვენებლად ნაციონალური მოძრაობის წევრი ვეტერანი სამხედროები — **გენერალ-მაიორი ზაზა გოგავა, გენერალ-ლეიტენანტი დევი ჭანკოტაძე და გენერალი მამუკა ყურაშვილი** გამოიყვანა. ჯერ ერთი, სამხედრო მუნდირის მატარებელი და სამშობლოს ჯარისკაცობაზე პრეტენზიის მქონე კაცი ნაცმოძრაობაში რომ შევა და იმ პოლიტიკური ბანდის წევრი გახდება, რომლის რეჟიმიც ქართველ კაცებს ციხეებში აწამებდა და აუპატიურებდა, სალაპარაკო აღარაფერია, მაგრამ ზემოხსენებულ სუბიექტებზე ორიოდე სიტყვა მაინც უნდა დავასველოთ.

**გენერალ-მაიორმა ზაზა გოგავამ,** რომელიც ნაცების ხელისუფლების დროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსად მუშაობდა, 2007 წლის 7 ნოემბერს საქართველოს კონსტიტუცია გააბახა, სააკაშვილის დანაშაულებრივი ბრძანება შეასრულა და მშვიდობიანი მომიტინგეების დაშლის... 







**აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ აგვისტოს ომში სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების სამარცხვინო ქმედებათა შესახებ სრული და ერთადერთი სიმართლე თქვა!**

სარბევად რუსთაველის გამზირზე ჯარის ნაწილები გამოიყვანა.

რაც შეეხება **გენერალ მამუკა ყურაშვილს,** რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციების შტაბის უფროსი იყო, მან ცხინვალში სამხედრო მოქმედებების დამწყებად ქართული სახელმწიფო დაასახელა, როცა 2008 წლის 7 აგვისტოს ტელეეთერში განაცხადა: ***„ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, აღვადგინოთ კონსტიტუციური წესრიგი მთელ რეგიონში.“*** ამ განცხადების გამო სააკაშვილის რეჟიმმა **გენერალი ყურაშვილი** არამხოლოდ თანამდებობიდან გაათავისუფლა, არამედ, საჯარო სივრციდან საერთოდ გააქრო, პირში ბურთი ჩასჩარა და მედიაში გამოჩენა აუკრძალა. ყურაშვილმა საზოგადოების წინაშე გამოსვლა და ჟურნალისტებთან ხმის ამოღება მხოლოდ მას შემდეგ გაბედა, რაც ქართველმა ხალხმა, **ბიძინა ივანიშვილის** წინამძღოლობით, სააკაშვილი და მისი ნაცბანდა პოლიტიკურ სანაგვეზე გადააგდო.

**გენერალი ყურაშვილი** 2013 წელს ისეთ განცხადებებს აკეთებდა და ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს 2008 წლის აგვისტოს ომის წაგებაში ისე ხმამაღლა ადანაშაულებდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 2023 წელს იგი ნაციონალური მოძრაობის წევრი გახდებოდა. აი, ერთი ფრაგმენტი ყურაშვილის მიერ 2013 წელს გაზეთ **„ყველა სიახლისათვის“** მიცემული ინტერვიუდან:

*„ვადასტურებ, რომ **ბიგი უგულავა** ერეოდა სამხედრო ოპერაციებში. თვითონ თავდაცვის მინისტრმა მიუშვა თავის უწყებასთან ახლოს ამა თუ იმ სამსახურების უფროსები, დეპარტამენტები, რომლებიც სამოქალაქო პირებით იყო დაკომპლექტებული, ამიტომაც ეს ყველაფერი პოლიტიკოსებმა რატომღაც ისე აღიქვეს, რომ სამხედროებზე მაღლა იდგნენ. უგულავა მშვიდობიანობის დროს — ქალაქის მერი, ომიანობისას კი სააკაშვილის კონსერვების გამხსნელი იყო... **მარტო სამხედრო ოპერაციებში ჩარევა კი არა, მოს-***

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე კმაყოფილი უნდა იყოს იმით, რომ მტრად ჰყავს მოკიდებული ნაცსექტის პოლიტიკური ჩათლახები, რომლებსაც ცხოვრებაში არაფერი გამოსდით ისე კარგად, როგორც საქართველოს მტრობა!**

### კვირგვინოსნები

**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*



თუ **ზურა ჯაფარიძის** როლი ადრე იყო, რომ **შარვალჩახდილს და უკანალმიშვერილს ერბინა ოკუპანტების დამუნათებისთვის**, დღევანდელი როლია, რევოლუციური სცენარებით რაიმეს მიაღწიონ — **მისი ასაყირავებელი ქვეყანა არ გვაქვს.**

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



საუბარი, რომ **პრემიერობის კანდიდატად სააკაშვილის წარდგენას ვაპირებთ,** უტრირებულია — **ის ივანიშვილის** დამარცხებისთვის გარკვეული ფაქტორი იქნება, თუმცა, რა პოლიტიკური როლი ექნება, თავად გადაწყვეტს.

„ინტერპრესნიუსი“

**პეტრე ციისკარიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი*



**ვანო მერაბიშვილი** ნაციონალურ მოძრაობას მხარს უჭერს, **ჩვენი ამომრჩეველია და ძალიან კარგია,** დიდი მადლობა. რაც უფრო მეტი გვეყოლება ასეთი ამომრჩეველი, მით უფრო კარგ ხასიათზე ვიქნებით. „პალიტრანიუსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



ნაცმოძრაობას ყველანაირი **გასაღები დაკარგული აქვს,** მხოლოდ ერთი გასაღები არსებობს — **კეზერაშვილის** ფული, **მერაბიშვილის** პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

„პირველი არხი“

*მენა და სარდლობამდე არასწორი ინფორმაციის მიტანაც ჩარევაა ისევე, როგორც ლობირება ვინმე ფსევდოგმირისა, რომელიც 7 ნოემბერს თუ დანარჩენ მიტინგებზე მოხერხებულად იქნევდა ხელკეტს — იყო იქ ასეთი კატეგორია, სამხედროებს არ ვგულისხმობ.** ნამდვილი გმირების გვერდზე გაწევაც ჩარევაა, მითუმეტეს, როცა შენ არანაირი სამხედრო განათლება არ გაგაჩნია“.*

ყველაფერს რომ შევეშვათ, მარტო გენერალ ყურაშვილის ეს ათი წლის წინანდელი განცხადება იძლევა პირდაპირ პასუხს იმაზე, თუ რას გულისხმობდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე,** როცა 2008 წლის აგვისტოს ომს „ლაჩრულად წაგებული“ უწოდა.

დიახ, **2008 წელს რუსეთთან ომი ლაჩრულად წააგეს არა ქართველმა ჯარისკაცებმა, რომლებმაც ბრძოლის ველზე ნამდვილი გმირობისა და თავგანწირვის მაგალითები აჩვენეს, არამედ ორდღიან ომში საქართველოს დამარცხების მთავარი მიზეზი ნაცმოძრაობის ლიდერშიპის სამარცხვინო და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები გახლდათ.**

ამის შესახებ საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე აჭარის მთავრობის მეთაურმა **თორნიკე რიჟვაძემაც** დაწერა, რომელმაც მისი განცხადების გამო ატეხილი აჟიოტაჟის კვალდაკვალ ნაცსექტის წარმომადგენლებს მიმართა:

***„სხვა დროისათვის რომ იცოდეთ, კიდევ ერთხელ: ჩვენი ჯარისკაცები გმირები არიან, იყვნენ და იქნებიან, ლაჩარი თქვენი ბელადი სააკაშვილია“.***

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **გენერალ-მაიორი ზაზა გოგავა** 2007 წლის 7 ნოემბრის ერთ-ერთი ჯალათია, **გენერალი მამუკა ყურაშვილი** 2008 წლის 7 აგვისტოს ქართულ სახელმწიფოს ცხინვალში საომარი მოქმედებების დაწყებაში ამხელდა, ხოლო **გენერალ-ლეიტენანტი დევი ჭანკოტაძე** სისხლიანი პუტჩისტი გახლავთ, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს ტყვიას ესროდა!

თუმცა, **გენერალ გოგავას, გენერალ ყურაშვილსა და გენერალ ჭანკოტაძეს** საუკუნო სირცხვილად ისიც ეყოფათ, რომ უდანაშაულო ქართველი პოლკოვნიკის **გია კრიალაშვილისა** და უდანაშაულო ქართველი სერჟანტის **როინ შავაძის** მკვლელი ნაცმოძრაობის წევრები არიან!

მაინც რა თქვა ისეთი აჭარის მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძემ,** რომ მთელი სანაცეთი კრაზანების ბუდესავით აიშალა?

**2008 წლის ომი სააკაშვილის ხელისუფლებამ ლაჩრულად არ წააგო?**

**მთავარსარდალი სააკაშვილი არ იყო, 2008 წლის 10 აგვისტოს გორში მიწაზე რომ ფორთხავდა თვითმფრინავის ხმით შეშინებული?**

**ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება არ იყო, 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთთან სავიზო რეჟიმი ცალმხრივად რომ გააუქმა?**

**პრეზიდენტი სააკაშვილი არ იყო, რუს ტურისტებს ლარსის გამშვებ პუნქტზე რომ ხვდებოდა, კოცნიდა, ეხვეოდა და საქართველოში ჩამოსვლის გადაწყვეტილებას უწონებდა?**

კი, ეს ყველაფერი ასე იყო!

კი, ეს ყველაფერი სიმართლეა!

კი, ეს ყველაფერი კონკრეტული ფაქტებია, რომლის დამადასტურებელი ვიდეოები, ფოტოები და წერილობითი დოკუმენტები არ იწვიან!

ჰოდა, სწორედ **თორნიკე რიჟვაძის მიერ პირში მიხლილმა ამ მწარე სიმართლემ აუწვა გულ-მუცელი ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა და ოპოზიციაში ყოფნის დროსაც რუსულ საქმეს აკეთებს!**

სატირალი რომ არ იყოს, სასაცილო იქნებოდა, როცა რუსეთუმეობასა და კრემლის მსახურებაში სხვებს ადანაშაულებს ის პოლიტიკური ბანდა, რომელმაც კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი ტყვიის გაუსროლელად ჩააბარა რუსეთს, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იმავე რუსეთს საქართველოს სტრატეგიული ობიექტები მიჰყიდა, გადამწყვეტი ხმა მისცა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას და ხელი მოაწერა ევროსაბჭოს რეზოლუციას, რომლითაც ცხინვალში ომის დაწყება ქართველ სამხედროებს დაბრალდათ.

**რა სახელი შეიძლება, დაერქვას ნაცბანდის ასეთ საქციელს?**

**უკაცრავული პასუხია, მაგრამ ამას მხოლოდ პოლიტიკური ჩათლახობა შეიძლება, ეწოდოს!**

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძეს** უნდა ეამაყებოდეს, რომ ნაცში მოკალათებული პოლიტიკური ჩათლახების თავდასხმის ობიექტია!

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე კმაყოფილი უნდა იყოს იმით, რომ მტრად ჰყავს მოკიდებული ნაცსექტის პოლიტიკური ჩათლახები, რომლებსაც ცხოვრებაში არაფერი გამოსდით ისე კარგად, როგორც საქართველოს მტრობა!**

როცა შენ და შენს სამშობლოს ერთი და იგივე მტერი გყავთ, ეს ბედნიერებაა და როგორც ჩანს, **თორნიკე რიჟვაძე ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული!**




**გენერალ-მაიორი ზაზა გოგავა 2007 წლის 7 ნოემბრის ერთ-ერთი ჯალათია, გენერალი მამუკა ყურაშვილი 2008 წლის 7 აგვისტოს ქართულ სახელმწიფოს ცხინვალში საომარი მოქმედებების დაწყებაში ამხელდა, ხოლო გენერალ-ლეიტენანტი დევი ჭანკოტაძე სისხლიანი პუტჩისტი გახლავთ, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს ტყვიას ესროდა!**







**გენერალ გოგავას, გენერალ ყურაშვილსა და გენერალ ჭანკოტაძეს საუკუნო სირცხვილად ისიც ეყოფათ, რომ უდანაშაულო ქართველი პოლკოვნიკის გია კრიალაშვილისა და უდანაშაულო ქართველი სერჟანტის როინ შავაძის მკვლელი ნაცმოძრაობის წევრები არიან!**

## თორნიკე რიჟვაძის მიერ პირში მიხლილმა ამ მწარე სიმართლემ აუწვა გულ-მუცელი ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა და ოპოზიციაში ყოფნის დროსაც რუსულ საქმეს აკეთებს!

## ბოლოთქმა

**თორნიკე რიჟვაძის** განცხადებას „ვივამედიდან“ საგანგებოდ გამოეხმაურა **მთავარი პოლიტიკური ჩათლახი — პატიმარი სააკაშვილი,** რომელმაც, წარუმატებელი ხანგრძლივი სიმულაციის შემდეგ, **ყოველდღიური კვდომის გამოცხადებული ქრონიკა შეწყვიტა,** მაგრამ კლინიკის ლუქს-პალატაში კოტრიალს მაინც აგრძელებს.

აი, რა განაცხადა სააკაშვილმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის საპასუხოდ:

***„ბოლო წვეთი იყო იმ მოღალატეების აღლუმი, რომელიც ვიხილე გუშინ აჭარის უზენაეს საბჭოში. საქართველოს ღალატმა და გარუსების მცდელობამ შეაღწია უკვე ყველა დონეზე. მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ვაპირებ ძალიან აქტიურად ჩართვას ქართულ პოლიტიკაში, უკრაინაში ჩართულობის პარალელურად“.***

არადა, ეს ის სააკაშვილია, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ლამის ცრემლების ღვარღვარით იხვეწებოდა — **ოღონდ პატიმრობიდან გამათავისუფლეთ და ქართული პოლიტიკისაკენ მისდღემჩი აღარ მოვიხედავ, მე უკრაინელი პოლიტიკოსი ვარ და ანდერძად ვიბარებ, რომ სიკვდილის შემდეგ ჩემი გული უკრაინულ მიწას მიაბარონ!**

მეტი პოლიტიკური ჩათლახობა რაღა გინდათ?

**თორნიკე რიჟვაძის მართალი განცხადება თუნდაც მხოლოდ იმად ღირს, რომ სააკაშვილს, როგორც გამოუსწორებელ პოლიტიკურ ჩათლახს, კიდევ ერთხელ ჩამოხსნა ნიღაბი, რომლის მორგებასაც იგი უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში, ვირის აბანოში გამწესების დღიდან ლამობდა!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**ზურაბ ჯაფარიძე**

*„გირჩი — მეტი თავისუფლების“ ლიდერი*

ჩემი აზრით, **დაბალია ალბათობა, რომ კანდიდატის სტატუსზე დადებითი პასუხი იყოს,** ერთადერთი გამოსავალი, რომ გავაგრძელოთ მსვლელობა დასავლეთისკენ, **ხელისუფლების ცვლილებაა.**

„პირველი არხი“



**ვანო ჩხიკვაძე**

*„ღია საზოგადოების ფონდის“ ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი*

საქართველოს ხელისუფლებას, ასე ვთქვათ, **ქორული მიდგომა** აქვს, ამბობს, **შეცდომა იყო, შარშან რომ არ მოგვეცით კანდიდატის სტატუსი,** თითქოს ევროკავშირს საქართველოს ვალი აქვს და უნდა გადაიხადოს.

„კვირის პალიტრა“



**ლელა ჯეჯელავა**

*ანალიტიკოსი*

ქვეყანას ეკარგება მომავალი და **სააკაშვილისგან რა საფრთხეებზეა ლაპარაკი,** რომ კრიმინალს ისევ ციხეში შეყრის?!

„ახალი თაობა“



**ირაკლი ზარქუა**

*პარლამენტარი*

ნაციონალური მოძრაობა იდგა **ძალმომრეობაზე, შანტაჟზე,** ამ ყველაფრის გვირგვინი ახლა არის ჩემი**ხაბე.** რა მომავალი უნდა ჰქონდეს პარტიას, რომლის უკან **მერაბიშვილ-კეზერაშვილი** დგანან.

„პირველი არხი“

# ევროკავშირმა საქართველოს სახალხო დამცველს ზედამხედველად სააკაშვილის რეჟიმის გოშია – გიორგი ტუღუში დაუნიშნა!

# გიორგი ტუტუცი



გიორგი ტუღუში ნაციონალური მოძრაობის პარტიული ბანერის ფონზე

***მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ულტრალიბერალური ძალების ნდობით აღჭურვილ და ამერიკის საელჩოს ფავორიტ ნინო ლომჯარიას სახალხო დამცველის თანამდებობაზე ვადა ამოეწურა, როგორც ჩანს, საქართველოში მოქმედი „მეხუთე კოლონის“ კურატორები სერიოზულად დაფიქრდნენ, როგორ შეინარჩუნონ ძლიერი კონტროლი ისეთ გავლენიან ინსტიტუტზე, როგორიც სახალხო დამცველის აპარატია.***

მართალია, ლომჯარიას შემცვლელი **ლევან იოსელიანი** სახალხო დამცველის სავარძელში ოპოზიციონერი დეპუტატის სკამიდან გადაჯდა, მაგრამ, ეტყობა, მისი პერსონა მაინც არ არის ბოლომდე სანდო იმ ძალებისათვის, რომლებიც ომბუდსმენის აპარატს უფლებადაცვით ინსტიტუტად კი არა, პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის ინსტრუმენტად განიხილავენ.

სხვანაირად თუ ვიტყვით, **საქართველოში მოქმედი ნაცლიბერალური „მეხუთე კოლონის“ უცხოელი პატრონები თვლიან, რომ ლომჯარიას წასვლის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატს მათთვის სანდო და გამოსადეგი ზედამხედველი სჭირდება.**

სწორედ ამისათვის იქნა მოფიქრებული სქემა, რომლითაც საქართველოს მოქმედ სახალხო დამცველს ზედამხედველად თუ რევიზორად დაუნიშნავენ კაცს, რომელიც „მეხუთე კოლონისთვისაც“ უპირობოდ მისაღები იქნება და მისი პატრონების ფხიზელი თვალის ფუნქციასაც შეასრულებს. ეს ვითომდა ეშმაკური კომბინაცია, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, მეტად კეთილშობილური და მაღალფარდოვანი სახელწოდებით არის შენიღბული — **„ევროკავშირის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერებას“!**

თუმცა, კომბინაციის ჩამხლართავებს ერთი ისეთი იაღლიში მოუვიდათ, რომელიც მათ რეალურ ჩანაფიქრსა და მიზანს ააშკარავებს — **ევროკავშირის პროექტს, რომელიც ვითომ საქართველოს სახალხო დამცველის გაძლიერებას უნდა მოემსახუროს, სათავეში სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ერთგული მსახური გიორგი ტუღუში ჩაუყენეს!**

საუბარია იმ **გიორგი ტუღუშზე,** რომელიც 2009 წლის 17 სექტემბრიდან 2012 წლის 20 სექტემბრამდე საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობას იკავებდა. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა სააკაშვილის რეჟიმის მიერ „რეფორმირებულ“ და „ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებულ“ ციხეებში პატიმრების წამებამ და გაუპატიურებამ სისტემური ხასიათი მიიღო და არნახულ მასშტაბს მიაღწია, მაგრამ **სახალხო დამცველად მომუშავე ტუღუშს** არც თავის ოფიციალურ ანგარიშებში და არც საჯარო გამოსვლებში ამის თაობაზე კრინტიც კი არ დაუძრავს.

დიახ, როცა სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოწყობილ პენიტენციურ ჯოჯოხეთში პატიმრებს ოდნავ ხმამაღალი საუბრისა და გაცინების გამოც კი ძვლებში ამტვრევდნენ, წამებისაგან გულწასულებს მორგში ცხედრებზე აბამდნენ და ცოცხით აუპატიურებდნენ, **სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშს პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული და თავი ისე ეჭირა, თითქოს სუპერდემოკრატიული ქვეყნის ომბუდსმენი ყოფილიყო.**


მიხეილ სააკაშვილი და გიორგი ტუღუში

**ევროკავშირის მიერ უფლებადაცვით სფეროში საკუთარი პროექტის ხელმძღვანელად გიორგი ტუტუცის დანიშვნა ქართველი ხალხისადმი აგდებული და უპატივცემულო დამოკიდებულების კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია!**



სანდრა რულოვსი, გიორგი ტუღუში, სალომე სამადაშვილი და რომან გოცირიძე

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩნდება ლოგიკური და სამართლიანი კითხვა: **ტუტუცმა ტუღუშმა,** რომელსაც სახალხო დამცველად მუშაობის დროს პატიმრების სისტემურ წამებასა და გაუპატიურებაზე ხმა არ ამოუღია, დღეს რანაირად უნდა შეუწყოს ხელი სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერებას?

**მას შემდეგ მაინც, რაც მთელმა საქართველომ და მსოფლიომ იხილა 2011 წლის 18 სექტემბერს მედიასა და ინტერნეტში გავრცელებული საზარელი კადრები, რომლებიც ქართულ ციხეებში პატიმრების წამებასა და გაუპატიურებას ასახავდნენ, გიორგი ტუღუშს სახალხო დამცველის თანამდებობა უნდა დაეტოვებინა და თავისი დანაშაულებრივი დუმილის გამო მუხლებზე დამდგარს ეთხოვა პატიება ქართველი ხალხისათვის, მაგრამ მან ესეც არ გააკეთა, რადგან ხელიდან წასული ტუტუცია!**

ის კი არა, **ტუღუშმა** სიტუტუცის მწვერვალი დაიპყრო, როცა პატიმრების სასტიკი წამებისა და გაუპატიურების ამსახველი კადრების გავრცელებიდან ორი დღის შემდეგ, 2011 წლის სექტემბერს, სააკაშვილის რეჟიმის შეთავაზებას დათანხმდა და **სახალხო დამცველის თანამდებობიდან სასჯელაღსრულების მინისტრის პოსტზე გადაინაცვლა,** ანუ იმ სისტემის ხელმძღვანელი გახდა, სადაც პატიმრებს აწამებდნენ და აუპატიურებდნენ!

რა უნდა იფიქროს კაცმა, როცა ევროკავშირი **ტუღუშისნაირ ტუტუცს** ნიშნავს იმ პროექტის ხელმძღვანელად, რომელმაც ვითომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი უნდა გააძლიეროს?

ვფიქრობთ, პასუხი მარტივია: **ევროკავშირს მართლა საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერება რომ აინტერესებდეს, ამ საქმეს გიორგი ტუტუცს არ მიანდობდა!**

**ვინაიდან ევროკავშირმა თავისი პროექტის ხელმძღვანელად გიორგი ტუტუცი გაამწესა, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერება კი არა, მისი გაკონტროლება და პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენება სურს!**

და კიდევ: **ევროკავშირის მიერ უფლებადაცვით სფეროში საკუთარი პროექტის ხელმძღვანელად სააკაშვილის რეჟიმის ნამდვილი გოშიის — გიორგი ტუტუცის დანიშვნა ქართველი ხალხისადმი აგდებული და უპატივცემულო დამოკიდებულების კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია!**

**გიორგი ტუტუცზე** ფსონის დადებით ევროკავშირმა საქართველოში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავის პოლიტიკურ **სიტუტუცეს!**

***ჯაბა ხუბუა***

# კომუნისტური ცხოველი (masthead)

№32-33 (200-201) ★ 2023 წლის 19 ივნისი ★ გამოდის 2003 წლიდან



# სტალინური საქმის ტრიუმფი უსაქმური ხრუშჩოვის დროში

# გმირი საბჭოთა ქალიშვილი კოსმოსში
## ვალენტინა ტერეშკოვა მართავს კოსმოსურ ხომალდს



ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 141 (12653) | ორშაბათი, 17 ივნისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

## ორბიტაზეა კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-6"
### სააგენტოს ცნობა

1963 წლის 16 ივნისს 12 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილია კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-6", რომელსაც პირველად მსოფლიოში მართავს ქალი — საბჭოთა კავშირის მოქალაქე კოსმონავტი ამხანაგი ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა.

ამ ფრენის დროს გაგრძელდება იმის შესწავლა, თუ რა გავლენას ახდენს კოსმოსური ფრენის სხვადასხვა ფაქტორი ადამიანის ორგანიზმზე, მათ შორის განხორციელდება შედარებითი ანალიზი ამ ფაქტორების ზეგავლენისა მამაკაცისა და ქალის ორგანიზმებზე, შესრულდება ახალი მოცულობის სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევა და ერთობლივი ფრენის პირობებში კოსმოსური ხომალდის სისტემათა შემდგომი დამუშავება და სრულყოფა, რომლებსაც მართავენ პილოტები.

დასახული ამოცანების შესაბამისად ხომალდის „აღმოსავლეთი-6" გაშვება განხორციელდა პერიოდში, როცა ორბიტაზე იმყოფება კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-5", რომელიც საბჭოთა კავშირში გაუშვეს 1963 წლის 14 ივნისს.

ამჟამად კოსმოსურ სივრცეში ერთდროულად დაფრინავს ორი საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-5" და „აღმოსავლეთი-6", რომლებსაც მართავენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები ამხანაგები ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკი და ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა.

თანამგზავრი ხომალდის „აღმოსავლეთი-6" ორბიტის პარამეტრები გაანგარიშებულს უახლოვდება. წინასწარი მონაცემებით, თანამგზავრ ხომალდის „აღმოსავლეთი-6" მიმოქცევის პერიოდი დედამიწის გარშემო შეადგენს 88,3 წუთს, მინიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირისაგან (პერიგეა) და მაქსიმალური (აპოგეა) შესაბამისად უდრის 183 და 233 კილომეტრს, ორბიტის სიბრტყის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყისადმი დაახლოებით 65 გრადუსია. კოსმოსურ ხომალდთან „აღმოსავლეთი-6" დამყარებულია განუწყვეტელი ორმხრივი რადიოკავშირი.

კოსმონავტმა ამხანაგმა ვალენტინა ვლადიმერის ასულმა ტერეშკოვამ დამაკმაყოფილებლად გადაიტანა ორბიტაზე ხომალდის გაყვანა და უწონობის მდგომარეობაში გადასვლა. ამხანაგი ტერეშკოვა კარგად გრძნობს თავს.

კოსმონავტი ამხ. ტერეშკოვა თავის გადაცემებს აწარმოებს 20,006 და 143,625 მეგაჰერც სიხშირეებით.

ხომალდზე დადგმულია აგრეთვე გადამცემი „სიგნალი", რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერც სიხშირეზე.

კოსმოსურ ხომალდებს „აღმოსავლეთი-5" და „აღმოსავლეთი-6" შორის დამყარებულია ორმხრივი კავშირი.

კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთი-5" და „აღმოსავლეთი-6" ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

ცნობებს ერთობლივი ფრენის მიმდინარეობის შესახებ გადასცემს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური.

## ნ. ს. ხრუშჩოვის რადიოგრამა კოსმონავტ ვ. ვ. ტერეშკოვას

კოსმოსური ხომალდი «აღმოსავლეთი-6»
კოსმონავტ ამხ. ვ. ვ. ტერეშკოვას

ძვირფასო ვალენტინა ვლადიმერის ასულო! გულითადად გილოცავთ თქვენ, მსოფლიოში პირველ კოსმონავტ ქალს, შესანიშნავ გაფრენას კოსმოსურ სივრცეებში.

საბჭოთა ხალხი ამაყობს თქვენი გმირობით. ჩვენ ყველანი უდიდესი ყურადღებით ვადევნებთ თვალს თქვენს გმირულ ფრენას და სულით და გულით გისურვებთ სიმხნევეს, კარგ სულიერ განწყობილებასა და ფრენის წარმატებით დამთავრებას.

ბედნიერ გზას გისურვებთ! დიდი სიხარულით შეგხვდებით ჩვენს საბჭოთა მიწაზე.

ნ. ხრუშჩოვი.

1963 წლის 16 ივნისი.

## საბჭოთა კოსმოსური ხომალდები „აღმოსავლეთი-5" და „აღმოსავლეთი-6"

ძვირფასო ვალენტინა ვლადიმერის ასულო და ვალერი თევდორეს-ძევ! გულითადად გილოცავთ ერთობლივი კოსმოსური ფრენის წარმატებით დაწყებას.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და კარგ სულიერ განწყობილებას, მშვიდობით ფრენასა და მიწაზე წარმატებით დაშვებას.

ნ. ხრუშჩოვი.

1963 წლის 16 ივნისი.

## „აღმოსავლეთი-6" საბჭოთა კავშირის ხალხებს

[illegible]



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩოვი სიამაყით ესაუბრება ორბიტაზე მყოფ პირველ საბჭოთა კოსმონავტ ქალს ვალენტინა ვლადიმეროვნა ტერეშკოვას

## ზუსტად 60 წლის წინათ, 1963 წლის 16 ივნისს

ზუსტად 60 წლის წინათ, **1963 წლის 16 ივნისს,** ხრუშჩოვის ხელისუფლებამ მსოფლიო მასშტაბის მე-2 ტრიუმფალური გამარჯვება იზეიმა. პირველი კოსმონავტის **იური გაგარინის** გაფრენიდან, სულ რაღაც, 26 თვეში, როცა კოსმოსურ სივრცეში უკვე იმყოფებოდა **ვალერი ბიკოვსკის** მიერ მართული საბჭოთა ხომალდი **„ვოსტოკ-5",** პარალელურად ორბიტაზე გავიდა ახლა უკვე **პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა** და სამი დღე-ღამის მანძილზე სერავდა ვარსკვლავეთის ტრამალებს.

**„ეჰეი, ზეცავ! მოიხადე შლაპა!"** — **ვლადიმერ მაიაკოვსკის** ამ სიტყვებით დაიწყო **ლეგენდარული ტერეშკოვას** კოსმოსური სტარტი და **„ვოსტოკ-6"** 16 ივნისის დილის 09 საათსა და 29 წუთზე ბაიკონურიდან ცაში აიჭრა. კოსმოსში გაფრენამდე ტერეშკოვამ ახლობლებს მხოლოდ ის ამცნო, რომ პარაშუტისტთა შეკრებაზე გაეშურა, სრული სიმართლე კი მათ რადიოდან შეიტყვეს.

გენერალ-ლეიტენანტი **ნიკოლაი კამანინი,** რომელიც ახდენდა კოსმონავტების შერჩევასა და მომზადებას, წარმატებული სტარტის კვალდაკვალ მოგვიანებით წერდა: ***„ჩაიკას"*** *(ასეთი იყო ტერეშკოვას საფრენოსნო „პოზივნოი") ფრენის დასრულების წინ ვამცნე, რომ გარკვეული ტექნი-*

გაგრძელება მე-2 გვერდზე



მარცხნიდან მარჯვნივ: საბჭოთა კავშირის პირველი კოსმონავტი იური გაგარინი, პირველი უკრაინელი კოსმონავტი პაველ პოპოვიჩი, პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა და საბჭოთა კომპარტიის ლიდერი ნიკიტა ხრუშჩოვი. 1963 წელი.

**ნაშთი ძველი დიდებისა...**

# სტალინური საქმის ტრიუმფი უსაქმური ხრუშჩოვის დროში

★ ნაშთი ძველი დიდებისა...



კოსმოსის გმირები: იური გაგარინი და ვალენტინა ტერეშკოვა

ეკავა ტრავმატოლოგია-ორთოპედიის ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორის პოსტი.

კოსმოსიდან დაბრუნების შემდეგ ტერეშკოვამ მიიღო სამოთახიანი ბინა ქალაქ იაროსლავლში, გოლუბიატნის ქუჩაზე, რომელიც დღეს მისი სახელობისაა. წლების მანძილზე იყო პარტიის თითქმის ყველა ყრილობის დელეგატი და სსრკ უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატი. **1969 წლის 22 იანვარს** იმყოფებოდა იმ ავტომობილში, რომელიც დაცხრილა ოფიცერმა **ვიქტორ ილინმა ლეონიდ ბრეჟნევზე** თავდასხმის დროს. 2011 წელს არჩეულ იქნა რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატად **„ედინაია როსსიას“** ეგიდით, თანამოაზრეებთან ერთად მხარს უჭერდა ცვლილებებს რუსეთის კონსტიტუციაში, რომელთა მიხედვითაც **„მართლმადიდებლობა არის რუსეთის ნაციონალურ-კულტურული თვითმყოფადობის საფუძველი“.** კოსმოსური ვოიაჟიდან 60 წლის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ტერეშკოვა დააჯილდოვა სულ ახლახან დაარსებული **იური გაგარინის ორდენით.**



კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 143 (12655) | ოთხშაბათი, 19 ივნისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

...იო ცნობა

...უნისტური პარტიის ...ს პლენუმის შესახებ

საკდესის ცნობა



კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 142 (12654) | სამშაბათი, 18 ივნისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

კრემლი — კოსმოსი

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

ტელეფონით მსოფლიოში პირველ კოსმონავტ ქალთან ვალენტინა ვლადიმერის ასულ ტერეშკოვასთან

საკდესის ცნობა



ვაშა თქვენ, კოსმოსის გმირებო!

ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის ფრენა წარმატებით დამთავრდა

ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა.

ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკი.

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 144 (12656) | ხუთშაბათი, 20 ივნისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის განცხადება

კოსმოსური ხომალდები დაეშვნენ დედამიწაზე

საკდესის ცნობა

ერთად ფრენა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდისა „აღმოსავლეთი-6“, რომელსაც მართავდა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი სსრ კავშირის მოქალაქე ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა და კოსმოსური თანამგზავრი ხომალდისა „აღმოსავლეთი-5“, რომელსაც მართავდა კოსმონავტი სსრ კავშირის მოქალაქე ვალერი თევდორეს-ძე ბიკოვსკი, წარმატებით დამთავრდა.

ერთად ფრენის პროგრამის შესაბამისად 1963 წლის 19 ივნისს ხომალდები „აღმოსავლეთი-6“ და „აღმოსავლეთი-5“ დაეშვნენ მიწაზე საბჭოთა კავშირის გათვალისწინებულ რაიონში.

...კოვის დროით 620 კილომეტრზე ქალაქ ყარაღანდის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ამის შემდეგ გაანგარიშებული 82-ე გარშემოვლის დროს 14 საათსა და 06 წუთზე დაჯდა ხომალდი „აღმოსავლეთი-5“ 540 კილომეტრზე ქალაქ ყარაღანდის ჩრდილო-დასავლეთით.

გაანგარიშების შესაბამისად ორივე კოსმოსური ხომალდი მიწაზე დაეშვა ერთ განედზე — 53 გრადუსზე.

მიწაზე დაშვების ადგილას, გმირ-კოსმონავტებს შეხვდნენ ძირდაშვების უზრუნველყოფის ჯგუფები, მეგობრები...

## დასაწყისი პირველ გვერდზე

კური ხარვეზების გამო მოუწევდა ხელით მართვაზე გადასვლა. ორი წარუმატებელი ცდის შემდეგ ტერეშკოვამ აღიარა, რომ ხომალდის ორიენტაციაში მოყვანა შეუძლებელი გახდა და შეიქმნა რეალური საფრთხე, „ვოსტოკ-6“-ს ვეღარ გამოეღწია ორბიტიდან. მოგვიანებით გაირკვა, რომ ხელის მართვისას ხომალდი არ მოძრაობდა იმ მიმართულებით, როგორც ტრენაჟორზე სწავლებისას და ეს იყო სადენების პოლარობაში დაშვებული შეცდომის შედეგი — დაღმასვლის ბრძანებაზე ხომალდი ზევით მიიწევდა და — პირიქით. საბოლოოდ ისევ ავტომატურმა რეჟიმმა გაამართლა და ხომალდის დასმაც მოხერხდა, თუმცა, ამის შესახებ ტერეშკოვა, საბჭოთა ბალისტიკის მამის — **კოროლიოვის** თხოვნით, მთელი 40 წელი დუმდა.“

**კოსმონავტმა ქალმა 48-ჯერ შემოუფრინა დედამიწას და 19 ივნისს, დილის 08 საათსა და 20 წუთზე, წარმატებით დაეშვა ალტაის მხარის ბაევსკის რაიონში.**

ამჟამად საბჭოთა კავშირის გმირი, 1937 წლის 6 მარტს დაბადებული **ვალენტინა ტერეშკოვა** 86 წლისაა. 2022 წლის მიწურულს იგი შეყვანილ იქნა ევროკავშირის მიერ სანქცირებულ პირთა სიაში უკრაინის სუვერენიტეტის საწინააღმდეგო პოზიციისა და დონეცკის, ლუგანსკის, ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქების რუსეთის ფედერაციაში გაერთიანების მხარდაჭერისათვის. გმირი კოსმონავტი ქალი მოხვდა ამერიკის, კანადის, შვეიცარიისა და ახალი ზელანდიის სანქციების მარწუხებშიც.

ვალენტინა ტერეშკოვას პირველი ქმარი იყო მესამე საბჭოთა კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი **ანდრიან ნიკოლაევი** (1929-2004). ქორწილს ესწრებოდა **ნიკიტა ხრუშჩოვი.** მათ ერთად 19 წელი იცხოვრეს, ხოლო გაყრის მიზეზი ტერეშკოვამ მოკლედ განმარტა: **„მუშაობაში — ოქრო, სახლში — დესპოტი“.** ქალიშვილი **ელენე ტერეშკოვა** *(დაიბადა 1964 წლის 8 ივნისს)* მსოფლიოში პირველი ბავშვია, რომლის ორივე მშობელი კოსმონავტი იყო.

**ვალენტინა ტერეშკოვას** მეორე მეუღლე სამედიცინო სამსახურის გენერალ-მაიორი **იული შაპოშნიკოვი** გარდაიცვალა 1999 წელს და

**ქართული საბჭოთა პრესა ლამის 1963 წლის ივნისის ბოლომდე არნახული აქტიურობით აშუქებდა პირველი კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას საარაკო გმირობას, რომელმაც შეძრა მთელი მსოფლიო.**

## ПУТИН НАГРАДИЛ ТЕРЕШКОВУ НЕДАВНО УЧРЕЖДЕННЫМ ОРДЕНОМ ГАГАРИНА

**Президент России Владимир Путин наградил первую женщину–космонавта Валентину Терешкову недавно учрежденным орденом Гагарина. Подписанный главой государства указ опубликован на портале правовой информации.**

**Из документа следует, что Терешкова награждена «за выдающиеся заслуги в освоении космического пространства, мужество и самоотверженность, проявленные в ходе осуществления исторического пилотируемого полета в космос». Также отмечается ее активная общественная и международная деятельность.**

**Терешкова стала первым кавалером новой государственной награды. Путин учредил орден Гагарина в мае 2023 года. Его будут вручать за особые заслуги в сфере космоса и успехи в подготовке специалистов в этой области. Кроме того, награда может быть присуждена иностранным гражданам за эффективное участие в сотрудничестве с Россией.**



*ვის არ აჩქარებია გული „ამერიკული გორაკების“ ატრაქციონზე? ასეთივეა უკიდურესობებზე მდგარი ამერიკული პოლიტიკაც — მკვეთრი, გაუმართლებლად კატეგორიული, დიპლომატიისა და კომპრომისების გარეშე. მაგრამ აქვს თუ არა ამერიკულ სისტემას მრავალპოლარული სამყაროს პირობებში გამძლეობის საკმარისი რესურსი, რათა იარსებოს რუსეთთან, ჩინეთთან, ირანსა და სხვა ევრაზიულ ქვეყნებთან დაპირისპირების პირობებში, რომლებსაც სძულთ ამერიკა ვაშინგტონის ადმინისტრაციის მაქსიმალიზმის გამო?*





**არნო ხიდირბეგიშვილი**

# ამერიკული გორაკები

**დონალდ ტრამპს** 37 ბრალდება წარედგინა და დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, აშშ-ის 45-ე პრეზიდენტს 400 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, თუმცა, რეალურად შეიქმნა საწინააღმდეგო სურათი — მისი რეიტინგი 61%-ზე ავარდა. მოკლედ, **ან — პატიმარი, ან — პრეზიდენტი, ან — შავკანიანების ხოცვა, ან — მათთვის ფეხების საჯაროდ დაკოცნა — ასეთია ამერიკული მაქსიმალიზმის ანატომია.**

**კარგია,** რომ ამერიკის მართლმსაჯულებას არ ეშინია პასუხისგებაში მისცეს პრეზიდენტები. **ცუდია,** რომ ოვალური კაბინეტიდან წამოღებული საბუთების თავიანთ ავტოფარეხში შენახვა ეპატიებათ მხოლოდ მოქმედ პრეზიდენტებს, მაგრამ ხდება საბრალდებო დასკვნის საფუძველი ექსპრეზიდენტთა წინააღმდეგ!

დიახ, **კარგია,** რომ შეერთებულ შტატებში არ ეშინიათ, თუნდაც პრეზიდენტებს მოჰკითხონ ცოდვები, **ცუდია,** რომ აშშ ამის გაკეთებას სხვას უკრძალავს. დიახ, **აშშ დაუშვებლად მიიჩნევს ამერიკელი მარიონეტების პასუხისგებაში მიცემას იმ ქვეყნებში, რომლებსაც თავის ვასალებად თვლის.** სწორედ შეერთებული შტატების წყალობით, **სომხური ფესვების, დაბალი მორალური პასუხისმგებლობისა და ფსიქიკური ნაკლოვანებების მქონე ჭაბუკი** საქართველოს პრეზიდენტობამდე აფრინდა, მაგრამ ვადის ამოწურვის შემდეგ **სააკაშვილის** პასუხისგებაში მიცემა, **ტრამპის** მსგავსად, შეერთებულმა შტატებმა აკრძალა, უფრო მეტიც — 2013 წელს სტუმართმოყვარედ გაუღო კარი სამხედრო დამნაშავეს! **და 9 წლის შემდეგ უკრაინის მოქალაქე არაჟნის კონტეინერით რომ არ დაბრუნებულიყო, დღემდე ინეტარებდა კოკაინით, იბანავდებდა საქართველოდან მოპარულ მილიონებში და ქორწინების გარეშე ბავშვებსაც დაშტამპავდა!**

საქართველოში კი ახალი ხელისუფლება მოვიდა, რომელმაც, უბრალოდ, **თვლა** დაიწყო. ამერიკას **დაუთვალეს,** რომ ერაყისა და ავღანეთის სამხედრო ოპერაციებში ერთობ გაზრდილი კონტინგენტის მონაწილეობის მიუხედავად, საქართველო ნატოში არ მიიღეს. ევროპასაც **დაუთვალეს,** რომ ყველა ევროსტანდარტის დაკმაყოფილების მიუხედავად, ქვეყანას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭეს, რომელიც უპრობლემოდ უბოძეს შეუმდგარ ქვეყნებს — **კორუფციაში ჩაძირულ მოლდოვასა და უკრაინას.** მარტივი სტატისტიკური კვლევებით ისიც გაირკვა, რომ აშშ და ევროკავშირი საქართველოს არ ინახავენ — **არ ყიდულობენ ქართულ პროდუქტს, არ დებენ ინვესტიციებს, არ ხსნიან ქარხნებს, არ ქმნიან სამუშაო ადგილებს და აქ მხოლოდ დასასვენებლად ჩამოდიან.** ამიტომ საქართველო არ დაუწესებს სანქციებს და არც ომს გამოუცხადებს რუსეთს, რომელიც მას აპურებს. დიახ, საქართველო გააგრძელებს რუსეთთან ვაჭრობას და კვლავაც მიიღებს იქაურ ტურისტებს, რაც ტანკებსა და „ჯაველინებზე“ უკეთ შემობრუნებს ქართველებისკენ აფხაზებსა და ოსებს. მაგრამ ვაშინგტონში ეს არ ესმით, რადგან შერიგება, რეინტეგრაცია, ნდობის აღდგენა, სავაჭრო პარტნიორობა და დიალოგი არ ჯდება **აშშ-ის მაქსიმალისტურ სტანდარტებში.** მოკლედ, კვლავ ზემოთ ნახსენები **„ამერიკული გორაკები“** — ან ზევით, ან ქვევით — ყველა ერთის წინააღმდეგ და ერთის დასაცავად, და არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის მტყუან-მართალი — რუსეთი თუ უკრაინა!

**„ამერიკული გორაკების“ უკიდურესობებიდან გამომდინარე,** შეერთებული შტატები საქართველოს არასრულყოფილ სასამართლო სისტემაზე მიანიშნებს და სანქციებით სჯის ქართველ მოსამართლეებს, თუმცა, საკუთარ ქვეყანაში აქეზებს პოლიტიკურ სამართალს როგორც უდანაშაულობის პრეზუმფციის იგნორირებით, ასევე ფალსიფიცირებული ფაქტების ოპერირებით! **მსოფლიოში არავის სჯერა, რომ „მის მსოფლიოს“ კონკურსის მფლობელს, მშვენიერი მელანიას ქმარს თვალი გაექცეოდა სინდის-ნამუსის დოლარებზე გამყიდველი ჭორიკნებისკენ. რა მოიგო ამერიკამ ამ ცრუ ბრალდებებით?**

არცთუ შორეულ წარსულში მსოფლიომ იხილა, როგორ ჩაერია ამერიკის სახელმწიფო სისტემა საარჩევნო კამპანიაში **ბაიდენის** სასარგებლოდ და **ტრამპის** წინააღმდეგ. **რა არის ეს, თუ არა სახელმწიფო რესურსის გამოყენება, რასაც ყოველი არჩევნების დროს აშშ „ქართულ ოცნებას“ აბრალებს?**

იმავე **„ამერიკული გორაკების“** პრინციპით, მთელი დასავლეთი საქართველოს მედიაზე ზეწოლის გამო აკრიტიკებს და, იმავდროულად, ყველა ამერიკული ტელეკომპანიისთვის აკრძალულია **ტრამპის** გამოსვლების ჩვენება, მისი საარჩევნო კამპანიის გაშუქება! სამაგიეროდ, ეკრანიდან არ ჩამოდის **მოზარზაცე ბაიდენი. განა შეერთებული შტატებისთვის რუსეთის ბირთვული იარაღი უფრო საშიშია, ვიდრე უკრაინაში კორუფციით სახელგანთქმული პრეზიდენტი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ორიენტაციას კარგავს და ძირს ეცემა?! ვისი ოჯახიც შერცხვენილია ბინძური სკანდალებით?**

კრემლის პროპაგანდას ნამდვილად არ შეუძლია აშშ-ის დისკრედიტაცია ქართველების თვალში იმაზე მეტად, ვიდრე ეს **ლგბტ აქტივისტსა და რადიკალური ოპოზიციის ლობისტ კელი დეგნანს** გამოსდის, რომელიც ამერიკის ელჩად იწოდება. ან რას ნიშნავს ამ პერსონის გაუთავებელი საყვედურები მართლმადიდებელი, ჰეტეროსექსუალი ქართველებისადმი — აქაოდა, არ ებრძვით რუსებს, რომლებმაც უღალატეს უკრაინასა და დასავლურ ღირებულებებს?! **რომელ პროპაგანდასა და პიარს შეუძლია ასე მკვეთრად გაზარდოს ღარიბაშვილის, კალაძისა და კობახიძის რეიტინგი, ვიდრე დეგნანის კრიტიკას მათი მისამართით?**

**შედეგად, ვაშინგტონის მაქსიმალიზმსა და უკიდურესობებზე აგებული პოლიტიკა ჩაფლავდა როგორც აშშ-ში, ასევე საქართველოში.** დივიდენდები, რომლებიც აშშ-მა რუსეთისა და ევროკავშირის ეკონომიკებისათვის ომით მიყენებული ზარალისგან მიიღო, შეუდარებელია იმ ხარჯებთან, რაც **კიევის რეჟიმისთვის** შეიარაღების მიწოდებით გასწია. მართალია, **„ამერიკული გორაკების“** წყალობით, **კომიკოსი ზელენსკი** უკრაინის პრეზიდენტობამდე აფრინდა, მაგრამ ჩაიფუშა საკუთარი განსაკუთრებულობის რწმენით შეპყრობილი ამერიკელი ძიების სურვილები, რომლებსაც სერიოზულად სჯეროდათ, რომ **კვაზი-სახელმწიფო კვაზი-პრეზიდენტითა და კვაზი-ეკლესიით** რუსეთის დამარცხებას შეძლებდა! **ასე გადავიდა მაქსიმალიზმი იდიოტიზმში!**

ასე რომ, რამდენიც არ უნდა იფრინო **„ამერიკულ გორაკებზე“,** მაინც მიწაზე დაშვება მოგიწევს. ამდენად, საინტერესოა, გააგრძელებს თუ არა აშშ უმისამართო ფრენას და არაპრაგმატული პოლიტიკის გატარებას 2024 წლის არჩევნებამდე, სადაც, სავარაუდოდ, **ტრამპი** გაიმარჯვებს, საქართველოში კი — **„ქართული ოცნება“!** ან იქნებ მოხდეს სასწაული და, ბოლოს და ბოლოს, ამერიკა „მიწაზე დაეშვას“, შეწყვიტოს უკრაინაში ამერიკელ და ევროპელ გადამხდელთა ფულის ფლანგვა, რითიც უამრავ სიცოცხლეს გადაარჩენს!

დამაბრმავებელი მაქსიმალიზმი ხელს უშლის ამერიკელ ანალიტიკოსებსა და პოლიტიკოსებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამერიკის თანამედროვე საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, აღიარონ, რომ **ომი არ არის შეერთებული შტატების ძლიერი მხარე.** აშშ-ის ძალა ომში კი არა, ბიზნესშია, ომის შეწყვეტით და უკრაინის აღდგენაში მონაწილეობით იგი მიიღებს უზარმაზარ მოგებას, რაც რუსეთთან პარტნიორობით კიდევ უფრო გაიზრდება. ეს მარტივი არითმეტიკის საკითხია და თუ შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა, იხელმძღვანელოს არა პრაგმატიზმით, არამედ ზოგადსაკაცობრიო იდეალებით, მაშინ გაასაჯაროონ ამ იდეალების საკუთარი ვერსია და გააცნონ ისინი მსოფლიოს! **მაგრამ ვშიშობ, რომ ვაშინგტონელმა ოროსნებმა და მათმა კიეველმა გლადიატორებმა ეს იდეალები ჰიტლერის „მაინ კამპფიდან“ გადმოწერეს!**




**პუბლიცისტის დღიურიდან**



## გრიშა ონიანი:

**„მართალია, სამარის კარს ვუახლოვდები, მაგრამ იმ წუთიდან, რა წამს ერეკლე მეფის „ღალატზე“ სიტყვა დაიძრა, თითქოს ძალა მომემატა, გონება დამეძაბა და გადავწყვიტე, ათასგზის თავმოჭრილი ლევან ბერძენიშვილი ზუსტად ისე გავაგორო პატივცემული აუდიტორიის წინაშე, როგორც 1770 წლის 20 აპრილს ერეკლე მეფემ კოხტა ბელადის, ანუ იმავე მალაჩილას თავი ასპინძის ველზე გააკოტრიალა!“**

# თელავის ცენტრში, სადაც ერეკლე მეფის ქანდაკებაა აღმართული, დაიდგას რკინის გალიაში გამომწყვდეული ლევან ბერძენიშვილის დაჩოქილი, შარვალჩახდილი და ენაგადმოგდებული ბრინჯაოს გაშარჟებული ქანდაკება, რომელსაც ყველამ უნდა შეაფურთხოს!

***1724 წლის ივლისში, როცა რაჭის გზით, სოფელ ღებისა და გურძიევცეკის უღელტეხილის გავლით, უბედური ვახტანგ მეექვსე რუსეთისკენ მიმავალ გზას დაადგა, მისი შვილიშვილი, მომავალი „პატარა კახი“ და საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფე ერეკლე მეორე ბაგრატიონი 4 წლისაც არ იყო... 4 წელი ერეკლეს 1724 წლის 7 ნოემბერს შეუსრულდა, როცა ვახტანგი თავისი 1200-კაციანი ამალით უკვე „მოსკოვს ქალაქს“ იყო და „მზეს ელოდა“, როგორც ამას დავით გურამიშვილი აღწერს „ქართლის ჭირში“. ეს ის ერეკლე მეფეა, რომელმაც 240 წლის წინათ, 1783 წლის 24 ივლისს, რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატი გააფორმა და რომლის „ღალატზეც“ ამ ბოლო დროს ენა პირში მურდლად არაერთხელ მოატრიალა სულაძაღლებულმა ლევან ბერძენიშვილმა. საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე გრიშა ონიანი ერეკლე მეფის პერსონას აფასებს, მის ევროპულ პოლიტიკას მიმოიხილავს და იმ ვითარებას გვაცნობს, რომელიც ქართულ-რუსული ურთიერთობის ჩანასახში საქართველოში სუფევდა:***

— მართალია, სამარის კარს ვუახლოვდები, მაგრამ იმ წუთიდან, რა წამს ერეკლე მეფის „ღალატზე“ სიტყვა დაიძრა, თითქოს ძალა მომემატა, გონება დამეძაბა და გადავწყვიტე, ათასგზის თავმოჭრილი ლევან ბერძენიშვილი ზუსტად ისე გავაგორო პატივცემული აუდიტორიის წინაშე, როგორც 1770 წლის 20 აპრილს ერეკლე მეფემ კოხტა ბელადის, ანუ იმავე მალაჩილას თავი ასპინძის ველზე გააკოტრიალა. ჯერ გული უნდა მოვიოხო **ლევან ბერძენიშვილის** ჩათლახობის გამომზეურებით და იმ სისულელეების გამოაშკარავებით, რომლებიც საარქივო წყაროებზე დაყრდნობით მაქვს გაცამტვერებული, ხოლო მერე მეფე ერეკლეზეც გადავალ და მის საგმირო საქმეებზეც ვისაუბრებ.

**— ბატონო გრიშა, ბერძენიშვილები ყველაფრის ღირსები რომ არიან, ეს ფაქტია, მაგრამ გაზეთი ნამდვილად ვერ დაიტევს იმ ლანძღვა-გინებას, რასაც ბერძენიშვილი და მისთანა გარეწრები იმსახურებენ!**

— ჩემი მოთმინება, ჩემი სირცხვილი, თავშეკავება და ზრდილობა იქ თავდება, სადაც სამშობლოს დასაცავად **ოთხმოც ჭრილობამიყენებულ, 80 წელს მიტანებულ მოხუც მეფეს** და ოთხმოც ბრძოლამოგებულ გმირს თვისტომი „მოღალატესა“ და „გამყიდველს“ უწოდებს. ეს ბინძური კაცი, **ლევან ბერძენიშვილი,** გარდა მოღალატისა, „შპიონიცაა“, ანუ უცხო ქვეყნის დაქირავებული აგენტი, რომელიც თავისი გველური სისინით ადამიანებს და განსაკუთრებით მომავალ თაობას შხამავს. **ბალაკტიონი** ერეკლე მეფეზე ამბობდა:

**„არ უნახავს**
**თვითმფრინავი,**
**არც ატომის ენერგია,**
**ისე გასჭრა ასი ომი,**
**ერთიც რომ არ წაუგია“.**

ნაძირალა ბერძენიშვილი კი გვარწმუნებს: *„ერეკლე მეფე მოღალატე რომ არის, ამას მე კი არა, აგერ არის ნიკოლოზ ბარათაშვილი და სოლომონი, იმათ დაეკითხეთ“*-ო! შე ღვთის პირიდან გავარდნილო ძაღლისშვილო, ბერძენიშვილო, შენ გგონია, მაშინ უფრო თავისუფლები ვიყავით, თურქულ და ირანულ სამოსში გამოწყობილი ცხრაჯერ დასაჭურისებული და ათჯერ თვალებდათხრილი ქართველი მეფეები როცა გვბატონობდნენ და რჩეულ ქალ-ვაჟებს ხარკად მიართმევდნენ ხოლმე ურჯულოთა ჰარამხანებს?

**— მოდით, გავაცოცხლოთ ის პოლიტიკური რეალობა, რაც ერეკლეს დაბადებამდე საქართველოში ტრიალებდა!**

— ცნობილია, რომ პირველი ელჩობა ქართული სამეფო-სამთავროებიდან რუსეთში კახეთის სამეფომ, კერძოდ, **მეფე ლევანმა** (1518-1574 წ.წ.) მიავლინა. მან 1563 წელს იმასაც კი მიაღწია, რომ კახეთის ციხეებში **ივანე მრისხანემ** რუსი ჯარისკაცები ჩააყენა. ლევანის მემკვიდრემ, კახეთის მეფე **ალექსანდრე მეორემ** 1587 წელს რუსეთთან **„ფიცის წიგნი“** გააფორმა. ქართველმა ერმა უნდა იცოდეს, თუ რა პირობებზე მოაწერა ხელი ალექსანდრე კახთა მეფემ და რას მოუწოდებდა ის ქართველობას — *„ემსახუროთ მე და ჩემს ხალხს მთელი იბერიის მიწა-წყალზე სრულიად რუსეთის დიდ ხელმწიფეს თევდორე ივანეს ძეს და არ ჩამომრჩეთ მე!“* იქვე „წყალობის წიგნში“ მინაწერია — *„და იყავ შენ მეფე ალექსანდრე მთელი იბერიული მიწა-წყლის ჩვენი წყალობის ქვეშ, ჩვენი სამეფოს ხელდასხმით და გვემსახურე ჩვენ და მიგვიღე“.*

„წყალობის სიგელში“ ისიც გარკვევით წერია, თუ რა დავალება უნდა შეუსრულოს რუსეთის მეფეს **ალექსანდრე კახთა მეფემ:** *„... და რომელი მთავრები არ დაემორჩილებიან ჩვენი მეფის ხელისუფლებას და ჩვენს სამშობლოს, ასტრახანს და ქალაქ ტერეკს ვერ მოუახლოვდებიან და თუ არ სურთ შევკალელ და ჩერკასელ და მთის მთავრებს ჩვენს წყალობაში ყოფნა, შენ ალექსანდრე მეფე... ყველა ჩვენი ურჩების წინაალმ-*



ერეკლე მეორის ძეგლი თელავის ცენტრში




ლევან ბერძენიშვილის გადიდებული სურათი თელავის ცენტრში არსებული საზოგადოებრივი ტუალეტის შესასვლელში

დეგ თავად წადი მათთან და გაგზავნე შენი ხალხი და მოიყვანეთ ისინი ჩვენს ნებაზე, ჩვენს სამშობლოში — ასტრახანში და ქალაქ ტერეკში ჩვენი სამეფოს ხელქვეშ ... და რომელი იქნება ჩვენი მტერი, მე წავალ ასტრახანში ან ქალაქ ტერეკში, ან ჩემს ხალხს გავგზავნი — და შენ, ალექსანდრე მეფე... დაეხმარე ჩვენს სამშობლოს — ასტრახანს და ქალაქ ტერეკს და დადექი ჩვენი მტრების წინააღმდეგ“ ***(ს. ბელოკუროვი, რუსეთის ურთიერთობა კავკასიასთან, გამ. I, 1578-1613 წწ., 1889, გვ. 89).***

**კახეთის მეფე ალექსანდრეს** რუსებმა ეს არ აკმარეს და გადასახადიც დაუწესეს: **„ათი კარგი აზრუმაკი, 10 კარგი ცხენი, ხუთი ინახოდეცი, ორმოცდაათი ოქროს ყიზილბაშური „კამოკი“ თითო ოქროთი და ვერცხლით, საუკეთესო ათი ხალიჩა თითო ოქროთი, ვერცხლით და აბრეშუმით“** („აგრუმაკი“ — არაბული ჯიშის მერანი, „ინახოდეც“ — იორღა ცხენი). აღნიშნული გადასახადის გადახდის საფუძველი რუსებს დადგენილი ჰქონდათ, რადგან კარგად უწყოდნენ, რომ საქართველოდან ირანსა და თურქეთში ორმოცდაათი საპალნე აბრეშუმი იგზავნებოდა და ამავე დროს იცოდნენ კახეთში საუკეთესო ჯიშის ცხენებიც მოიძიებოდა, რომ აღარაფერი ვთქვა სხვა საგადასახადო ვალდებულებებზე. მსგავსი **„ფიცის წიგნებით“** და **„წყალობის სიგელებით“** ხშირად ურთიერთობდნენ ქართველი და რუსი მეფეები, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევდნენ და ეს ყველაფერი ხდებოდა ერეკლემდე...

**— ახლა იმაზეც ბრძანეთ, თურქეთისა და ირანის მიერ აწიოკებული საქართველო რა დღეში იყო!**

— ცნობილი რუსი ისტორიკოსი **მიხეილ პოლიევქტოვი** 1928 წელს გამოცემულ **„ქნიაზ მიშეცკის ელჩობა კახეთში“,** 147-ე გვერდზე აქვეყნებს დოკუმენტს, რომელშიც ვკითხულობთ — *„... თეიმურაზ მეფე, უფლისწული დავითი და თქვენ — თეიმურაზ მეფის ახლობელი ადამიანები შაჰის ელჩს ყიზილბაშების ჩალმითა და ტანსაცმლით რატომ ხვდებით?“* შეკითხვას **რევაზ ბეიმ** ასე უპასუხა: *„თავად მოგეხსენებათ, რომ ყიზილბაშების ტყვეობაში ვცხოვრობთ. ეს რომ არ გავა-*



**„აი, რას წერდა 1755 წელს ბრიტანული გაზეთი „London Magazine on Gentleman's Monthly Intelligence“ ერეკლე მეფის შესახებ — *„ის აღმოსავლეთის ყველაზე გამოცდილი პრინცია. ასაკით 27 წლისაა, გამაოგნებელი გულადობა შესანიშნავად ერწყმის ბრძენკაცურ სიმშვიდეს. უკიდეგანო გამოცდილება, უძლეველი ვაჟკაცობა, სანიმუშო ღირსება, კეთილშობილებით სავსე სამართლიანობა და უსაზღვრო სივრცე აზროვნებისა. მისმა ღირსებებმა ის საკუთარი ხალხისა და ჯარისკაცების კერპად, მეზობლების აღფრთოვანების საგნად და მტრების შიშის ზარად აქცია!“***

# წინაპარი ★

*ქეთოთ, ყიზილბაშები ერთ საათსაც არ გვაცოცხლებენ!“* ცნობისათვის, **ქნიაზი მიშეცკი** კახეთში მეფე **თეიმურაზ პირველს** ესტუმრა, ანუ ამბავი ერეკლეს დაბადებამდე მთელი ასი წლით ადრე ხდება.

დოკუმენტიდან კარგად ჩანს, თუ რა დღეშია საცოდავი საქართველო. **ლევან ბერძენიშვილო, ნუთუ ამის შესახებ არაფერი გაგიგია? თუმცა, შენთვის ხომ სულერთია, სად გიხმარენ? შენ ხომ ეროვნება არ გაქვს! შენ სხვას როგორ უნდა უწოდო სიტყვა „მოღალატე“, როდესაც ციხეში კაცად შეხვედი და ქალად გამოხვედი?** ამას მარტო მე ხომ არ გეუბნები?!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაპირებ, გავხსნა ანგარიში და ვთხოვო საქართველოს მთელ მოსახლეობას, **ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის ისტორია და ჩვენი სახელოვანი ადამიანები, რომ ამ ანგარიშზე ჩარიცხონ თითო ლარი, რომელიც გადახდილი იქნება დაჩოქილი, შარვალჩახდილი და ენაგადმოვარდნილი ლევან ბერძენიშვილის ბრინჯაოს გაშარჟებული ქანდაკების შესაქმნელად.** კახეთის მოსახლეობა და, კერძოდ, თელავის მოქალაქეები, იმედია, უარს არ იტყვიან, რომ თელავის ცენტრში, სადაც ერეკლე მეფის სამეფო ტახტი და მისი ქანდაკებაა აღმართული, დაიდგას რკინის გალიაში გამომწყვდეული **ლევან ბერძენიშვილის** დაჩოქილი, შარვალჩახდილი და ენაგადმოგდებული ბრინჯაოს გაშარჟებული ქანდაკება, რომელსაც ყველამ უნდა შეაფურთხოს! დიახ, იქვე გაკეთებული იქნება წარწერა: **„ამ ბარეწარმა სამშობლოს ღალატი დასწამა გმირ მეფე ერეკლე მეორეს. გთხოვთ, მიაფურთხოთ ან ესროლოთ ტალახი!“**

**— მე თუ მკითხავთ, ძალიან საინტერესო და მართებული აზრია!**

— ეს აზრი დამებადა მას შემდეგ, რაც წავიკითხე **ვოროშილოვის** ჩინეთში სტუმრობის ამსახველი მასალები. მოგეხსენებათ,1957 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ჩინეთს ესტუმრა საბჭოთა კავშირის მარშალი **კლიმენტი ვოროშილოვი.** მთელი ჩინეთის მოსახლეობა და ხელისუფლება უმაღლეს დონეზე შეხვდა სტუმარს, მაგრამ არა როგორც მარშალსა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს, არამედ როგორც სტალინის ერთგულ და დიდი ხნის მეგობარს. ვოროშილოვს ანახეს ჩინეთის მთელ ტერიტორიაზე არსებული ზღაპრული ადგილები. სტუმარი ბოლოს მიიყვანეს ეკლესიაში, რომლის ეზოშიც დასაფლავებულია ჩინეთის სახალხო გმირი **იუე ფეი** (1103-1142 წ.წ.) **ფეის** სიკვდილის მიზეზად დასახელებულია ღალატი, რომელიც გმირის მიმართ ცოლ-ქმარმა ჩაიდინა. **სწორედ ამ მოღალატე ცოლ-ქმრის მუხლმოყრილი, გაშარჟებული ქანდაკებებია დადგმული გმირის საფლავიდან ოდნავ მოშორებით, რკინის გალიაში.** ეკლესიაში მომსვლელი ყველა მლოცველი თუ გმირის საფლავის მომნახველი, ვალდებულია, მიაფურთხოს ან ტალახი ესროლოს აღნიშნულ ქანდაკებებს, რითიც პატივს მიაგებენ სრულიად ახალგაზრდა და სახელოვანი ეროვნული გმირის ხსოვნას.

დიდხანს იდგა **ფეის** ქანდაკების წინ თავჩაქინდრული **კლიმენტი ვოროშილოვი** და ფიქრობდა, რომ ჩინელებმა ბოლოს აქ განგებ მოიყვანეს, რათა ვირტუალურად წარმოედგინათ სტალინისა და ყველა იმ პირის სამომავლო ცხოვრების სცენა, რომლებმაც ბელადს უღალატეს. ყოველივე ამას ღიმილით შესცქეროდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეორე პირი **ჩუ დე,** რომელიც ასევე კარგად ხვდებოდა კლიმენტი ვოროშილოვის ღრმა ფიქრებში წასვლის საიდუმლოებას.



ჩინეთის სახალხო გმირი იუე ფეი (1103-1142)

## ლევან ბერძენიშვილის ასეთი გაშარჟებული ქანდაკება იქნება პასუხი იმ ადამიანების მიმართ, ვინც სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანებს ცილს დასწამებს და მათ სახელს შეურაცხყოფს.

**— ბევრმა არ იცის, რომ ვიდრე გეორგიევსკის ტრაქტატს გააფორმებდა, ერეკლემ თავისი წინაპრების მსგავსად არაერთხელ სცადა ევროპისკენ ფანჯრის გაჭრა, მაგრამ სრულიად უშედეგოდ!**

— გათახსირებული **ლევან ბერძენიშვილის** გასაგონად ვიტყვი, რომ ერეკლემ ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში დაიწყო ფარული კავშირების გაბმა ევროპის დიდ სახელმწიფოებთან, სადაც თავისი გმირული მოქმედებებით დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. არსებობს ეჭვი, რომ ერეკლე მეფე სამხედრო საქმეს ლონდონში დაეუფლა. ერეკლე მეფე ევროპისათვის არამხოლოდ ივერთა მეფე იყო, არამედ ევროპის იმედიც, რომელსაც დიდების შარავანდედით ამკობდა ევროპული პრესა. არ ვიცი რუსეთის პატივისცემით თუ შემდგომში, ევროპის ფაქტობრივი მპყრობელის, ქართველი იმპერატორის — **სტალინის** შიშით, მაგრამ ფაქტია, რომ **ბევრი ისტორიკოსი გაურბოდა მეფე ერეკლეს ევროპულ კურსზე საუბარს.** ქართველმა მკვლევარმა და მეცნიერმა **გიორგი კალანდიამ** სულ ცოტა ხნის წინათ შეაღწია ქართველი მეფის დიდების საგანძურში და მზის სინათლეზე გამოიტანა ამ უზარმაზარი ქართველი გმირის შორს გატყორცნილი ამბავი.

**— გიორგი კალანდიამ ერეკლე მეფის შესახებ მართლაც საინტერესო დოკუმენტები მოიძია, რომლებიც აქამდე ცნობილი არ იყო!**

— ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს დიდი ბრიტანეთის ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებული მეფე ერეკლეს პიროვნული დახასიათება. **„შპიონი“ და ჩათლახი ლევან ბერძენიშვილის გარდა, ინგლისელების მიერ მეფე ერეკლესადმი მიძღვნილი ეს შეფასება ყველა ქართველისთვის საამაყოა!** აი, რას წერდა 1755 წელს ბრიტანული გაზეთი „London Magazine on Gentleman's Monthly Intelligence“ ერეკლე მეფის შესახებ — *„ის აღმოსავლეთის ყველაზე გამოცდილი პრინცია. ასაკით 27 წლისაა, გამაოგნებელი გულადობა შესანიშნავად ერწყმის ბრძენკაცურ სიმშვიდეს. უკიდეგანო გამოცდილება, უძლეველი ვაჟკაცობა, სანიმუშო ღირსება, კეთილშობილებით სავსე სამართლიანობა და უსაზღვრო სივრცე აზროვნებისა. მისმა ღირსებებმა ის საკუთარი ხალხისა და ჯარისკაცების კერპად, მეზობლების აღფრთოვანების საგნად და მტრების შიშის ზარად აქცია! მისი სიმაღლე საკმაოდ მეტია, სხეული კარგად ჩამოსხმული, სახის წყობა მიმზიდველი, მისი მანერები და ტანსაცმელი უბრალოა, თუმცა, მთლიანობაში ეს პიროვნება ისეთ დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მას საკუთარი სასახლის ღირსეულ პრინცად და არმიის შესანიშნავ გენერლად აღიქვამ.* ***მე ჰერაკლიუსის ხასიათის შესახებ მხოლოდ სიმართლეს ვამბობ და რა უნდა იყოს სხვა მისგან მოსალოდნელი?! პრინცისგან, რომელმაც საკუთარ თავში ამდენი ბრწყინვალე თვისება გააერთიანა; რომელიც ძლევამოსილად ფლობს საქართველოს და სპარსეთის სომხეთის ორ დიდებულ სამეფოს; ვისაც გააჩნია ყველაზე დიდი უპირატესობა, იყოს აღმოსავლეთის უმამაცესი ერების მთავარსარდალი. იმ ხალხისა, რომელიც საკუთარი პრინციპისა და ქრისტიანული რწმენის დასაცავად დაუფიქრებლად გაწირავს თავს“.***

**„ფეის სიკვდილის მიზეზად დასახელებულია ღალატი, რომელიც გმირის მიმართ ცოლ-ქმარმა ჩაიდინა. სწორედ ამ მოღალატე ცოლ-ქმრის მუხლმოყრილი, გაშარჟებული ქანდაკებებია დადგმული გმირის საფლავიდან ოდნავ მოშორებით, რკინის გალიაში!“**






ესაუბრა
***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*

**_პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი ბერიას სიცოცხლის უკანასკნელი დღის ქრონიკის აღდგენას ცდილობს და მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის მარშალი 1953 წლის 26 ივნისს კრემლში, საკუთარ კაბინეტში, დახვრიტეს:_**






## სვიმონ მასხარაშვილი:

# 1953 წლის 26 ივნისს, ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე შესვლის შემდეგ, ლავრენტი ბერიას კვალი იკარგება!

— 1953 წლის 17-26 ივნისი არამარტო **ლავრენტი ბერიას,** არამედ სტალინიზმის უკანასკნელი დღეებია! სწორედ საიდუმლოებით მოცული დროის ამ მონაკვეთში გაანადგურეს კაცი, რომლის გაქრობასაც 38 წლის შემდეგ, 1991 წლის დეკემბერში, მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან საბჭოთა კავშირის გაქრობაც მოჰყვა.

საბჭოთა კავშირის მარშალი ბერია ისე მოიშორეს, არავის უნახავს მისი გვამი, არავინ იცის მისი საფლავი და რუსეთის პრეზიდენტის **ვლადიმერ პუტინის გარდა, არავინ უწყის, სინამდვილეში რა მოხდა 1953 წლის 26 ივნისს!** საქმე ის გახლავთ, რომ

**დოკუმენტებს, რომლებმაც ბერიას განადგურებას შესაძლოა, სინათლე მოჰფინონ, 50 წლით ისევ დაადეს „გრიფით საიდუმლო“ და ამ სკანდალურ მასალებზე წვდომის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ ვლადიმერ პუტინს!**

**— ამ ორიოდე წლის წინათ ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა და მკვლევარმა, ბატონმა ლევან დოლიძემ ჩემთან საგაზეთო საუბრისას გაიხსენა ერთ-ერთი ბელარუსი გენერლის ნაამბობი — ლავრენტი ბერია საკუთარ საცხოვრებელ სახლში დახვრიტეს, მერე გვამი მოსკოვის ერთ-ერთ გარეუბანში მდებარე დეპოში წაიღეს და ორთქლმავლის ღუმელში დაწვესო! საუბრობენ იმის შესახებაც, რომ 1953 წლის 26 ივნისს ლავრენტი ბერიას ერთადერთი ვაჟი სერგო ბერია ბორის ვანიკოვთან — საბჭოთა ატომური პროექტის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან — ოჯახში იმყოფებოდა, როცა საბჭოთა კავშირის ორგზის გმირმა, ცნობილმა სამხედრო მფრინავმა და უახლოესმა მეგობარმა ამეტ-ხანმა დაურეკა და შეატყობინა — შენს სახლთან რაღაც ხმაურიაო! რა მოხდა სინამდვილეში და ნამდვილად საკუთარ სახლში მოკლეს თუ არა ლავრენტი ბერია?**

— არსებობს ბერიას მკვლელობის სამი ვერსია:

1. ბერია მოკლეს მოსკოვში, საკუთარ სახლში და როცა **ბორის ვანიკოვთან** მყოფი **სერგო ბერია** თავის საცხოვრებელ სახლთან მივარდა, დაინახა ვიღაცის სისხლიანი გვამი, რომელსაც პლედი ჰქონდა გადაფარებული და სამხედროებს სახლიდან გამოჰქონდათ. სერგო იმ სისხლიან გვამს ჩეკისტებმა არ მიაკარეს, რადგან მოკლული ლავრენტი ბერია იყო;

2. გერმანიიდან ჩამოფრენილ ბერიას, რომელიც ბერლინში 1953 წლის 17 ივნისს აწეწილი პოლიტიკური სიტუაციისა და საპროტესტო მიტინგების დასაშოშმინებლად წავიდა, მოსკოვის აეროპორტში, თვითმფრინავიდან ჩამოსვლის მომენტში ცეცხლი გაუხსნა მაშინ ჯერ კიდევ გენერალმა, მაგრამ მომავალში საბჭოთა კავშირის მარშალმა **კირილ მოსკალენკომ,** რომელიც მოსკოვის სამხედრო ოლქის ავიაციის სარდალი გახლდათ, ხოლო სულ მალე მთელი ოლქის სარდლად და მარშლად აკურთხეს;

3. არსებობს ლავრენტი ბერიას პირადი დაცვის წევრების — **მალინოვსკისა და ოთარ ჩაჩიბაიას** მემუარები, რომლებიც ერთმანეთს იშვიათი სიზუსტით ემთხვევა და ორივეგან 1953 წლის 26 ივნისის შესახებ წერია, რომ იმ დღეს ლავრენტი პავლოვიჩი კრემლში, პრეზიდიუმის სხდომაზე დასასწრებად მიაცილეს!


ლავრენტი ბერია და ნინა გეგეჭკორი

**— მალინოვსკი მარშალ როდიონ მალინოვსკის ნათესავი იყო?**

— არა, არავითარი ურთიერთობა მათ არ ჰქონიათ... **მალინოვსკი** ბერიას პირადი დაცვის წევრი, 20-25 წლის ახალგაზრდა ბიჭი გახლდათ. დაახლოებით რვა წლის წინათ, 95 წლის ასაკში, **მალინოვსკიმ** ჟურნალ „ოგონიოკს“ ვრცელი ინტერვიუ მისცა და დეტალურად გაიხსენა 1953 წლის 26 ივნისი. საგულისხმოა, რომ ქართველი **ოთარ ჩაჩიბაიაც,** რომლის ხელნაწერიც წაკითხული მაქვს, ზუსტად ისე იხსენებს 1953 წლის 26 ივნისის ქრონიკას, როგორც მალინოვსკი.

**— მაინც რა მოხდა იმ დღეს?**

— შევთანხმდეთ იმაზე, რომ როგორც **მალინოვსკი,** ისე **ჩაჩიბაია** აეროპორტის ინციდენტს გამორიცხავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ **ბერია** თვითმფრინავიდან ჩამოსვლის დროს **მოსკალენკოს** არ მოუკლავს. როგორც **ოთარ ჩაჩიბაია** წერს და მალინოვსკიც ამასვე ადასტურებს, 1953 წლის 26 ივნისს, დილით, ცოლ-შვილთან ერთად აგარაკზე მყოფი ბერია კრემლში პრეზიდიუმის სხდომაზე დასასწრებად გაემართა. **მალინოვსკი** დარჩა სახლში, **ნინა გეგეჭკორთან,** რადგან იმ დღეს სწორედ მას უწევდა აგარაკზე მორიგეობა. როგორც **ოთარ ჩაჩიბაია** იხსენებს, ლავრენტი მათ მიაცილეს იმ ოთახამდე, სადამდეც, როგორც წესი, იგი დაცვით მიდიოდა. **ჩაჩიბაია** ირწმუნება, რომ ბერია პრეზიდიუმის სხდომაზე ნამდვილად შევიდა, **მაგრამ აქ გასარკვევია ერთი რამ — რომელი პრეზიდიუმის სხდომაზე შევიდა ლავრენტი — მთავრობის თუ პარტიის?**

**— და მაინც, რომელი პრეზიდიუმის სხდომა გახდა ბერიასათვის საბედისწერო?**

— საქმე ის გახლავთ, რომ

**„იმ დღეს ნინა გეგეჭკორს რაღაც უსიამოვნო წინათგრძნობა ჰქონდა და ლავრენტის პრეზიდიუმის სხდომაზე წასვლას უშლიდა!“**

## ისტორიკოსის თვალით ★

1953 წლის 26 ივნისის მდგომარეობით, პოლიტბიუროს პრეზიდიუმში შედიოდნენ: **მალენკოვი, მოლოტოვი, მიქოიანი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, საბუროვი, პერვუხინი, ბულგანინი, ხრუშჩოვი და ბერია.** რაც შეეხება მთავრობის პრეზიდიუმს, მისი შემადგენლობა ზუსტად იგივე გახლდათ, მაგრამ ერთი განსხვავებით, **ნიკიტა ხრუშჩოვი** მთავრობის პრეზიდიუმში არ შედიოდა!

**1953 წლის 26 ივნისს სწორედ პარტიის პრეზიდიუმის სხდომა იმართებოდა,** რაც იმას ნიშნავს, რომ **ნიკიტა ხრუშჩოვიც** იქ იყო! ამ ფაქტს ორივე ხაზს უსვამს — **მალინოვსკიც და ჩაჩიბაიაც.**

1953 წლის 26 ივნისს, ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე შესვლის შემდეგ ლავრენტი ბერიას კვალი იკარგება... დაახლოებით ორ ან სამ საათში, რასაც შოკირებული მალინოვსკი და ოთარ ჩაჩიბაია ზუსტად ვერ იხსენებენ, ბერიას დაცვის მოსაცდელ ოთახში, სადაც ჩვენი თანამემამულე **ოთარ ჩაჩიბაიაც** იმყოფებოდა და ასევე ბერიას აგარაკზე, სადაც **მალინოვსკი** დარჩა, წარმოუდგენელი მოვლენები ერთდროულად, პარალელურ რეჟიმში განვითარდა!

**— მაინც რა მოხდა?**

— კრემლშიც და აგარაკზეც, დიდი ალბათობით, სამხედრო დაზვერვის, ანუ „გრუ“-ს ოფიცრები შევარდნენ, ბერიას დაცვის წევრებს ავტომატები მიუშვირეს და უბრძანეს — **„სრატ ვ შტანი, ლიცომ კ სტენე!“** („მოისაქმეთ შარვლებში, სახით კედლისკენ!“). ამას წერს ორივე — **ჩაჩიბაიაც და მალინოვსკიც.**

**— თავდამსხმელები დაცვის წევრებმა ვერ იცნეს?**

— საქმეც ის არის, რომ ვერ იცნეს და მათი იდენტიფიცირება ვერცერთ სამსახურთან ვერ მოახდინეს. დიდი ალბათობით, ეს იმას ნიშნავდა, რომ მომხდურები სწორედ სამხედრო დაზვერვას წარმოადგენდნენ, რადგან „გრუ“-სთან ბერიას დაცვა არ კონტაქტობდა.

რაც შეეხება ძლიერ შოკს, რომელიც **მალინოვსკიმ და ჩაჩიბაიამ** მიიღეს, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბერიას დაცვის წევრებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მოსკოვსა და კრემლს ძერჟინსკის სახელობის დივიზია და უშიშროება იცავდნენ. აქვე იყო გარე პერიმეტრის დაცვაც. ასე რომ, კრემლში შესაღწევად ჯერ გარე პერიმეტრის დაცვა უნდა გაგენეიტრალებინა. გარე პერიმეტრზე სროლა და დაპირისპირება არსად ყოფილა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ვიღაც ძალიან გავლენიანმა ტიპმა ამ ხალხს კრემლში კარი გაუღო და შემოუშვა. ასეთი რამ მოცემულ სიტუაციაში შეეძლო, გაეკეთებინა მხოლოდ სამ კაცს — ლავრენტი ბერიას და მის ორ მოადგილეს — **ივან სეროვსა და სერგეი კრუგლოვს!**

**— ეს მალინოვსკისა და ოთარ ჩაჩიბაიას დასკვნაა?**

— დიახ, ეს მათი დასკვნაა და აბსოლუტურად სწორია, რადგან კრემლში ავტომატიანების გადაადგილების შესახებ ბრძანების გაცემა ბერიას შემდეგ მართლაც **კრუგლოვსა და სეროვს** შეეძლოთ! სხვას ეს პრეროგატივა ვერ ექნებოდა... თქვენ რაც შეკითხვაში ჩამოაყალიბეთ და, ფაქტობრივად, ბერიას მკვლელობის პირველი ვერსია გააჟღერეთ, ჩემი აზრით, აბსოლუტურად არ უპირისპირდება მალინოვსკისა და ოთარ ჩაჩიბაიას მონათხრობს. **კერძოდ, არსებობს მოსაზრება, რომ კრემლში დანიშნული ცეკას პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ბერია უნდა დასწრებოდა, თითიდან გამოწოვილი მიზეზით საღამოსთვის გადაიტანეს, რის გამოც ბერია მძღოლთან ერთად დაბრუნდა არა აგარაკზე, არამედ თავის მოსკოვურ სახლში და დაცვა კრემლში დატოვა.** თეორიულად ეს შესაძლებელია...

**— ეს ვერსია ვის ეკუთვნის?**

— **სერგო ბერიას** ნაამბობის გამყარება მხოლოდ ამ ვერსიით შეიძლება! არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ სწორედ 26 ივნისს ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე **ლავრენტი ბერია** უშიშროების ყოფილი მინისტრის **სიმეონ იგნატიევის** დაპატიმრების მოთხოვნას გეგმავდა.

მოკლედ, დოკუმენტურად არის დადასტურებული, რომ 1953 წლის 26 ივნისს ბერია კრემლში შევიდა! აქედან გამომდინარე, თუ გვინდა, რომ ლავრენტი პავლოვიჩის განადგურების იმ ვერსიას ჩავებღაუჭოთ, რომელსაც **სერგო ბერია** ავითარებს, მაშინ ისღა დაგვრჩენია, ვიფიქროთ, რომ რაღაც მიზეზით ბერია კრემლიდან წამოვიდა და დაცვის სხვა წევრებთან ერთად მოსკოვის სახლში გაემგზავრა, რაც კრემლში დატოვებული **ოთარ ჩაჩიბაიასთვის,** დიდი ალბათობით, უცნობი იყო.

ლავრენტი რომ იმ დღეს კრემლში მივიდა, ამას **მალინოვსკიც** ადასტურებს, რომელმაც ბერიას აგარაკზე ყური მოჰკრა **ნინა გეგეჭკორისა** და ლავრენტის კამათს. კერძოდ, იმ დღეს **ნინა გეგეჭკორს** რაღაც უსიამოვნო წინათგრძნობა ჰქონდა და ლავრენტის პრეზიდიუმის სხდომაზე წასვლას უშლიდა. ბერიამ ცოლს გაუღიმა და კრემლისკენ გასწია...



## „ვლადიმერ პუტინის გარდა, არავინ უწყის, სინამდვილეში რა მოხდა 1953 წლის 26 ივნისს!“



## ხმები იმის შესახებ, რომ ვიღაც ფოსტალიონი ლავრენტის სახლთან მოვიდა, ბერიამ სახლის კარი გაუღო და ლავრენტის სროლა დაუწყეს, იმდენად უსუსურია, სალაპარაკოდაც არ ღირს.

ერთ რამეზე შევთანხმდეთ: რომ არა **ივან სეროვისა და სერგეი კრუგლოვის** თანხმობა, ვერანაირი ფოსტალიონი ან „გრუ“-ს ოფიცრები ბერიას სახლის ან აგარაკის გარე პერიმეტრზე ვერ მოხვდებოდნენ!

**— საინტერესოა, საბუროვმა, პერვუხინმა, ვოროშილოვმა, მოლოტოვმა, ბულგანინმა, მალენკოვმა, მიქოიანმა და ხრუშჩოვმა, რომლებიც ცეკას პრეზიდიუმში შედიოდნენ და 1953 წლის 26 ივნისის შესახებ ჩვენება არ მიუციათ, ნახეს თუ არა ლავრენტი ბერია პრეზიდიუმის სხდომაზე?**

— ნაძირალა და ტაკიმასხარა **ნიკიტა ხრუშჩოვის** გარდა, კაციშვილს ხმა არ ამოუღია და ამ დღის შესახებ არაფერი უთქვამს! როგორც ჩანს, პრეზიდიუმის სხდომაზე, კრემლში, იმ დღეს ისეთი რაღაც მოხდა, თუ ნიკიტა ხრუშჩოვის მსგავსად უტიფარი, უსინდისო და უხერხემლო არსება არ იყავი, ამ თემაზე ლაპარაკი ძალიან უხერხეული იყო...

**— თქვენი აზრით, მაინც რა მოხდა?**

— ამ თემაზე რაც მეტ ლიტერატურას ვეცნობი, **სულ უფრო და უფრო ვიხრები იმ აზრისკენ, რომ შესაძლოა, ბერია თავისი ავადმყოფობის მსხვერპლი გახდა!**

**— რას გულისხმობთ?**

— ლავრენტი ბერია ახალგაზრდობაში ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ხელს უშლიდა სუსტი მხედველობა. მას სჭირდა თვალის იშვიათი დაავადება — **„დეგენერაციო პიგმენტოზა რედინაე“.** ეს სხვა არაფერია, თუ არა ხალები თვალში. ეს დაავადება ნელ-ნელა პროგრესს განიცდის და თვალის ბადურებზე მიკროსკოპული ხალების ოდენობა იზრდება. სიკვდილის წინ, 1953 წელს, ლავრენტი ბერია ადამიანებს სამი მეტრიდანაც კი ვერ არჩევდა, რასაც **მალინოვსკის** მოგონებებიც ადასტურებს. აქედან გამომდინარე, პრეზიდიუმის სხდომაზე ბერიას რამდენიმე კაცი თავს რომ დასხმოდა, იარაღს ვერ გამოიყენებდა და წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. **ამიტომაც ვვარაუდობ და არ გამოვრიცხავ, რომ ბერია 1953 წლის 26 ივნისს კრემლში, თავის კაბინეტში მოკლეს!**

კიდევ ერთხელ ვაცხადებ: კალიგრაფიული ექსპერტიზა ადასტურებს, რომ არცერთი ჩვენება და წერილი, რომელიც 1953 წლის 23 დეკემბერს ვითომდა ბერიას სასამართლოზე ააფრიალეს, სინამდვილეში ბერიას არ ეკუთვნის! არ არსებობს სამედიცინო ექსპერტიზა, არ არსებობს ცხედარი, არ არსებობს ბერიას საფლავი, ანუ 1953 წლის 26 ივნისის შემდეგ ბერიას შესახებ ყველა მონაცემი სიყალბეა!

უფრო მეტიც, 1953 წლის 4 ივლისამდე ხელისუფლებას ბერიას შესახებ კრინტი არ დაუძრავს. კაცი მოკლული ჰყავდათ და უშიშროებაში ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, რადგან უშიშროების კომიტეტის კაბინეტებში ჯერ კიდევ ლავრენტი პავლოვიჩის სურათები ეკიდა! ხალხმა მხოლოდ 1953 წლის 7 ივლისს შეიტყო, რომ ბერია „დააპატიმრეს“, როგორც „დიდი ბრიტანეთის ჯაშუში“... მთელი საბჭოთა კავშირი შიშმა, ძრწოლამ, აპათიამ და საშინელმა გაურკვევლობამ მოიცვა.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## „სიკვდილის წინ ლავრენტი ბერია ადამიანებს სამი მეტრიდანაც კი ვერ არჩევდა. აქედან გამომდინარე, პრეზიდიუმის სხდომაზე ბერიას რამდენიმე კაცი თავს რომ დასხმოდა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა!“

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

## გთხოვთ, გვიამბოთ სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ჩაპაევის ცხოვრებასა და ბრძოლაზე. ამბობენ, რომ მიუხედავად სამხედრო ნიჭისა და მხედრული მამაცობისა, ის არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული განათლებით. მსმენია, როდესაც ჰკითხეს, რომელ ინტერნაციონალს უჭერდა მხარს, ჩაპაევმა გულუბრყვილოდ უპასუხა – იმას, რომელსაც ლენინი ემხრობაო. მართალია თუ არა ეს?

ვასილი ივანეს ძე ჩაპაევის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები ასეთია: **დაიბადა 1887 წელს ურალში, ღარიბი კაზაკის ოჯახში.** მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, იყო **უმცროსი უნტერ-ოფიცერი. ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისთვის ჯარისკაცის გიორგის ჯვარი დაიმსახურა.** წითელი არმიის შექმნის პირველივე დღეებიდან მის რიგებშია. მეთაურობდა ცხენოსანთა ცალკეულ რაზმს, ბრიგადას და, ბოლოს, **25-ე მსროლელთა დივიზიას, რომელსაც შემდგომში ჩაპაევისა ეწოდა.** დივიზიამ **ვასილი ჩაპაევის** მეთაურობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა **ადმირალ კოლჩაკის** ჯარების განადგურებაში *(კოლჩაკმა ურალისპირეთსა*



*და ციმბირში ხელისუფლება დაიპყრო და თავი „რუსეთის უზენაეს მმართველად“ გამოაცხადა).* დაიღუპა **1919 წლის ზაფხულში კოლჩაკელებთან ერთ-ერთ ბრძოლაში. სტანიცას,** რომელშიც **ჩაპაევის** დივიზია დასასვენებლად შეჩერდა, ღამით თეთრგვარდიელები დაესხნენ თავს. წითელარმიელებს სასწრაფოდ უკან დახევა და მდინარე ურალის გადალახვა მოუხდათ. დივიზიამ, ფაქტობრივად, დანაკარგის გარეშე მიაღწია მეორე ნაპირს, მაგრამ მისი მეთაური მდინარის გადაცურვისას დაიჭრა და დაიხრჩო.

**ჩაპაევი,** რა თქმა უნდა, მცირედ განათლებული იყო, წერა-კითხვა ძლივს იცოდა და პოლიტიკაშიც გაჭირვებით ერკვეოდა. ამის შესახებ წერს თავის **„ჩაპაევში“ დიმიტრი ფურმანოვი,** რომელიც დივიზიის პოლიტკომისრად მსახურობდა. მაგალითად, მეთაურის განცხადების შემდეგ, რომ ის ბოლშევიკებს ემხრობა და არა — კომუნისტებს, **ფურმანოვმა** ეშმაკურად ჰკითხა, რომელ ინტერნაციონალს უჭერს მხარს — პირველს, მეორეს თუ მესამეს. **„ლენინი რომელშია?“** — კითხვითვე უპასუხა **ჩაპაევმა, „მესამეში“,** — უთხრა **ფურმანოვმა. „მეც იმისკენ ვარ, რომელშიც ლენინია,“** — არ დაიბნა **ჩაპაევი.**

სამოქალაქო ომის პერიოდის სხვა მხედართმთავრებთან ერთად, როგორებიც იყვნენ **კოტოვსკი, შჩორსი, კიკვიძე** და ა. შ. **ჩაპაევი სტალინის** საყვარელი გმირი იყო. მისი ინიციატივით **ს.დ. ვასილიევმა** და **გ.ნ. ვასილიევმა** *(მათ „ძმებ ვასილიევებს“ უწოდებენ, თუმცა, მხოლოდ მოგვარეები იყვნენ)* გადაიღეს ფილმი **„ჩაპაევი“,** რომელსაც თამამად შეიძლება პირველი საბჭოთა ტრილერი ეწოდოს. **ჩაპაევის** როლი სსრკ-ის სახალხო არტისტმა **ბაბოჩკინმა** შეასრულა. **სტალინთან** დაახლოებული ადამიანები მოწმობენ, რომ ეს ბელადის საყვარელი კინოფილმი გახლდათ, შეეძლო, უსასრულოდ ეყურებინა. ხშირად ასეც ხდებოდა — ახალი კინოფირის ნახვის შემდეგ **სტალინი** ამბობდა: **„ახლა კი მოდით, „ჩაპაევი“ დავატრიალოთ.“ 1941 წელს ფილმს I ხარისხის სტალინური პრემია მიენიჭა.**

**ვასილი ჩაპაევის** სახელი ორ ქალაქს ეწოდა — **ურალის ოლქში ჩაპაევს, 1939 წლამდე ლბიშჩენსკს, რომლის მახლობლადაც გმირი დაიღუპა და კუიბიშევის ოლქში ჩაპაევსკს, 1929 წლამდე ქ. ივაშჩენკოვოს. გარდა ამისა, მამაცი მხედართმთავრის სახელს ატარებს მდინარე ვოლგის შენაკადი — ჩაპაევკა.**

## სტალინის ქალიშვილს – სვეტლანას რამდენიმე ქმარი ჰყავდა, მაგრამ ყველას გაშორდა. გვინდა, უფრო მეტი ვიცოდეთ მათ შესახებ, როგორ წარიმართა მათი შემდგომი ცხოვრება?

„რამდენიმე“ განუსაზღვრელი ცნებაა. დავასახელებთ კონკრეტულ ციფრს — **ოთხი ქმარი. გრიგორი მოროზოვი** (მოროზი), **იური ჟდანოვი, ბრადეჟ სინგხი, უილიამ პიტერსი. გრიგორი მოროზოვს** (დაიბადა 1921 წელს) **სვეტლანა 1944 წელს, 18 წლის ასაკში გაჰყვა ცოლად. მათ ჰყავდათ ვაჟი — იოსები** (დაიბადა 1945 წელს). დღეს ის ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი **იოსებ ალილუევი** გახლავთ. თავად **გრიგორი მოსკოვის** საიუველირო ფაბრიკის კომერციული დირექტორის შვილი იყო, რომელიც მოგვიანებით გაფლანგვისათვის იქნა რეპრესირებული. **მოროზოვი სვეტლანას ძმის — ვასილის კლასში სწავლობდა და ერთმანეთი მისი საშუალებით გაიცნეს. გრიგორიმ** მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი დაამთავრა, იგი დიპლომატია. **1947 წელს** მეუღლეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაიყარნენ. **მოროზოვის** ახლანდელი ადგილსამყოფელი და საქმიანობა უცნობია.

**მეორე ქმარი** — **იური ჟდანოვი** (დაიბადა 1919 წელს) — **ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, სტალინის უახლოესი თანამოსაგრის ა. ჟდანოვის ვაჟი იყო.** მან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი დაამთავრა. **სვეტლანაზე დაქორწინების მომენტში იური ჟდანოვი** სკპ (ბ) ცკ-ის მეცნიერების განყოფილების გამგე იყო. ქორწინება **1948 წელს** მოხდა, **1950 წელს კი სვეტლანას ქალიშვილი ეკატერინე შეეძინა.** ის მეტეოროლოგია და ამჟამად კამჩატკაზე მუშაობს. თავად **იური ჟდანოვმა** განქორწინების შემდეგ (1952 წელი) პარტაპარატში მუშაობა გააგრძელა, **1952-1956 წლებში** იყო ცკ-ის წევრი, შემდეგ როსტოვის უნივერსიტეტის რექტორი. **1970 წლიდან** იგი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია. **1983 წელს** ორგანულ ქიმიაში სამეცნიერო ნაშრომებისათვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. **იური ჟდანოვი** როსტოვში ცხოვრობდა და, ასაკის მიუხედავად, ადგილობრივ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა.



**მესამე ქმარი — ბრადეჟ სინგხი** (1900-1964) ინდოეთის კომპარტიის ცკ-ის წევრი იყო და მოსკოვში **გამომცემლობა „პროგრესში“** მთარგმნელად მუშაობდა. **სვეტლანამ** ის კრემლის საავადმყოფოში გაიცნო, სადაც **სინგხი** მკურნალობდა. ისინი **1966 წელს** დაქორწინდნენ. რამდენიმე თვეში **ბრადეჟი** გარდაიცვალა. **სვეტლანას** ნება დართეს, მეუღლის ნეშტს



ინდოეთში გაჰყოლოდა. ქალაქ დელიში **სვეტლანამ** აშშ-ის საელჩოს მიმართა და საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე უარი განაცხადა. ამ დროიდან დაიწყო **სტალინის ქალიშვილის მსოფლიოში ხეტიალი, ამ დროიდანვე იბეჭდება მისი წიგნები მამაზე და სსრკ-ში ცხოვრებაზე.**

აშშ-ში სვეტლანამ არქიტექტორი **უილიამ ვესლი პიტერსი** გაიცნო (დაიბადა 1914 წელს) და ცოლად გაჰყვა. **1971 წლის მაისში მათ ეყოლათ გოგონა — ოლგა.** 1972 წელს ქორწინება დაირღვა. **სვეტლანამ** პიტერსის გვარი დაიტოვა.

**აი, ვგონებ, სულ ამის თქმა შეგვიძლია სვეტლანა სტალინას** (შემდგომში ალილუევა, ამჟამად პიტერსი) **„რამდენიმე“ ქმრის შესახებ.** თავად სვეტლანა ინგლისში, მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრობდა.

ისღა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი **ალილუევას** ქმრების რიცხვში ასახელებს **ჯონი სვანიძეს** (1927-1990) — ალიოშა სვანიძის, სტალინის პირველი ცოლის ძმის ვაჟს. მან მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტის ასპირანტურა დაამთავრა, იყო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. **50-იანი წლების ბოლოს სვეტლანას მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ქორწინების დოკუმენტური დადასტურება არ არსებობს.**




## რაიხს-კანცელარიის ქვეშ მდებარე ჰიტლერის ბუნკერზე ბევრი რამ დაწერილა. ჰქონდა თუ არა გერმანიის ფიურერს სათადარიგო ბუნკერი? და კიდევ, ჰქონდათ თუ არა ასეთივე თავშესაფრები სტალინს და ანტი-ჰიტლერული კოალიციის სხვა ხელმძღვანელებს?



ადოლფ ჰიტლერი რაიხსკანცელარიის ქვეშ მოწყობილ ბუნკერში

**ჰიტლერის** სათადარიგო ბუნკერი აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქი რასტენბურგის მახლობლად იყო მოწყობილი. მას **„ვოლფშანცეს“** (მგლის ბუნაგს) უწოდებდნენ. ბუნკერი ექვსი მეტრის სიღრმეზე მდებარეობდა და ბეტონის მძლავრი, ჰაერიდან დარტყმებისთვის პრაქტიკულად შეუვალი გადახურვა ჰქონდა. ამ თავშესაფარში, ფიურერის კაბინეტისა და საძინებლის გარდა, ათეულობით სხვა ოთახიც იყო — დაცვის, სამდივნოს, მრჩევლების, მოსამსახურეების, სამზარეულო, სასადილო, დამხმარე სათავსები, ორი საკონფერენციო დარბაზი (150 და 200 კვ. მ.). ეს ყველაფერი **რასტენბურგის ულრან ტყეში ხეებით და სიმწვანით იყო საიმედოდ შენიღბული. ჰიტლერი** იქ ბევრ დროს ატარებდა და **1941 წლიდან 1943 წლის ბოლომდე საბრძოლო ოპერაციებს სწორედ იქიდან ხელმძღვანელობდა.**

მაგრამ **სტალინის** შტაბი ბევრად უფრო მძლავრი და საიმედო გახლდათ. ომის დასაწყისში სსრკ-ის ფაქტობრივ დედაქალაქად ქალაქი კუიბიშევი (ახლანდელი სამარა) იქცა. იქ იმყოფებოდნენ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, ყველა სახალხო კომისარიატი (შინსახკომის გარდა), ფაქტობრივად, მთელი საბჭოთა მთავრობა. და აი, კუიბიშევში, პარტიის საოლქო კომიტეტის შენობის ქვეშ რეკორდულად მცირე ვადაში მოაწყვეს მიწისქვეშა ბუნკერი, სადაც აუცილებლობის შემთხვევაში **მთავრობას და თავად სტალინს შეეძლოთ გადასვლა.** ამერიკელმა ჟურნალისტებმა ამ ბუნკერს მოგვიანებით **„მიწის ქვეშ გადაყირავებული 12-სართულიანი ცათამბჯენი“** უწოდეს. ის 37 მეტრის სიღრმეს აღწევდა და ოფიციალურად „თავშესაფარი № 1“ ერქვა. ბეტონის გადახურვა 3,5 მ სისქისა იყო და მრავალჯერ დაბომბვას გაუძლებდა. **„მიწისქვეშა ცათამბჯენში“** თავისუფლად მოთავსდებოდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოუსვლელად იცხოვრებდა 115 ადამიანი. პირველ სართულზე **სტალინის** კაბინეტი მდებარეობდა — მისი **კრემლის კაბინეტის** ზუსტი, ოღონდ დაპატარავებული ასლი. თუმცა, **ბელადს იქ ყოფნა ერთხელაც არ მოუხდა.** მას ყველაზე კრიტიკულ დღეებშიც კი არ დაუტოვებია მოსკოვი.



სტალინს ყველაზე კრიტიკულ დღეებშიც კი არ დაუტოვებია მოსკოვი

ეს თავშესაფარი დღესაც არსებობს. მისი მცველები, გარკვეული საზღაურის ფასად, მზად არიან, მსურველებს ყოველი კუთხე-კუნჭული აჩვენონ პირველი სართულის ჩათვლით. **ბუნკერი ფრუნზეს ქუჩაზე, № 25 შენობის ქვეშ მდებარეობს.**

მიწისქვეშა ბუნკერები დიდი **ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს** და ევროპაში მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების სარდალს, **გენერალ დუაიტ ეიზენჰაუერსაც** *(აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი)* ჰქონდათ. **ჩერჩილის** თავშესაფარი ომში ინგლისის ჩაბმამდე ერთი კვირით ადრე მოაწყვეს **მეფე ჩარლზის** ქუჩაზე მდებარე სახლის ქვეშ. **1941 წლის დეკემბერში** ჩერჩილის ბუნკერში შესასვლელი გერმანული ავიაციის დაბომბვის შედეგად ჩაიხერგა. საჰაერო თავდასხმისას ერთი ოფიცერი დაიღუპა. **ჩერჩილს ამ დროს საკუთარ ოთახში უშფოთველად ეძინა. ამჟამად აქ პრემიერისა და მისი გარემოცვის ცვილის ფიგურების მუზეუმია.**

**ეიზენჰაუერის** ბუნკერი **კუნძულ მალტაზე, ქალაქ ლა-ვალეტაშია.** ის კლდის სიღრმეშია მოწყობილი და თუმცა, გერმანიის ავიაციამ ქალაქის ორი მესამედი ნანგრევებად აქცია, ბუნკერი არ დაზიანებულა.

ასავალ-დასავალი
2023 წლის 19 ივნისი, № 32-33 (200-201)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

## დავით ქართველიშვილი:

# არ გამოვრიცხავ, ხალხი ლიბერასტ-ფაშისტების ლინჩის წესით გასამართლებაზე გადავიდეს!



***საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი უკრაინაში ჩაბუდებული ქართული წარმოშობის კონდოტიერის დავით არახამიას ბოლოდროინდელ გააქტიურებას ეხმიანება და აცხადებს, რომ ზელენსკის გარემოცვის წევრები მოსალოდნელი კატასტროფის მოლოდინში თადარიგს იჭერენ:***

— იმას, რაც გორსა და ბორჯომში **ზურაბ-გირჩი ჯაფარიძეს** დააწიეს, ვაფასებ ბიბლიური ციტატით — **„ქარის მთესველი ქარიშხალს მოიმკის!“** ზურაბ-გირჩი არის ლიბერალური ფაშიზმის ერთ-ერთი აგიტატორი და პროვოკატორი, რომელიც შეურაცხყოფს ეკლესიას, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, პატრიარქს, ზოგადად, ქართულ ტრადიციებსა და ფასეულობებს.

**სწორედ ზურაბ-გირჩი მოუწოდებდა, „ქართული ოცნების“ დეპუტატის შვილისთვის „მოღალატის შვილის“ იარლიყი მიეწებებინათ.**

იმავე ზურაბ-გირჩის განკარგულებით, ლიბერასტ-ფაშისტური ტელევიზიების, ანუ „სვავების“ ტელეოპერატორები და ე.წ. „ჟურნალისტები“ პარლამენტის შენობაში დამდევდნენ, რათა მდგომარეობიდან გამოვეყვანე და პროვოკაციულად მეკითხებოდნენ — **„თქვენი გარდაცვლილი შვილი როგორ მოიწონებდა თქვენი, როგორც მოღალატის საქციელს?“**

ყოველდღიურად ვეცნობი იმ საშინელი ზეწოლის ამსახველ მიმოწერას, როცა, მაგალითად, უნივერსიტეტის ლიბერალურ-ფაშისტური დაჯგუფებების წევრები დამოუკიდებლად მოაზროვნე კურსელებსა და ჯგუფელებს არნახულ შეურაცხყოფას აყენებენ. **ეს აბსოლუტურად ბნელი ძალა პროვოცირებას უკეთებს თავის ახალგაზრდა თანატოლებს, რათა ვინმემ დანაშაული ჩაიდინოს ან მაგინებლების მიმართ, ანდა საკუთარ თავის წინააღმდეგ.** საერთოდ, ლიბერალური ფაშიზმის პირდაპირ ინტერესშია დაპირისპირების გამოწვევა!

**— ხალხი უკვე გაგიჟებულია, გამორიცხული არ არის, ქუჩებში გვამები დაიდოს და გეი-აგენტების ლინჩის წესით გასამართლება დაიწყოს!**

— ეს გამორიცხული არ არის! დიახ, **არ გამოვრიცხავ, ხალხი ლიბერასტ-ფაშისტების ლინჩის წესით გასამართლებაზე გადავიდეს!** სხვათაშორის, სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ლინჩის წესს ამერიკული ფესვები აქვს...

**— როგორც ცნობილია, სააკაშვილის დავით არახამია ქართულს სწავლობს, ფეისბუქის ქართული გვერდიც შექმნა... რა ხდება, საქართველოში ხომ არ უნდა გადმოსხან, როგორც დესანტი?**

— ჯერ კიდევ შარშან, 2022 წლის აგვისტო-სექტემბერში, დავით არახამია ერთი თვის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. ცნობისათვის, **არახამია შეერთებული შტატების მოქალაქეა მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის კონსტიტუცია ორმაგ მოქალაქეობას კრძალავს.** ამის გამო უკრაინაში არაერთხელ ატყდა მითქმა-მოთქმა, ჩატარდა ჟურნალისტური გამოძიებაც, მაგრამ **დავით არახამიას** ჯერჯერობით ვერ თუ არ ეხებიან. არახამია ამერიკაში თავისი ბიზნეს-აქტივების წესრიგში მოსაყვანად ჩავიდა.

**— რატომ ჩავიდა, არ აქვს იმედი, რომ უკრაინაში მოუწევს თამაშის გაგრძელება?**

— დიახ,

**ის მოლოდინი, რომ უკრაინა ომს წააგებს და ზელენსკის მოუწევს პასუხისგება, ბევრს და, მათ შორის, არახამიასაც აქვს. ამიტომ ის თავისი საქმეების მოსაგვარებლად და თადარიგის დასაჭერად ამერიკაში ჩავიდა.**

არახამიამ თავისი ბიზნესის წილი, ძირითადად, სწორედ ამერიკაში გადამალა. მას ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს უკრაინული წარმოშობის კონგრესმენ **ვიქტორია სპარცთან.** დავით არახამიას წაქეზებით, სწორედ ვიქტორია სპარცმა ააგორა შარშან, სექტემბერში, კამპანია **ანდრეი ერმაკის** წინააღმდეგ, როცა მან უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს რუსეთის აგენტობაში დასდო ბრალი! ეს გახლდათ იმ შიდა დაპირისპირების გამოძახილი, რომელიც დავით არახამიასა და ანდრეი ერმაკს შორის არსებობს.

**— რა არის ამ დაპირისპირების მიზეზი?**

— 2023 წლის თებერვალში ერმაკმა არახამიას მტრობას იმით უპასუხა, რომ არახამია ქვანახშირთან დაკავშირებულ კორუფციაში დაადანაშაულეს. მოკლედ, უკრაინის ხელისუფლებაში დიდი ხანია, დაპირისპირებაა და ყველა თავის გადარჩენას ცდილობს. **ამ ფონზე დავით არახამია თემურ ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილის მიერ ნაცმოძრაობის ხვალინდელ ლიდერად მოიაზრება!** ეს ამბიცია არახამიასაც აქვს... სხვათაშორის, ის ილუზიაა, თითქოს დავით არახამიამ ქართული არ იცის, სინამდვილეს არ შეესაბამება. მან ქართული საკმაოდ კარგად იცის, მაგრამ ამ ფაქტს საგულდაგულოდ მალავს, თუმცა, კიევში ქართული ენის მასწავლებელთან მაინც მეცადინეობს. ქართველებთან კომუნიკაციის მიზნით, დავით არახამიამ ქართულენოვანი ფეისბუქგვერდიც კი შექმნა.

**— მერედა, ეს ყველაფერი საკმარისია იმისათვის, რათა დავით არახამია ქართულ პოლიტიკაში შემოვიდეს?**

— იმისათვის, რომ ქართულ პოლიტიკაში სრულფასოვნად შემოაბიჯოს და ოპოზიციის ლიდერად მოგვევლინოს, აუცილებელია, არახამიამ მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა! წინასწარმეტყველი არ ვარ და შესაძლოა, ვცდები, მაგრამ, **როდესაც საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისგან უსიამოვნო სიურპრიზებს საზოგადოება უკვე მიეჩვია, პირადად ჩემთვის ეს უსიამოვნო სიურპრიზი არა იმდენად სააკაშვილის შეწყალება-არშეწყალებაზე, არამედ დავით არახამიასთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე გადის!** თუ ეს მოხდა, მაშინ დავით არახამიას თავისუფლად ეხსნება გზა პირდაპირ შემოვიდეს ქართულ პოლიტიკაში!

**— მაშინ რა გამოდის, თემურ ალასანიას სააკაშვილზე ხელი აქვს ჩაქნეული?**

— არ გამოვრიცხავ, შესაძლოა, საქმე გვქონდეს **სააკაშვილ-არახამიას ტანდემთან!** ეს უკვე დეტალებია...

**— კი მაგრამ, სააკაშვილი როდემდე უნდა იყოს „ვივამედში“ წამოკოტრიალებული?**

— ბოდიში, მაგრამ ეს შეკითხვა საქართველოს ხელისუფლებას უნდა დაუსვათ, რომელსაც არანაირად არ წარმოვადგენ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„დავით არახამია თემურ ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილის მიერ ნაცმოძრაობის ხვალინდელ ლიდერად მოიაზრება!“**








**„არახამიამ ქართული საკმაოდ კარგად იცის, მაგრამ ამ ფაქტს საგულდაგულოდ მალავს!“**

## კვირგვინოსნები



**გიორგი ჩაკვეტაძე**
*ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოციაციების კომიტეტის წევრი*

**12-პუნქტიან რეკომენდაციებს** ჯერჯერობით მხოლოდ „ქართული ოცნება“ ასრულებს.

„იმედინიუსი“



**ვალერი გელბახიანი**
*იურისტი*

ნიკა გვარამიას **შეწყალებას ველოდები** და ამის შემდეგ ვნახოთ, მგონი, **სააკაშვილთან მიმართებაშიც** რაღაც ნაბიჯები გადაიდგმება.

„ალია“



**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*

არავინ დევნის **სექსუალურ უმცირესობას** საქართველოში, სანამ არ იწყება მათი მხრიდან საკუთარი ცხოვრების წესის **საზოგადოებისთვის თავსმოხვევის აგრესიული მცდელობები.**

„იმედინიუსი“



**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი, პარლამენტარი*

სალომე ზურაბიშვილისგან **რევოლუციონერი** არ გამოვა!

„ახალი თაობა“



**ანი წითლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქვეყანაში არის ძალიან ბევრი პრობლემა, **ქართველი ხალხი იმსახურებს კანდიდატის სტატუსს!**

„რეზონანსი“



**სულხან სიბაშვილი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

პრიორიტეტია **მიხეილ სააკაშვილის** ჯანმრთელობა და თავისუფლება, ამის შემდეგ თვითონ გადაწყვეტს, **იქნება თუ არა საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი.**

„ინტერპრესნიუსი“

# აბაშიძის



## მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ნაშიერები ირაკლი აბაშიძის შვილს წაესივნენ!



ირაკლი აბაშიძე

*ნაცოპოზიციამ და მასთან დაკავშირებულმა მედიასაშუალებებმა დიდი პოლიტიკური აჟიოტაჟის საგნად აქციეს ვიდეოპორტალ იუთუბის ერთ-ერთ არხზე რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებული ფარული აუდიოჩანაწერი, რომელშიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე, დიდი რუსი კომპოზიტორის პეტრე ჩაიკოვსკის ფონდის დამფუძნებელი მარკ ზილბერკვიტი და ცნობილი რუსი ჟურნალისტი ვლადიმერ პოზნერი ფიგურირებენ.*

როგორც ორი წლის წინანდელი სატელეფონო საუბრის ფარული აუდიოჩანაწერიდან ირკვევა, **ჩაიკოვსკის ფონდის დამფუძნებელი, მუსიკოსი და სამუსიკო ლიტერატურის გამომცემელი მარკ ზილბერკვიტი** ერთ-ერთი იყო იმ სტუმრებს შორის, 2021 წლის 31 მარტს მოსკოვიდან რომ ჩამოჰყვნენ ჟურნალისტ **ვლადიმერ პოზნერს,** რომელიც 1 აპრილს თბილისში საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნას გეგმავდა. თუმცა, პოზნერსა და მის ამალას **ელენე ხოშტარია, გიგა მაქარაშვილი და ნაცსექტის სხვა წარმომადგენლები** სასტუმროსთან მიუცვივდნენ, კვერცხების სროლა აუტეხეს და უყვიროდნენ — ოკუპანტებო, აქედან გაეთრიეთო! **საბოლოოდ ჯამში, პოზნერი და მისი თანმხლები პირები იძულებული გახდნენ, თბილისში დაგეგმილი ყველა პრივატული ღონისძიება გაეუქმებინათ და იმავე ღამეს გაფრენილიყვნენ უკან — მოსკოვში.**

ფარული აუდიოჩანაწერის მიხედვით, **ზურაბ აბაშიძე მარკ ზილბერკვიტს** სწორედ ამ ინციდენტის შესახებ ესაუბრება, მომხდარის გამო წუხილს გამოთქვამს და ეუბნება — **ადამიანები, რომლებიც გაგინებდნენ და კვერცხებს გესროდნენ, სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მიერ მოსყიდული პროვოკატორები, ზონდერები და „უროდები“, ანუ სიმახინჯის განსახიერება იყვნენო!**

აი, ფრაგმენტი აბაშიძისა და ზილბერკვიტის სატელეფონო საუბრის ფარული აუდიოჩანაწერიდან:

***ზურაბ აბაშიძე:*** *— საშინელი ისტორიაა. მე პერსონალურად რა გამოვიარე, ტელეფონით ახლა ვერ გადმოგცემ... არ ვიცი, თუ ნახე, მაგრამ ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა ამის შესახებ, სხვებმაც პარლამენტში და მინისტრებმა. ეს ნაცისტების ჯგუფია, ნამდვილი ნაცისტების.*

***მარკ ზილბერკვიტი:*** *— ზურა, ზოგჯერ ცუდ ამბებს პოზიტიური ცვლილებები მოაქვს... მომისმინე, პოზნერი ჭკვიანი კაცია, მოდი, ვიყოთ ობიექტურები, მას არ უნდა ესაუბრა იმგვარად, რომ მისი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ყოფილიყო.*

***ზურაბ აბაშიძე:*** *— მესმის, მაგრამ ამგვარი რეაქცია აზრის გამოთქმის გამო, კვერცხების სროლა და მსგავსი რამეები ბარბაროსობაა. ეს რამდენიმე ათეული ადამიანის ჯგუფია, რომელსაც სააკაშვილი აფინანსებს... ერთი მხრივ, სიტუაცია ახლა თითქოს არასტაბილურია, მაგრამ როგორ უნდა გითხრა, რომ არ ჩამოხვიდე? რატომ არ უნდა ჩამოხვიდე? ამ ადამიანების უნდა გეშინოდეს? ორგანიზატორებს უნდა სცოდნოდათ, რომ ღამით, 9-ის შემდეგ არაფერი დაეგეგმათ, აქ მკაცრი წესებია* ***(იგულისხმება კოვიდპანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები. რედ.).*** *თუმცა, ამ ადამიანებს გამართლება არ აქვთ, ისინი უბრალოდ დაქირავებული პროვოკატორები არიან.*

***მარკ ზილბერკვიტი:*** *— მე როგორც ვხვდები, მათ მედია-გაშუქებაც ჰქონდათ. რა თქმა უნდა, ისინი თავს დაესხნენ პოზნერს, მაგრამ მეც იქ ვიყავი და 8-10 კამერა შემომარტყეს გარს. მე ვუთხარი მათ ჩემი სახელი, რომ არ ვარ პოზნერი, გამომცემელი ვარ, რომელიც საქმიანობს საქართველოსა და რუსეთს შორის კავშირების დამყარების კუთხით. მე მათ წიგნებზე და კატალოგებზე მივუთითე, მაგრამ ამბობდნენ, რომ ეს არ აინტერესებთ და მეკითხებოდნენ, არის თუ არა რუსეთი ოკუპანტი?*

***ზურაბ აბაშიძე:*** *— ეს მათი ენაა, ეს* ***30-40, დიდი-დიდი, 50 ადამიანი,*** *ძალიან ხმაურიანია, ისინი ნაციონალური მოძრაობის დაქირავებული აგენტები არიან. სამწუხაროა, რომ კვლავ გვიწევს ამასთან გამკლავება. არ გვინდა, ამან ყველაფერზე გავლენა იქონიოს.*

**გავრცელებული ფარული აუდიოჩანაწერის მიხედვით, ზურაბ აბაშიძე იმავე დღეს კიდევ ერთხელ ურეკავს მარკ ზილბერკვიტს იმ დროს, როცა იგი პოზნერთან ერთად იმყოფება. ზილბერკვიტი**



პოზნერიდან «პაზორამდე»

ასავალ-დასავალი 2021 წლის 5 - 11 აპრილი №15 (1375)

პოზნერიდან «პაზორამდე»

სააკაშვილის შავრაზმელთა მორიგი ვანდალიზმი

чтобы без Абхазии и Южной Осетии вступить в НАТО! Так значит, Бурджанадзе и Саакашвили совершать такое преступление простительно, а Познеру заявлять об этом нельзя?! Кто предупредил Хоштария и Чёрную сотню и планах Познера?! Да те же господа, кто пролоббировал проект телеинтервью Бурджанадзе - Познеру и несколько встреч Бурджанадзе - с Путиным, что тут непонятно?!

Но у черносотенцев Саакашвили есть и свои «русские журналисты», к примеру - журналист Олег Панфилов (сокр. ЖОП), Ганапольский, которого в Грузии называют не иначе, как Гавнопольским и «наседка» Куроптев.

Тем, кто ещё не понял: фашисты в Германии тоже начали с пивной, но их вовремя не остановили, а Запад

АСАВАЛ ДАСАВАЛИ

ОТ ПОЗНЕРА – ДО ПОЗОРА

ЧЕРНОСОТЕНЦЫ СААКАШВИЛИ СОВЕРШИЛИ ОЧЕРЕДНОЙ АКТ ВАНДАЛИЗМА!

## ზურაბ აბაშიძეს ზილბერკვიტთან და პოზნერთან სატელეფონო საუბარში ერთი სიტყვაც არ უთქვამს ტყუილი, რადგან ხოშტარია-მაქარაშვილები მართლა ნაცპროვოკატორები, ნაცზონდერები და პოლიტიკური „უროდები“, ანუ სიმახინჯეები არიან!

### კვირგვინოსნები



**მაკა ბოჭორიშვილი**
*პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*

**ძვირფასო ოპოზიციონერო ჟურნალისტებო,** ვიდრე ქართულ საპარლამენტო დელეგაციას **რუსეთის დუმის დელეგაციას შეადარებთ და ზედსართავ „რუსულს“ ხშირად გამოიყენებთ საკუთარი ქვეყნის მისამართით,** თქვენი მფლობელების დავალებით, დაფიქრდით, **ხომ არ გიყენებენ თქვენივე ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ.**

„რეზონანსი“



**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*

მსოფლიოში **მხოლოდ ოთხი ქვეყანაა,** რომელიც ბედავს თქმას: **ომი უნდა დასრულდეს!** ჩემდა საამაყოდ, ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა საქართველოა. **ჩვენი პრემიერი მთელ მსოფლიოში დადის და მშვიდობაზე საუბრობს.**

„საერთო გაზეთი“



**ანდრია გვიდიანი**
*ეკონომიკის ექსპერტი*

ვხედავთ, რომ **გარე და შიდა ძალების** კოორდინირებული მოქმედების მიზანია, **საქართველო ისეთივე მძიმე ვითარებაში აღმოჩნდეს,** როგორშიც დღეს უკრაინაა.

„იმედინიუსი“



**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*

ნაციონალებს **ხელისუფლებაში მოსვლის თავი არ აქვთ,** ტყუილად ნუ ბაქიბუქობენ. **საქართველოს თუ არ გაუღებს ევროპა კარს, ეს რუსეთს უფრო გაუხსნის ხელფეხს.**

„ახალი თაობა“

# სიმართლე



მართალ კაცს — **ზურაბ აბაშიძეს**, რომელიც, სხვა თუ არაფერი, **გამოჩენილი ქართველი პოეტის, აკადემიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ირაკლი აბაშიძის შვილია, სააკაშვილის პოლიტიკური ნაშიერები — გოცირიძეები, დეკანოიძეები, ბოკუჩავები, ხაბეიშვილები, სამადაშვილები, წითლიძეები, ხოშტარიები და მსგავსი „ უროდები“ ვერაფერს ავნებენ და დააკლებენ!**

**ჟურმილს პოზნერს გადასცემს და რუს ჟურნალისტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს შორის ასეთი საუბარი იმართება:**

***ზურაბ აბაშიძე:*** *— ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, საღამო მშვიდობის. პირველ რიგში, გილოცავთ, ჯანმრთელობას გისურვებთ და მინდა, რაღაც გთხოვოთ.*

***ვლადიმერ პოზნერი:*** *— გისმენთ.*

***ზურაბ აბაშიძე:*** *— დღეს მარკს ჩვენი პრემიერის განცხადება გავუგზავნე, რომელიც მთავრობის სხდომაზე, ჟურნალისტების წინაშე გააკეთა. დრო რომ გექნება, გთხოვ, შეხედე, ვფიქრობ, ეს განცხადება ყველაფერს ამბობს.*

***ვლადიმერ პოზნერი:*** *— ზურაბ, დაიმახსოვრე, მე არ ვღელავ. მესმის, რომ ეს ნონსენსი იყო, მოსყიდული ადამიანები იყვნენ...*

***ზურაბ აბაშიძე:*** *— მე ვნახე თქვენი პოსტი, თქვენი ბრძნული სიტყვები ამ ადამიანებზე, მათზე საუბარიც არ ღირს.*

***ვლადიმერ პოზნერი:*** *— დიდი მადლობა, არ იდარდოთ, არ ღირს ამაზე ნერვიულობა. ჩვენ ახლა მაგიდასთან ვსხედვართ ქართულ რესტორანში, ქართულ ღვინოს ვსვამთ. ჩვენ გვიყვარს საქართველო და ამ ადამიანებს ამ დამოკიდებულებასთან არაფერი აქვთ საერთო. არ ღირს ამაზე ნერვიულობა.*

**ნაცოპოზიციისა და ნაცტელევიზიების მიერ ატეხილი ხმაურის კვალდაკვალ, ზურაბ აბაშიძემ დაადასტურა, რომ ორი წლის წინათ მარკ ზილბერკვიტსა და ვლადიმერ პოზნერს ტელეფონით მართლაც ესაუბრა, თუმცა, გავრცელებულ ფარულ ჩანაწერს „ფეიკი“ უწოდა და განაცხადა, რომ შინაარსობრივად მთლიანად დამახინჯებულია:**

*„ეს სატელეფონო ჩანაწერი, რა თქმა უნდა, უკანონო გზითა და სრულიად ამაზრზენი მეთოდებით არის მოპოვებული. ვადასტურებ, რომ ჩვენი საუბარი შედგა, მაგრამ საუბრის ტექსტი შინაარსობრივად მთლიანად დამახინჯებულია, „ფეიკია“. ეტყობა, ორი წელი დრო საკმარისად ჰქონდათ, რომ დაემახინჯებინათ და ისე შეეკოწიწებინათ, როგორც აწყობდათ“.*

**ნაცსექტის წარმომადგენლები და მათთან გათანაბრებული სუბიექტები, რომლებსაც გავრცელებული ფარული აუდიოჩანაწერის ავთენტურობაში ეჭვი არ შეაქვთ, კვლავ თავიანთ საფირმო დემაგოგიას აწვებიან — პოზნერთან და ზილბერკვიტთან აბაშიძის საუბარი იმის მორიგი დადასტურებაა, რომ საქართველოს ხელისუფლებას კრემლისადმი ვასალური დამოკიდებულება აქვსო!**



მარკ ზილბერკვიტი



ვლადიმერ პოზნერი

პრინციპში, არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ **ანა წითლიძისნაირი ქაჯები და ლევან ბეჟაშვილისნარი პოლიტიკური არარაობები** „ოკუპანტთან მობოდიშებად“ და „კრემლის მონობად“ თვლიან გამოცდილი დიპლომატისა და დახვეწილი ინტელიგენტის **ზურაბ აბაშიძის** მცდელობას, საკუთარი ქვეყნის პრესტიჟს გაფრთხილებოდა და თბილისიდან გაძევებული სტუმრებისათვის აეხსნა, რომ ველური ნაცპროვოკატორები სულაც არ წარმოადგენენ მაღალკულტურული და ღირსებით შემკული ქართველი ერის სახეს.

გარდა ამისა, **ზურაბ აბაშიძე,** ალბათ, აცნობიერებდა, რომ გამორიცხული არ იყო, ნაცპროვოკატორთა მიერ რუსი სტუმრების თბილისიდან გაძევებაზე კრემლს საპასუხო რეაქცია ჰქონოდა ისევე, როგორც ე.წ. გავრილოვის ღამის გამო აკრძალა საქართველოსთან პირდაპირი ფრენები და საკუთარ მოქალაქეებს მოუწოდა, ქართულ კურორტებზე დასვენებისაგან თავი შეეკავებინათ. **რუსეთის ხელისუფლებას კიდევ ერთხელ რომ არ მიემართა მსგავსი ან კიდევ უარესი ზომებისათვის, რომლებიც ქართულ ეკონომიკასა და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობას დააზიანებდა, სწორედ ამიტომ ესაუბრა ზურაბ აბაშიძე ლაქარდიანი ენით 80 წლის ზილბერკვიტსა და 89 წლის პოზნერს, რომლებიც ხოშტარიამ და მაქარაშვილმა თბილისიდან ლაჟე კვერცხებისა და რიყის ქვების სროლით გააგდეს.**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **ზურაბ აბაშიძის** მხრიდან პიროვნულადაც, პოლიტიკურადაც და სახელმწიფოებრივადაც აბსოლუტურად სწორი საქციელი იყო **ზილბერკვიტისა და პოზნერისათვის** იმის ახსნა, რომ **კოლექტიური ხოშტარია-მაქარაშვილები** ქართველი ერის ნებას კი არ გამოხატავენ, არამედ **სააკაშვილისა და ნაცბანდის** მიერ დაქირავებული პროვოკატორები, ზონდერები და „უროდები“ არიან!

რაც მთავარია, **ზურაბ აბაშიძეს ზილბერკვიტთან და პოზნერთან** სატელეფონო საუბარში ერთი სიტყვაც არ უთქვამს ტყუილი, რადგან **ხოშტარია-მაქარაშვილები** მართლა ნაცპროვოკატორები, ნაცზონდერები და პოლიტიკური **„უროდები“,** ანუ სიმახინჯეები არიან!

ასე რომ, მართალ კაცს — **ზურაბ აბაშიძეს,** რომელიც, სხვა თუ არაფერი, **გამოჩენილი ქართველი პოეტის, აკადემიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ირაკლი აბაშიძის შვილია, სააკაშვილის პოლიტიკური ნაშიერები — გოცირიძეები, დეკანოიძეები, ბოკუჩავები, ხაბეიშვილები, სამადაშვილები, წითლიძეები, ხოშტარიები და მსგავსი „უროდები“ ვერაფერს ავნებენ და დააკლებენ!**

ჩვენი მხრივ, **ბატონ ზურაბს** ერთ რამეს ვურჩევთ: **ზილბერკვიტსა და პოზნერს კიდევ ერთხელ დაურეკოს და ჰკითხოს — რას ფიქრობენ იმაზე, რომ ერთ-ერთ ყველაზე „უროდ“ ნაცსექტანტსა და პროვოკატორს ელენე ხოშტარიას რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით რუბლი ერიცხება?**

ქართველმა ხალხმა ამ კითხვაზე სწორი პასუხი იცის!

სასურველია, რუსმა ხალხმაც იცოდეს!

***ჯაბა ხუბუა***

## ბატონ ზურაბს ერთ რამეს ვურჩევთ: ზილბერკვიტსა და პოზნერს კიდევ ერთხელ დაურეკოს და ჰკითხოს — რას ფიქრობენ იმაზე, რომ ერთ-ერთ ყველაზე „უროდ“ ნაცსექტანტსა და პროვოკატორს ელენე ხოშტარიას რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით რუბლი ერიცხება?

## კვირგვინოსნები

**ლევან ბერიძე**
*პოლკოვნიკი*



რუსებმა კაშხალი **წყალქვეშა ნაღმებით** ააფეთქეს. **აუფეთქებელ ნაღმებს მდინარე შავ ზღვაში ჩაიტანს და ისინი საით გაცურავენ, არავინ იცის.** შეიძლება ჩვენც გვესტუმრონ. აღარ ვსაუბრობ **ათასობით დახოცილ ცხოველზე და ეპიდემიოლოგიური კატასტროფის საფრთხეზე.**

„კვირის პალიტრა“

**შოთა ბურჯანაძე**
*„რესტორატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე*



რუსეთიდან საქართველოში **ფრენების ფასი** არასწორად გაითვალა — **იმხელა ფასებია,** რომ ჩვენი მოქალაქეები, რომლებსაც გადმოფრენის სურვილი ჰქონდათ, **ისევ ლარსით გადმოსვლას ამჯობინებენ.**

„ინტერპრესნიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ერთი და იგივე კანონპროექტი გადაეგზავნა **დეოლიგარქიზაციაზე** ვენეციის კომისიას, თუმცა, **უკრაინას ტაში დაუკრეს და საქართველოს შემთხვევაში არ მოსწონთ.**

„იმედინიუსი“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



უკვე აღარ იმუშავებს ისეთი პრიმიტიული ფრაზები, როგორიცაა — **აბა, ომი გინდათ?** შეუძლებელია, ვინმეს **ომი უნდოდეს** და მშვიდობა არ ერჩიოს ომს, მაგრამ ეს რიტორიკა „ოცნებას“ გასდის. „ახალი თაობა“

*ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი* ***კახა საბახტარიშვილი*** ***იმ მეთოდიკის შესახებ გვესაუბრება, რომლითაც ძველ საქართველოში კიბოს მკურნალობდნენ. ამასთან უფროსი მეგობრისა და მასწავლებლის, პრეპარატ „კატრექსის“ შემქმნელი ალექსანდრე გაჩეჩილაძის სიტყვებს იხსენებს — კიბოს წამალი ადრე თუ გვიან აუცილებლად შეიქმნება და მის რეცეპტურაში წამყვანი ფუნქცია დაეკისრება შხამიან და ძლიერ ტოქსიკურ მცენარეებს:***



# „ერთ-ერთ ძველ სამედიცინო ქართულ ხელნაწერში წავაწყდი უნიკალურ რეცეპტურას, რომელიც სიმსივნის სამკურნალოდ გამოიყენებოდა!“



## კახა საბახტარიშვილი:

# ძველ საქართველოში კიბოს კიბორჩხალით მკურნალობდნენ!

— ძველ საქართველოში ისევე, როგორც დღეს, სიმსივნე განუკურნებელი სენი იყო და **„არამს“** ეძახდნენ. **„არამი“** სპარსული სიტყვის — **„ჰარამის“** სახეცვლილი ვარიანტია და **„ცუდს“** ნიშნავს. მე-11 საუკუნის ქართული სამედიცინო ტრაქტატი, ვინმე **ქანანელის** მიერ დაწერილი **„უსწორო კარაბადინი“** დეტალურად აღწერს კუჭის კიბოს ნიშნებს — *„ტანი დამჭლობდეს“... „საჭამანდი არ მოუნდეს“... „სტომაქი მაგრად და მძიმედ ჰქონდეს“... „ყვანა რწყევა გამოჩნდეს“... „სტომაქისა ტკივილი გამოჩნდეს“... „სტომაქი გაუმაგრდეს, ასე, რომ თითი დააჭირო, არა დაეფლას შიგა.“*

ალბათ, კოლეგები დამეთანხმებიან, რომ წონაში კლება, უმადობა, უსიამოვნო შეგრძნება კუჭის არეში, დისპეპსიური მოვლენები — რწყევა და გულისრევა, კუჭის საპროექციო არეში სიმაგრის შეგრძნება, ტკივილი კუჭის არეში, ეს ყველაფერი კუჭის კიბოს უტყუარი დასტურია. გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ ნიშნების შესახებ ძველმა ქართველმა დასტაქრებმა ასე მწყობრად და ზედმიწევნით იცოდნენ. როცა ამ ნიშნებს ჩამოთვლის ქანანელი, პირდაპირ წერს — *„ესე არს სტომაქისა სიმსივნე, ანუ დუბელაი.“* ძალიან საინტერესოა იმავე ქანანელის მიერ კიბოში გარდამავალი **ღვიძლის ციროზის** აღწერაც — *„ჭიპი გარეთ გამოექცეს და იბერვიდეს. ესე მანკი მაგრისა სიმსივნისაგან იქნების, რომელ ღვიძლსა შიგან იყოს!“*

**— „უსწორო კარაბადინი“ კუჭისა და ღვიძლის კიბოს გარდა, სიმსივნის სხვა ნაირსახეობებსაც იცნობს?**

— რა თქმა უნდა! მაგალითად, **ქანანელი** იცნობს და აღწერს **ფილტვის კიბოს,** რომელსაც **„ზიყნაფაზს“** უწოდებს...

**— აღწერა ერთია, მაგრამ მეორეა მკურნალობა! რა სამკურნალო საშუალებები არსებობდა ძველ საქართველოში სიმსივნური ავადმყოფის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად და მდგომარეობის შესამსუბუქებლად?**

— ასეთი საშუალებები ბევრი იყო, მაგრამ ჩემთვის, როგორც ძველი ქართული მედიცინის მკვლევარისათვის, განსაკუთრებით საინტერესოა ის სამკურნალო მცენარეები, რომლითაც ძველად საქართველოში კიბოს ებრძოდნენ, ხოლო დღეს ამავე მცენარეების კიბოს საწინააღმდეგო თვისებების „აღმოჩენაზე“ ნობელის პრემიები გაიცემა. ამ მხრივ გამოვყოფ უნიკალურ მცენარეს — **აბზინდას.** ძველ ქართულ მედიცინაში აბზინდა გვხვდება მრავალი სახელწოდებით — **აბსინდა, ელეგანი, შეია, ფარიაგუანი, ოშინდარი და ჰეტრანი.**

**ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი** მე-15 საუკუნეში შექმნილ თავის „კარაბადინში“ პირდაპირ წერს — *„აბსინდის მაჯუნი ერგების ყოველსა ღვიძლისა სიმსივნესა!“* ანუ ამ დიდ ქართველ მოღვაწეს პირდაპირ უწერია, რომ აბზინდა ღვიძლის კიბოს ებრძვის. აბზინდის გასაოცარი ანტისიმსივნური და ანტიმალარიული თვისებების შესახებ მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს კვლევა დაიწყეს ჩინეთში, რაც ერთმა ფაქტორმა განაპირობა. კერძოდ, ვიეტნამში ატეხილი ომების დროს უამრავი ჯარისკაცი იღუპებოდა მალარიით. ჩრდილოეთ ვიეტნამის კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა **მაო ძედუნს,** მიეწოდებინათ მალარიის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტური საშუალება. ჩინეთში მასობრივად დაიწყეს უძველესი ჩინური სამედიცინო ტრაქტატების კვლევა. ჩინელმა ფარმაკოლოგმა **ტუ იუმ,** რომელიც მალარიის საწინააღმდეგო პროგრამაში იყო ჩართული, ყურადღება შეაჩერა სწორედ აბზინდაზე, რომელიც მე-16 საუკუნის ჩინურ სამედიცინო ტრაქტატში მოხსენიებული იყო, როგორც მალარიის საწინააღმდეგო ეფექტური საშუალება.

1972 წელს **ტუ იუმ** აბზინდისაგან გამოყო ნივთიერება **არტემიზინინი,** რომელსაც უამრავი უნიკალური თვისება აღმოაჩნდა. სწორედ ამ დამსახურებისათვის 84 წლის **ტუ იუს** 2015 წელს ნობელის პრემია მიანიჭეს. აბზინდისაგან მიღებული არტემიზინინით მალარიისგან 500 მილიონზე მეტი ადამიანი განიკურნა.

ჩემს ბიბლიოთეკაში ინახება 1915 წელს ექიმ **აბელ იაშვილის** მიერ რუსულ ენაზე გამოცემული უნიკალური წიგნი **„ხალხური მედიცინა ამიერკავკასიაში“.** ამ ფასდაუდებელ გამოცემაში აბზინდას შესახებ გასაოცარი რამ წერია. ექიმ **აბელ იაშვილს** ნობელის პრემიის ლაურეატ ჩინელ **ტუ იუს** მიერ კვლევის დაწყებამდე მთელი 40 წლით ადრე დაწერილი აქვს, რომ აბზინდა მალარიის დასამარცხებლად ყველაზე საუკეთესო საშუალებაა! დავინტერესდი, თუ რა წყაროებს ეყრდნობოდა **აბელ იაშვილი** და კვლევა-ძიებამ **იოანე ბატონიშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონამდე“** მიმიყვანა, სადაც პირდაპირ რეცეპტია მითითებული და წერია, რომ ღვინოსა და არაყზე დაყენებული აბზინდის ნაყენი *„არგებს სამ დღეში გამოშვების ციებასა“*... ამის შემდეგ **იოანე ბატონიშვილი** აღწერს ციების კლინიკას, რომელიც ერთი-ერთზე ემთხვევა მალარიის აღწერილობას! ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ აბზინდისგან გამოყოფილი არტემიზინინი კლავს მალარიის გამომწვევ პლაზმოდიუმს, რომელიც კიბოს უჯრედის მსგავსად, საოცრად გამძლე და მდგრადი პარაზიტია.

ვაშინგტონის უნივერსიტეტში სწორედ ამ ფაქტით დაინტერესდნენ და შეკითხვაც შესაფერისი დასვეს — თუკი არტემიზინინი კლავს პლაზმოდიუმს, რატომ არ შეიძლება ის გამოვიყენოთ კიბოს სამკურნალოდ? მითუმეტეს, რომ მალარიის პლაზმოდიუმსა და კიბოს უჯრედებს ერთი საერთო ნიშანი აქვთ — ორივე ხარბად იწოვს და აგროვებს რკინას? ანუ, სადაც კიბოს უჯრედებია, იქ რკინის დიდი კონცენტრაციაა. აქედან გამომდინარე, აბზინდაში შემავალი არტემიზინინი რეაქციაში შედის რკინასთან და გამოიყოფა ძლიერ დამჟანგველი ატომური ჟანგბადი, რომელიც პირდაპირ „აფეთქებს“ როგორც მალარიის, ისე კიბოს უჯრედებს!

**— თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ აბზინდის სიმსივნური თვისებების შესახებ ქართველებმა იმაზე ბევრად უფრო ადრე იცოდნენ, ვიდრე ამ საკითხით ვაშინგტონის უნივერსიტეტში დაინტერესდებოდნენ?**

— **ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის** ზემოხსენებული ციტატა სწორედ იმის დასტურია, რომ საქართველოში ღვიძლის კიბოს სწორედ აბზინდის მეშვეობით მკურნალობდნენ! **ვაფრთხილებ მოსახლეობას: აბზინდა ძალიან შხამიანი მცენარეა და არავითარ შემთხვევაში არ დაიწყოთ მისი თვითნებურად მოხმარება!** მეორე და ყველაზე მთავარი — ბუნებაში აბზინდის ბევრი სახეობაა, მაგრამ კიბოს საწინააღმდეგო თვისება მხოლოდ ერთ მათგანს გააჩნია და ისიც მაშინ, როცა გარკვეული ტექნოლოგიით არის მომზადებული.

**— აბზინდა სხვა სიმსივნე-**



# „საქართველოში ღვიძლის კიბოს აბზინდის მეშვეობით მკურნალობდნენ!“

### პარაცელსუსი (1493-1541) – აღორძინების ეპოქის ექიმი და ალქიმიკოსი




# „ჯერ კიდევ პარაცელსუსი ამბობდა – „შხამი წამალია, ხოლო წამალი – შხამი, განსხვავება მხოლოდ დოზებშია!“

## კვირგვინოსნები

**ვაჟო სურგულაძე**
*ჯანდაცვის ექსპერტი*



**ტიკარაძე** სანატრელი გამიხდა. ამ კაცს **საერთოდ არაფერი ესმის ჯანდაცვის!** სრული კატასტროფა ხდება!

„ახალი თაობა“

**ლანა ღოღობერიძე**
*კინორეჟისორი*



მიკვირს, რომ **ვარ ამდენი წლის, მაგრამ თქვენსავით მიხარია სიცოცხლე.**

„სარკე“

**ანრი ჯოხაძე**
*მომღერალი*



ჩემს მშობლებს შეეძინათ ვაჟი, რომელზეც **სამშობიაროში უთხრეს, რომ გარდაიცვალა.** მყარი ეჭვი მაქვს, რომ **ჩემი ძმა ცოცხალია და ის გააშვილეს.** ახლა უნდა იყოს 47 წლის. **ექიმი,** რომელმაც ამშობიარა დედა, **ერთ-ერთ ეჭვმიტანილად არის მიჩნეული ამ საქმეში.**

„სარკე“

**ბარბარა სამხარაძე**
*მომღერალი*



როცა **„ნიჭიერში“** ჩემი წასვლა გადაწყდა, დედამ სარკესთან მიმიყვანა და მითხრა, **შეხედე შენს თავს, ხომ იცი, რომ ზედმეტი წონა გაქვს,** ჰოდა, იყავი მზად, რომ **შეიძლება ამაზე გაგაკრიტიკონ, დაგცინონ...** ეს არ მიიღო ცუდად, რადგან არაფერს მოგიგონებენ, ნამდვილად ასე გამოიყურები, როგორიც სარკეში ჩანხარო. **ეს სიტყვები ძალიან დამეხმარა.**

„სარკე“

**ნანა მელქაძე**
*დიზაინერი*



წლებია, **ორ-სამ კაბას აუცილებლად ვჩუქნი მათ, ვისაც სჭირდება, ან მშობლების მზრუნველობა აკლია,** ან ფინანსურად უჭირს.

„სარკე“

# «კიბო ჩნდება იქ, სადაც უჟანგბადო გარემო და „ომეგა-3“-ისა და „ომეგა-6“-ის დეფიციტია!»

**ებზეც მოქმედებს?**

— ეს საკითხი კვლევის საგანია და, როგორც ვიცი, იმავე ვაშინგტონის უნივერსიტეტში ამ თემაზე დღესაც გაცხოველებით მუშაობენ. საერთოდ, ერთი რამ გვახსოვდეს და ამის შესახებ ყოველთვის მეუბნებოდა აწ განსვენებული **ალექსანდრე ბაჩეჩილაძე,** რომელმაც კიბოს საწინააღმდეგო **„კატრექსი“** შექმნა — კიბოს წამალი ადრე თუ გვიან აუცილებლად შეიქმნება და რეცეპტურაში წამყვანი ფუნქცია აუცილებლად დაეკისრება შხამიან და ძლიერ ტოქსიკურ მცენარეებს! ჯერ კიდევ **პარაცელსუსი** ამბობდა — **„შხამი წამალია, ხოლო წამალი — შხამი, განსხვავება მხოლოდ დოზებშია!“**

**— ძველ საქართველოში აბზინდის გარდა, კიბოს საწინააღმდეგო ეფექტურ საშუალებად კიდევ რა იყო მიჩნეული?**

— ძველ სამედიცინო ტრაქტატებში — **„წიგნი სააქიმოი“, „უსწორო კარაბადინი“, „იადიგარ დაუდი“** ხშირად არის მოხსენიებული სელი, სელის თესლი და მისგან გამოხდილი ზეთი. საქართველოში სელს უწოდებდნენ — **„ქათანს“,** ხოლო სელის თესლს — **„ბაზრა ყატუმს“.**

„უსწორო კარაბადინში“ სელის ზეთი ასეა დახასიათებული — *„ზეთი სელისა, მხურვალი და რბილი, კაცისა სტომაქსა დაალბობს და კარგად მოუხდების, ყოლინჯისა სიმსივნისთვის კარგი არის!“* ე.ი. პირდაპირ არის მითითებული, რომ

## ძველ საქართველოში სელის ზეთს „ყოლინჯის“, ანუ მსხვილი ნაწლავის კიბოს სამკურნალოდ იყენებდნენ!

მე-20 საუკუნეში ფარმაკოლოგიასა და ბიოქიმიაში გადატრიალება მოახდინა დიდი გერმანელი მეცნიერის **იოანა ბადვიგის** შრომებმა ცხიმოვანი მჟავების შესახებ. ეს ქალბატონი ნობელის პრემიაზე შვიდჯერ იყო წარდგენილი და ლაურეატი მხოლოდ იმიტომ ვერ გახდა, რომ მისი ძირითადი შრომები ჯერ კიდევ ფაშისტურ გერმანიაში, ჰიტლერის მმართველობის პერიოდში იყო გამოქვეყნებული. სწორედ ბადვიგის მიერ არის შესწავლილი კიბოს საწინააღმდეგო **„ომეგა-3“ და „ომეგა-6“,** რომელსაც პრევენციის მიზნით, ძალიან ბევრი დღესაც იყენებს. ეს ცხიმოვანი მჟავები პროფესორმა **იოანა ბადვიგმა** სწორედ სელის ზეთისგან გამოყო. მანვე დაადგინა, რომ სიმსივნურ პაციენტებში ცხიმოვანი მჟავის — „ომეგა-3“-ის კონცენტრაცია სამჯერ ნაკლებია ჯანმრთელი ადამიანის სისხლში არსებულ „ომეგა-3“-ის მაჩვენებელთან შედარებით, ანუ **კიბო ჩნდება იქ, სადაც უჟანგბადო გარემო და „ომეგა-3“-ისა და „ომეგა-6“-ის დეფიციტია!**








იოანა ბადვიგი

**„კიბოს საწინააღმდეგო „ომეგა-3“ და „ომეგა-6“, რომელსაც პრევენციის მიზნით, ძალიან ბევრი დღესაც იყენებს, პროფესორმა იოანა ბადვიგმა სწორედ სელის ზეთისგან გამოყო!“**

ორგანიზმი ამ ცხიმოვან მჟავებს მხოლოდ გარედან ღებულობს, მათი სინთეზი ორგანიზმს არ შეუძლია. ძველ ქართულ კარაბადინებში კიბოს სამკურნალოდ ნახსენები სელის ზეთი სწორედ „ომეგა-3“-ისა და „ომეგა-6“-ის საბადოა, მაგრამ მთელი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ **ცივი გაწურვის შედეგად მიღებული სელის ზეთი რომც დავლიოთ, მასში არსებულ „ომეგა-3“-სა და „ომეგა-6“-ს ორგანიზმი ვერ შეითვისებს, რადგან ერთიც და მეორეც წყალსა და სითხეებში უხსნადია.** იოანა ბადვიგმა ეს პრობლემა ხაჭოთი გადაჭრა. ხაჭოს დამატებით სელის ზეთი ორგანიზმისთვის ადვილად ასათვისებელი გახდა.

## არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოში ამის შესახებ იცოდნენ და იოანა ბადვიგის აღმოჩენამდე საუკუნეებით ადრე ქართველი დასტაქრები სიმსივნურ პაციენტს სელის ზეთისა და ხაჭოს გამოყენებით მკურნალობდნენ!

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხაჭოს საქართველოს ყველა კუთხეში უხსოვარი დროიდან ამზადებენ და სრულიად განსხვავებული და ორიგინალური ტექნოლოგიით. ახლა ერთ სენსაციურ ინფორმაციას გავახმაურებ — ძველ საქართველოში კიბოს კიბორჩხალით მკურნალობდნენ!

**— როგორ, რანაირად?**

— საუბარია მდინარის კიბოზე... ერთ-ერთ ძველ სამედიცინო ქართულ ხელნაწერში წავაწყდი უნიკალურ რეცეპტურას, რომელიც სიმსივნის სამკურნალოდ გამოიყენებოდა! **25 ცალ მდინარის კიბოს კარგად გარეცხავდნენ, თიხის სამლიტრიან ქილაში მოათავსებდნენ და არაყს დაასხამდნენ. ქილას პირამდე გაავსებდნენ და ბნელ ადგილას ერთი თვე გააჩერებდნენ. ამ ერთი თვის განმავლობაში ქილას დღეში სამჯერ შეანჯღრევდნენ. ერთი თვის შემდეგ არაყს სხვა ჭურჭელში გადაწურავდნენ, ხოლო კიბორჩხალებს მზეზე გაახმობდნენ და მანამ დანაყავდნენ, სანამ მისგან ფხვნილს არ მიიღებდნენ.** მიღებულ ერთ ჩაის კოვზ კიბორჩხალას ფხვნილს გახსნიდნენ იმ არაყში, რომელიც ცალკე ჭურჭელში იყო გადაწურული და დალევდნენ. ტრაქტატში არ არის მითითებული, თუ რა დოზით და რამდენჯერ იყო მისაღები ეს წამალი...

**— როგორ ფიქრობთ, ეს რეცეპტურა ეფექტური იქნება?**

— დღევანდელი გადმოსახედიდან რომ გავაანალიზოთ, ზემოთ აღწერილი ტექნოლოგია სხვა არაფერია, თუ არა კიბორჩხალისგან ჰომეოპათიური წესით სამკურნალო წამლის დამზადება. რაც შეეხება მის ეფექტურობას, ეჭვი არ მეპარება, ეს წამალი კიბოს საწინააღმდეგოდ თუნდაც იმიტომ იმუშავებს ეფექტურად, რომ კიბორჩხალა შეიცავს დიდი ოდენობით ნივთიერება **ქიტოზანს,** რომელიც სიმსივნურ უჯრედებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევს და ეს მეცნიერულად არის დამტკიცებული! მიმაჩნია, რომ კიბოს წამლის საიდუმლო ძველ სამედიცინო ტრაქტატებში იმალება და არა ქიმიოთერაპიაში, რომელიც კიბოს მკურნალობის საქმეში პანაცეა ნამდვილად არ არის! **მედიცინა უკვე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კიბოს დასამარცხებლად მთავარი სიტყვა უნდა თქვას არა ქიმიოთერაპიამ, არამედ იმუნოთერაპიამ, რაც იმას ნიშნავს, რომ კიბოს უჯრედები ადამიანის იმუნიტეტმა უნდა გაანადგუროს!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## საეკლესიო კალენდარი

✝ 19 ივნისი. ორშაბათი. **ღირსისა ბესარიონ ეგვიპტელისა, სასწაულმოქმედისა;** ღირსისა ილარიონ ახლისა; ღირსთა ქალწულმოწამეთა: არქელაიასი, თეკლასი და სოსანასი.

✝ 20 ივნისი. სამშაბათი. მოწამისა თეოდოტე ანკვირელისა; მოწამეთა: ვალერიასი, კვირიაკიასი და მარიამისა; მღვდელმოწამისა მარკელე რომის პაპისა და მოწამეთა: კლავდისი, კვირინესი და ანტონინესი; მოწამეთა: სისინი და კვირიკე დიაკონთა, სმარაგდისა, ლარგისა, აპრონიანესი, სატურნინესი, პაპიუსისა და მავროს მხედართა და კრისკენტიანესი, მოწამე დედათა: პრისკილასი, ლუკიანასი და არტემიასი, მეფის ასულისა; ღირსთა: ანთიმო ხუცისა და სტეფანესი.

✝ 21 ივნისი. ოთხშაბათი. **დიდმოწამისა თეოდორე სტრატილატისა;** მღვდელმოწამისა თევდორესი, კველთელი მღვდლისა; ეფრემისა, ანტიოქიელი პატრიარქისა; ღირსისა ზოსიმე ფინიკიელისა.


21 ივნისი – ხსენება დიდმოწამისა თეოდორე სტრატილატისა

✝ 22 ივნისი. ხუთშაბათი. **კირილე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა;** ღირსისა იოანე შავთელგაენათელისა; მოწამეთა: თეკლასი, მართასი და მარიამისა, სპარსეთს ვნებულთა; წმიდისა დედისა პელაგიასი, რომელი ოდესმე იყო მეძავი ანტიოქია ქალაქსა შინა.

✝ 23 ივნისი. პარასკევი. მღვდელმოწამისა ტიმოთესი, პრუსიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: ალექსანდრესი და ანტონინა ქალწულისა; ღირსისა თეოფანე ანტიოქიელისა და ღირსისა დედისა პანსემნისა; ბასიანე ლავდიელი ეპისკოპოსისა. ღირსი თამარ აღმსარებლისა.

✝ 24 ივნისი. შაბათი. მოციქულთა: **ბართლომესი და ბარნაბასი; ღმრთისმშობლის ხატისა, რომელსაც ეწოდება „ღირს არს“.** ჩინელ მოწამეთა, 1900 წელს წამებულთა.

✝ 25 ივნისი. კვირა. **ღირსისა იოანე მთაწმინდელისა, სვინგელოზისა;** ღირსისა ონოფრე დიდისა; ღირსისა ისიდორე სამთავნელისა, ცამეტ ასურელ მამათაგანისა; ღირსთა: იოანესი, ანდრიასი, ირაკლემონისა და თეოფილესი; ღირსისა პეტრე ათონელისა.


25 ივნისი – ხსენება ღირსისა იოანე მთაწმინდელისა, სვინგელოზისა

მაღაზია



«ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

## კვირგვინოსნები

**ეკა ჩხეიძე**
*მსახიობი*



ჩემთვის **პირველ ადგილზე კარიერა კი არა, ჩემი შვილები არიან.** სულ ვამბობ, რომ ჩემი **მთავარი პროფესია დედობაა.**

„კვირის პალიტრა“

**დათუნა მგელაძე**
*მომღერალი*



რამდენჯერაც **პამპერსის გამოცვლა ვცადე,** მე ვიყავი თავიდან ბოლომდე გამოსაცვლელი. თან პატარა ფეხებს რომ აქნევს, ვერ ვუმკლავდები.

„თბილისელები“

**ციცინო კოხიაშვილი**
*რეჟისორი*



**დღეს უფრო მეტად** მიყვარს ჩემი ქმარი, **ვიდრე მაშინ,** როცა ცოლად გავყევი.

„თბილისელები“

**ზურაბ ანთელავა**
*მსახიობი*



**ჩემი ცხოვრების 12 წელი,** რომელიც მძულს, ემიგრაციაში გავატარე. მინდა, ჩემს დაბადების დღეზე, **85 წლის რომ გავხდები,** კარგად ვიქეიფო, დიდი სუფრა გავაკეთო, დავიძინო და აღარ გავიღვიძო.

„თბილისელები“

**ნინო ონიანი**
*ფიტნესინსტრუქტორი*



ვერაზე, 53-ე სკოლაში ვსწავლობდი. **არ მთვლიდნენ მათი ფენისა და კასტის წარმომადგენლად** და ამის გამო ხშირად ვხდებოდი მათი ბულინგის მსხვერპლი. მეუბნებოდნენ: **რამხელა ყურები გაქვს... რანაირად გაცვიაო...** მე არ მეცვა ისე, როგორც მათ ეცვათ.

„თბილისელები“

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА* 



ზვიად გამსახურდია უმცროს ვაჟთან – გიორგისთან ერთად



## იგორ კვესელავა:

# ზვიად გამსახურდიას განსაკუთრებული სიშმაგით სისხლაღრეული და გვარგადაკეთებული ქართველობა ებრძოდა!

— ზვიად გამსახურდიას მისამართით არსებობს რამდენიმე უმძიმესი ბრალდება. მაგალითად, ერთ-ერთი გამორჩეული ბრალდებაა იმის უსინდისოდ მტკიცება, თითქოს ზვიადმა ოსების ავტონომია გააუქმა, რითიც ცხინვალში ვითარების ესკალაციას შეუწყო ხელი. ეს ბინძური ცილისწამება და ისტორიის გაყალბების მცდელობაა, რადგან **1990 წლის 11 დეკემბერს ზვიად გამსახურდიამ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი კი არა, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა" გააუქმა.** ოსმა სეპარატისტებმა თავად გააუქმეს ავტონომიური ოლქი და უკანონოდ, პროვოკაციულად გამოაცხადეს „რესპუბლიკა". ჰოდა, ზვიადმა სწორედ ეს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა" გააუქმა, რის გამოც მას საქართველოს ე.წ. „ელიტური ინტელიგენცია" და პოლიტიკური ძალები დაუპირისპირდნენ. ესენი იყვნენ: **ჯაბა იოსელიანი, ლანა ღოღობერიძე, ელდარ შენგელაია, გიორგი ჭანტურია, ირინა სარიშვილი, მამუკა არეშიძე, ბესო ჯუღელი, მამუკა გიორგაძე, გიორგი ბარამიძე, ზურაბ ჟვანია, გოგა ხაინდრავა, ლუიზა შაკიაშვილი, თამრიკო ჩხეიძე, რაულ კუპრავა...** აი, ესენი დადიოდნენ ყველგან და საქართველოში, მოსკოვსა თუ ევროპაში ჟურნალისტებს უყვებოდნენ საქართველოში „ზვიად გამსახურდიას რეჟიმის მიერ ოსების შევიწროების, გენოციდისა და დისკრიმინაციის" შესახებ.

**— მაშინდელმა ოპოზიციამ ამ საკითხს „პრაღის 24-ე რეზოლუციაც" მიუძღვნა, სადაც ზვიად გამსახურდია ოსების მტრად და მწვალებლად იქნა შერაცხილი!**

— ეს მოხდა 1990 წლის ივლისში, როცა გამსახურდია ჯერ კიდევ არ იყო ხელისუფლებაში მოსული. სამარცხვინო და მოღალატეობრივი **„პრაღის 24-ე რეზოლუცია"** ჩეხეთის დედაქალაქში ძმებმა **ედუარდ და თენგიზ გუდავებმა, გიორგი ჭანტურიამ, ირინა სარიშვილმა** და სხვა მოღალატეებმა მოამზადეს. შეკრებას ესწრებოდა **ივლიანე ხაინდრავა,** სომეხი დისიდენტი **პარუირ აირიკიანი** და სხვა დისიდენტები.

„პრაღის 24-ე რეზოლუციის" მოსამზადებლად „დიდი შრომა" გასწიეს **ძმებმა ბერძენიშვილებმა, თემურ ჟორჟოლიანმა, ზურაბ ჟვანიამ** და სხვებმა, რომლებიც ევროპაში მოგზაურობდნენ და ზვიად გამსახურდიას მიერ ოსებისა და აფხაზების „შევიწროების" შესახებ ახალ-ახალ „ფაქტებს" ავრცელებდნენ. აი, მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, რომ 1990 წლის მარტში ქართველი მოღალატეების მიერ გაყიდული და ერედვის ტყეში ოსი სეპარატისტების მიერ ცეცხლში დამწვარი ბრწყინვალე მამულიშვილის, სამაჩაბლოელი ვაჟკაცის **მერაბ მინდიაშვილის** დანახშირებულ გვამს ფოტო გადაუღეს და სურათი ჯერ ისრაელში გაგზავნეს, ხოლო შემდეგ ევროპაში — შეხედეთ, ქართველები ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ოსებს რა დღეში აგდებენო!

გამსახურდიას ისღა დარჩენოდა, მოღალატეებისთვის მიემართა და ეთქვა — **მე რამდენიც გინდათ მაკრიტიკეთ, მაგრამ ქვეყანას ნუ მტრობთო!** საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მსახიობი **ოთარ მეღვინეთუხუცესი,** რომელმაც გადატრიალების დღეებში მარჯანიშვილის თეატრი ავტომატების საწყობად გადააქცია, უცხოეთში ყველგან ზვიად გამსახურდიას ლანძღავდა — **საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა, დიქტატორი გამსახურდია გვმართავსო!** იმავეს სჩადიოდნენ: **ლანა ღოღობერიძე, რეზო ჩხეიძე, რამაზ ჩხიკვაძე** და სხვა კორიფეებიც, რომლებიც მოსკოვსა თუ თბილისში **ზურაბ მგელაძის** მიერ გაშლილ სუფრებზე ქეიფობდნენ და **ჯაბა იოსელიანს** სიმღერებს უძღვნიდნენ.

ამ ყველაფრის უკან იდგა და მთელ ამ პროცესს სწორედ **ზურამ მგელაძისა და ჯაბა იოსელიანის** ხელით წარმართავდა **ედუარდ შევარდნაძე,** რომელიც დიდი ცვლილებებისთვის და პოლიტიკური ნახტომისთვის ემზადებოდა.

**რენო სირაძეს,** რომელიც ფინეთში ზვიად გამსახურდიას ერთგული წარმომადგენელი იყო, მოგვიანებით ამერიკული „ცერეუს" ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა პირდაპირ განუცხადა, რომ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ევროპისა და ამერიკის წამყვან ჟურნალ-გაზეთებსა და ტელევიზიებში საინფორმაციო შტურმსა და ცრუ ინფორმაციის გავრცელებას სათავეში ედგა სწორედ **ედუარდ შევარდნაძე.** საქართველოს მტრებმა ზვიად გამსახურდიას მიაწებეს ასეთი ლოზუნგი — „საქართველო ქართველებისთვის!" ეს ზვიადს არასოდეს უთქვამს...

**— მაშ, ვინ თქვა?**

— ეს ლოზუნგი ეკუთვნის **გიორგი ჭანტურიას!** ცნობისათვის: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" საპროგრამო დებულების მთავარ ნაწილში „დ" პუნქტი ასე ჟღერდა — **„ჩვენი დევიზია — საქართველო ქართველებისათვის!"** ყველაზე „საინტერესოდ" ჭანტურიას პარტიის „ბ" პუნქტი გამოიყურებოდა, სადაც ეწერა — **„პარტიის გენერალურ ხაზს თეოდემოკრატია წარმოადგენს!"**

**— ზვიად გამსახურდიას განმაქიქებლები დღემდე მწარედ და გესლიანად აპელირებენ მის ე.წ. „მონანიებაზე".**

— ამ საკითხზე ბევრი რომ არ ვიმარჩიელოთ, უნდა მოვუსმინოთ ციხიდან ახალგამოსულ **მერაბ კოსტავას,** რომელიც 1987 წლის მაისში წერდა —

> *„ჩვენ ასევე შევთანხმდით, რომ დევნილობაში მყოფი ზვიად გამსახურდია პრეზიდიუმს გაუგზავნიდა თხოვნას განთავისუფლებისა და საქართველოში ჩემზე ადრე დაბრუნების შესახებ, რაც აუცილებელი იყო ჩვენი საერთო საქმისათვის, ჩვენი დანარჩენი მოთხოვნების შესრულებისა და პატრიოტული ძალების დარეგულირებისათვის. მინდა, აქვე აღვნიშნო, რომ ზვიად გამსახურდიამ ეს ყველაფერი შეასრულა და გათავისუფლების შემდეგ უფლებათა დამცველის საქმიანობა გააგრძელა. ზვიად გამსახურდიას ნაბიჯს და მის პოზიციას არამხოლოდ ვამართლებ, უფრო მეტიც — იმ სიტუაციაში ვთვლი მას აუცილებლად. ის, ვინც თავის სიცოცხლეს სწირავდა სიმართლისა და სამშობლოსათვის, მსხვერპლად გაიღო თავისი თავმოყვარეობა, რაც უფრო მაღლა დგას, ვიდრე პირველი მსხვერპლი".*

ვფიქრობ, აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. ასე რომ, ზვიად გამსახურდიას მაგინებლებს, ვიდრე რამეს იტყვიან, მოვუწოდებ, ცოტა დაფიქრდნენ, დაოკდნენ და მერაბ კოსტავას ეს განცხადება წაიკითხონ!

აუცილებლად ცალკე აღნიშვნის ღირსია **ჭანტურიასა და სარიშვილის** მორიგი „ბრალდება" ზვიად გამსახურდიასადმი, რომელსაც იმ არეულ დროში რუსთაველის პროსპექტზე მთელი „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" აქტივი სკანდირებდა. ლოზუნგი ასე ჟღერდა — **„ძირს შევარდნაძე-გამსახურდიას ალიანსი!"** ქვეყანაში

## კვირგვინოსნები



**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*

როგორც დათა თუთაშხიაშია, **პოლიტიკურ თონეში უნდა ჩაახრჩო ნაციონალური მოძრაობა** და არ უნდა ამოასუნთქო, დღეს რომ გამოდიან და კიდევ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე ლაპარაკს ბედავენ.

„POSTTV"



**ამირან შალიკაშვილი (უმცროსი)**
*პანტომიმის თეატრის ხელმძღვანელი*

**„თიბისი ბანკი" ხალხს აშავებდა, მოტყუებით ართმევდა ქონებას!** უცხოურ ბანკს, საიდანაც სესხი მაქვს გამოტანილი, აქვს ბევრი დარღვევა ჩემ მიმართ, მე არაფერი დამირღვევია, **გამიზნულად შეკერეს საქმე და უნდათ ქონების წაღება,** თან აქ არის **ამირან შალიკაშვილის** სახლ-მუზეუმზე საუბარი და არა ჩემს პირად ქონებაზე! 23 წელი ერთი დღე დარღვევა არ მქონია. **ეს არის გამიზნული ქონების ახევა.** როგორც შერჩა **ხაზარაძეს,** ეგრე არ შეგრჩებათ. სხვა დროა! **ეს საბოლოოდ უნდა დასრულდეს და მე ამას დავასრულებ.**

„ახალი თაობა"



**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

არ შეიძლება ბრძოლა **ხალხის ცრემლებზე გამდიდრებულ მევახშეებთან ერთად,** რადგან მიჩვეულნი არიან ღირსების „გაპროცენტებას", პოლიტმევახშეები ვაჭრობენ და ქვეყნის მართვის სადავეებზე ოცნებობენ.

„პირველი არხი"



**ბადრი ჯაფარიძე**
*„ლელოს" წევრი, პარლამენტარი*

ნაცმოძრაობისა და **გახარიას პარტიის გარდა,** ყველასთან ვითანამშრომლებთ.

„კვირის პალიტრა"



## „ვაჟა ადამიას თენგიზ კიტოვანის ადგილი სურდა და ეროვნული გვარდიის სარდლობას უმიზნებდა, რაც ვერ მიიღო და ზვიად გამსახურდიას სწორედ ამის გამო დაუპირისპირდა!“

წარმოუდგენელი რამ ხდებოდა — შევარდნაძის პირდაპირი აგენტები **გიორგი ჭანტურია და ირინა სარიშვილი** ზვიად გამსახურდიას იქით აბრალებდნენ შევარდნაძესთან ფარულ ალიანსში ყოფნას... ეს ლოზუნგიც — **„ძირს შევარდნაძე-გამსახურდიას ალიანსი!“** — სწორედ შევარდნაძის მიერ იყო შეკვეთილი და დაფინანსებული.

**გიორგი ჭანტურია და ირინა სარიშვილი** შევარდნაძის დავალებებს უფულოდ არ ასრულებდნენ! 1991 წლის 26 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღეს, **გიორგი ჭანტურიას** „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“ საგანგებო განცხადება გაავრცელა და ზვიად გამსახურდიას სამშობლოს ღალატში დასდო ბრალი. განცხადებას ხელი მოაწერეს: **გიორგი ჭანტურიამ, ირინა სარიშვილმა, მამუკა გიორგაძემ, გურამ ჩახვაძემ, თენგიზ შარმანაშვილმა, ვანო ხუხუნეიშვილმა, დავით კვარაცხელიამ, ირაკლი ქადაგიშვილმა, ვახტანგ ჭყოიძემ, ნიკო გონაშვილმა, გ. ზუმბაძემ** და სხვ. პარალელურად, **ჯაბა იოსელიანმა** ოპერის ბაღში კარვები გაშალა, რომელსაც თანადგომა გამოუცხადეს — **ვახტანგ გოგუაძემ, ვახტანგ კოტეტიშვილმა, მამა-შვილმა გაბაშვილმა, ვალერი კვარაცხელიამ, მამუკა არეშიძემ, ვალერიან ადვაძემ, იზა ორჯონიკიძემ, აკაკი ბაქრაძემ, ზურაბ კიკნაძემ, გურამ თევზაძემ, რომან მიმინოშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, კოტე იმედაშვილმა, თამაზ კვაჭანტირაძემ, გიგა და მარიკა ლორთქიფანიძეებმა, რისმაგ გორდეზიანმა, მზექალა შანიძემ...**

**— მზექალა შანიძემ ჯაბა იოსელიანს გამოუცხადა თანადგომა?**

— დიახ, არც მე მჯეროდა, მაგრამ ასე იყო ნამდვილად... **გოგა ხაინდრავა, გურამ გეგეშიძე, რეზო მიშველაძე, ციალა არდაშელია და ზურაბ თორიაც** ჯაბა იოსელიანის მხარდამჭერებს შორის იყვნენ. აკადემიკოსები — **ალეკო თავხელიძე, თამაზ გამყრელიძე, მერაბ ალექსიძე და ევგენი ხარაძე** პირდაპირ ჩადგნენ ჯაბა იოსელიანისა და მისი ბანდის სამსახურში. **ჯანსუღ ჩარკვიანის და რეზო ამაშუკელის** ხელმძღვანელობით შეიქმნა საზოგადოება „თბილისელი“, რომელიც გადატრიალების მოსურნეთა შტაბად იქცა. „თბილისელს“ ავტომატებით ამარაგებდა „რუსთაველის საზოგადოება“, რომელსაც **თენგიზ სიგუა** ხელმძღვანელობდა. ფული და იარაღი პირდაპირ რუსეთიდან, მოსკოვიდან მოდიოდა. ერთი რამ გვახსოვდეს — **ზვიად გამსახურდიას განსაკუთრებული სიმამაცით სისხლაღრეული და გვარგადაკეთებული ქართველობა ებრძოდა!** არ მინდა მათი ნამდვილი გვარ-სახელების დასახელება, ყველამ ყველაფერი იცის... ასეთი გვარგადაკეთებული და სისხლაღრეული ერთი და ორი არ ყოფილა, ბევრი იყო. ამიტომ ყველამ ენა გააჩეროს, თორემ ეგ გვარები ცნობილია! ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ კიდევ ერთი შტაბი კინოსტუდიაშიც გაიხსნა.

**— ვინ წარმოადგენდა ე.წ. კინოსტუდიის შტაბს?**

— ესენი იყვნენ: **ძმები ელდარ და გიორგი შენგელაიები, ვახტანგ კიკაბიძე, რეზო ესაძე, რეზო ჩხეიძე, ქეთი დოლიძე,** საფრანგეთში მცხოვრები **ოთარ იოსელიანი, თემურ ბაბლუანი და ნოდარ მგალობლიშვილი,** რომელიც ძალიან აქტიურობდა. **დათო ტურაშვილი ყარყარაშვილს** ახლდა სამეგრელოში, ხელში ავტომატი ეჭირა და ხალხს იჭერდა. სწორედ დათო ტურაშვილს ეკუთვის ფრაზა — **„აფხაზებს აქვთ უფლება, გააკეთონ არჩევანი დამოუკიდებლობაზე!“** იმასაც ვიტყვი, რომ დათო ტურაშვილმა მოგვიანებით ზვიად გამსახურდიას წინაშე ჩადენილი ღალატი და ცოდვები მოინანია. საერთოდ, ამ მომნანიებლების კატეგორია ძალიან საინტერესო ხალხია. ისინი ისეთ რამეებს ლაპარაკობენ, გაოცდებით! ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა 2016 წლის 29 ივლისს **ვაჟა ადამიამ,** როცა მწერალთა კავშირში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე განაცხადა — ეროვნული მოძრაობის ლიდერებში გადაწყვეტილი იყო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სათავეში **გია ჭანტურია** უნდა ყოფილიყო! ეს გადაწყვეტილება მოწონებული იყო „ზემოთაც“ და საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკური ლიდერების მიერაც!

**— ეს რას ნიშნავს?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ **გიორგი ჭანტურია** ფარულად „კაგებესთან“ თანამშრომლობდა და მოსკოვის მიერ მოწონებული და დამტკიცებული იყო, როგორც საქართველოს მომავალი ლიდერი. ცხადია, **შევარდნაძემ** ამის შესახებ იცოდა, ამიტომ კონკურენტი ჯერ თავის სამსახურში ჩააყენა და ბინძური საქმე გააკეთებინა, ხოლო შემდეგ, მოძლიერდა თუ არა, ისე, როგორც სხვები, ჭანტურიაც თავიდან მოიშორა.

1992 წლის მარტში ლანჩხუთში გაიმართა ე.წ. „ინტელიგენციის“ შეხვედრა მოსახლეობასთან, სადაც გახმოვანდა ასეთი ინსტრუქცია — **„ყველა ვალდებულია, დადებითად შეაფასოს ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლა, რადგან მისი პოლიტიკური ნიჭი და უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი სწორედ რომ ჰაერივით სჭირდება ეკონომიკურად დანგრეულ და პოლიტიკურად გათიშულ საქართველოს!“**

**— ამ განცხადებას ვინ ავრცელებდა?**

— ამას ამბობდა **ვაჟა ადამია,** რომელიც ლანჩხუთში მიავლინეს, რათა მოსახლეობაში შევარდნაძის პოპულარიზაცია გაეწია! სხვები, ე.წ. „ელიტური ინტელიგენციის“ სხვა წარმომადგენლები და ბანდიტები, სხვა რაიონებსა და ქალაქებში გაუშვეს შევარდნაძის ემისრებად და „პიარშჩიკებად“. როგორ ააყვავა შევარდნაძემ საქართველო, როგორ გაამთლიანა გათიშული ერი და დაშლილი ქვეყანა, ყველამ ვნახეთ და, მათ შორის, **ვაჟა ადამიამაც.** ზვიად გამსახურდიას თანამდებობის გამო დაუპირისპირდნენ უახლოესი თანამებრძოლები და მათ შორის გახლდათ სწორედ **ვაჟა ადამია და რუსლან ლონდაძეც.** ადამია უზენაეს საბჭოში თავდაცვისა და უშიშროების კომისიას ხელმძღვანელობდა და ძალოვან სტრუქტურებზე დიდი გავლენა ჰქონდა. **ვაჟა ადამიას თენგიზ კიტოვანის** ადგილი სურდა და ეროვნული გვარდიის სარდლობას უმიზნებდა, რაც ვერ მიიღო და ზვიად გამსახურდიას სწორედ ამის გამო დაუპირისპირდა. უფრო ადრე **ადამია** კიტოვანს დაეტაკა და პარლამენტს ეროვნული გვარდია შეამოწმებინა, სადაც უამრავი კანონდარღვევა და თანხების გაფლანგვის ფაქტი დაფიქსირდა. **თენგიზ კიტოვანმა** ეს ყველაფერი ზვიად გამსახურდიას დააბრალა — **ვაჟა ადამია ზვიადმა მომიგზავნაო!** არადა, ზვიადი აქ არაფერ შუაში იყო, ადამიას უნდოდა კიტოვანის ადგილი და ერთი ბანდიტი მეორეს ერჩოდა.

**— საერთოდ, კადრები ზვიადის აქილევსის ქუსლი იყო ისევე, როგორც საქართველოს ყველა მომდევნო ხელისუფლის.**

— გამსახურდია ამას კარგად გრძნობდა და ამიტომაც იყო, რომ 1991 წლის 15 ნოემბერს სატელევიზიო გამოსვლისას აცხადებდა — *„მოხდა ჩვენი კადრების გახრწნა და გადაგვარება. აი, ასეთ დროს რატომ გიკვირთ, ვერ ვპოულობდე შესაფერის კადრებს თანამდებობებზე. მოგვაწოდეთ თქვენი კანდიდატურები, მოგვეხმარეთ კადრების შერჩევაში! კადრების უმართებულოდ შერჩევამ მოიტანა ძალზე სავალალო შედეგები, ვინაიდან ვართ ომის მდგომარეობაში დღიდან ჩვენი არჩევისა!“*

პრეზიდენტ კაცს მეტი რა უნდა ექნა?! იხვეწებოდა — გვერდით დამიდექითო, მაგრამ ეს ჩვენი „სახელოვანი ინტელიგენტები“ — **თამაზ გამყრელიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, რეზი თვარაძე, ოთარ ჯაფარიძე** და სხვები ახლოს არ ეკარებოდნენ, რადგან შევარდნაძისგან ჰქონდათ აკრძალვა! **ფაქტია, რომ ოპოზიციაში მოკალათებულთა აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფოებრივად ვერ აზროვნებდა, ასეთები არც ხელისუფლების ბანაკს აკლდა, რასაც გამსახურდია მწარედ განიცდიდა.**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



## „საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი, რომელმაც გადატრიალების დღეებში მარჯანიშვილის თეატრი ავტომატების საწყობად გადააქცია, უცხოეთში ყველგან ზვიად გამსახურდიას ლანძღავდა – საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა, დიქტატორი გამსახურდია გვმართავსო!“

### კვირგვინოსნები

**თარიელ ხარხელაური**
*პოეტი*



დღეს იმის ჟამია, რომ **ქართველმა კაცმა გამოიფხიზლოს.** მე დედამიწის ზურგზე **არავის სიძულვილი არ შემიძლია,** მათ შორის, არც ჩემი შვილის მკვლელის.

„კვირის პალიტრა“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ხელისუფლების „აყირავების“ ოპერაციაში აშშ-ის საელჩოს როლი** განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოიკვეთა **2022 წლის ივნის-ივლისისა და 2023 წლის მარტის აქციების დროს,** როდესაც პირდაპირ დაფიქსირდა მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების როგორც ჩართულობა, ასევე — მათთვის ინსტრუქტაჟის გაცემის ფაქტები. ანალოგიური პროცესი ვითარდებოდა **2014 წელს უკრაინაშიც,** სადაც **ვიქტორია ნულანდი** წყვეტდა, თუ ვინ უნდა „გაიწიოს“ ოპოზიციიდან და ვინ დარჩეს. მარტის აქციების დროს დაგვიფიქსირდა მსგავსი პროცესი, როცა აქციაზე **ბახარია-ლომჯარია** მიიყვანეს.

„აიპრესი“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



**„ეროვნული ბანკის შესახებ“** კანონპროექტს აწერია: **„ჩვენ ვერაფერი ვისწავლეთ სააკაშვილის მიქარვებიდან და ჩვენც ისევე მივქარავთ“.**

„ინტერპრესნიუსი“

**დავით ნარმანია**
*სემეკ-ის თავმჯდომარე*



მინიმუმ 1-1,5 წელი **ელექტროენერგიის სექტორში ტარიფების ზრდა მოსალოდნელი არ არის.**

„ახალი თაობა“



## თევზეულის კერძები

**თევზის რულეტი.** თევზი (კალმახი) — 1 კგ, ზეთისხილი — 70-80 გრ.

**ვარიანტი I.** წითელი თევზის ფილე (კალმახი) ჩავაწყოთ ფენებად. ზემოდან მოვაყაროთ ზეთისხილი, მივცეთ რულეტის ფორმა, შევახვიოთ ფოლგაში და შევდოთ ჰაერღუმელში. გამზადებული რულეტი სუფრაზე მივიტანოთ ფენებად დაჭრილი.

**ვარიანტი II.** ზეთისხილის ნაცვლად შეიძლება ისპანახის გამოყენება. წვრილად დაჭრილ ისპანახს დავუმატოთ სანელებლები, წავუსვათ თევზის ფენას, მივცეთ რულეტის ფორმა. ისპანახი წინასწარ იჭრება წვრილად და ემატება სანელებლები. შემდეგ მზადდება როგორც I ვარიანტში.

### მოშუშული თევზი

**თევზი — 1 კგ, ლიმონის წვენი — 2 სუფრის კოვზი, სოიის სოუსი უშაქროდ — 2 სუფრის კოვზი.**

ლიმონის წვენით, სოიის სოუსით (უშაქროდ!), შავი და წითელი პილპილით მოვამზადოთ სოუსი, რომელიც მოესხმება ცოცხალ თევზს. თევზი მოვშუშოთ ტეფლონის ტაფაზე, რომელიც 10 წუთის განმავლობაში უნდა იყოს თავდახურული.

### ფოლგაში შემწვარი მთლიანი თევზი

**თევზი — 1 ც. (450-500 გრამი), ლიმონი — 4 ნაჭერი.**

ამ კერძის მოსამზადებლად გამოიყენება საშუალო ზომის კალმახი (ან დორადი). თევზი უნდა გამოიშიგნოს, შიგნით ჩაიდოს ლიმონის ნაჭრები. ამის შემდეგ დაიდოს ფოლგაზე, მოესხას მშრალი თეთრი ღვინო და შეიხვეს. შევწვათ ჰაერღუმელში.

### კალმახი ორთქლზე

კალმახი გაიწმინდოს, გამოიშიგნოს, გაეცალოს კანი. თევზი დავნამოთ ლიმონის წვენით და რამდენიმე წვეთი ზეთით და ჩავდოთ ორთქლსახარშში. მომზადდეს 15-20 წუთის განმავლობაში. სუფრაზე მივიტანოთ ცხელი ან ცივი სახით სალათის ფოთლებთან ერთად.





## ხორციანი კერძები

**ხორცის რულეტი:**
**ხორცი (ძროხის) — 1 კგ, ისპანახი — 200 გრამი, ნიორი — 2 კბილი; ოხრახუში და კამა — 50-50 გრამი.**

დავბეგვოთ 1 სმ სისქის ხორცის ნაჭრები. შუაში ჩავდოთ ნიორთან და მწვანილთან წინასწარ შეზავებული მოშუშული ისპანახი და მოხარშული კვერცხი. ხორცის ფარშირებულ ნაჭრებს მივცეთ რულეტის ფორმა. მჭიდროდ დავაწყოთ ტაფაზე და მოვშუშოთ. გამზადებული კერძი დავჭრათ ნაჭრებად, თითოეულ ნაჭერს მოვაყაროთ მწვანილი.

*1 — რადგანაც კვერცხის გული ცხიმის გარკვეულ რაოდენობას შეიცავს და მაღალკალორიულია, ყველგან, სადაც მოვიხსენიებ ქათმის კვერცხს, გირჩევთ, ნახევარი ან 3/4 გული გადააგდოთ და გამოიყენოთ დარჩენილი ნაწილი. კვერცხის ცილა მთლიანად მოიხმარეთ.*

*2 — კერძები ყველა შემთხვევაში ცხიმის დამატების გარეშე წყალში მოშუშეთ.*

### ღვიძლი მოშუშული ბოსტნეულით

**ძროხის ღვიძლი — 1,5 კგ, ხახვი — 4 თავი, ქინძი — 100 გრამი.**

მოვხარშოთ ღვიძლი (10 წუთის განმავლობაში), გადმოვიღოთ საწურზე და კარგად გავრეცხოთ. ქვაბის ძირში დავაფინოთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ქინძი. დავუმატოთ დაჭრილი ღვიძლი, დავასხათ წყალი და ვშუშოთ გამზადებამდე.



# როგორ ვუმკურნალოთ სახსრებს

***ახლა საუკეთესო დროა მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ ართრიტებისა და ართროზების საშემოდგომო გამწვავება.***

## დამნაშავეა ზედმეტი წონა და მაღალი ქუსლები

სახსრების ხრტილის დაზიანება რამდენიმე მიზეზით ხდება:

**1. ასაკობრივი და ჰორმონული ცვლილებები.** მაგალითად, ქალების უმრავლესობას კლიმაქსის დროს საყრდენ-მამოძრავებელ აპარატში უამრავი პრობლემა უჩნდება — ოსტეოპოროზი, ართროზი.

**2. ზედმეტი წონა.** როცა დავდივართ, ფეხის სახსრებსა და ხერხემალს ჩვენი წონის გაოთხმაგებული დატვირთვა აწვება! რაც უფრო მეტს იწონის ადამიანი, მით უფრო ადრე ცვდება მისი სახსრების ამორტიზაციული თვისებები.

**3. ტრავმა (ექსტრემალური სპორტის მოყვარულთა საყურადღებოდ).** ხრტილოვანი ქსოვილის გაბზარვა ან მოტეხა დროთა განმავლობაში ხრტილის დაშლას იწვევს.

**4. მოუხერხებელი ფეხსაცმელი.** ყველაზე სახიფათო ვარიანტები: ფეხსაცმლის ვიწრო ცხვირი, რომელიც ტერფის დეფორმაციას ახდენს, ძალიან მაღალი ქუსლი — „შპილკა“ ან არამყარი „პლატფორმა“.

## დიაგნოზს სვამს რენტგენი

თუ ვინმე შემოგთავაზებთ სახსრების სამკურნალო უნივერსალურ საშუალებას — არ დაუჯეროთ. ეს დაავადებები ორ დიდ ჯგუფად იყოფა:

**ართრიტი** — სახსრების ანთებისგან გამოწვეული.

**ართროზი** — ხრტილოვანი ქსოვილის დაზიანებისგან გამოწვეული.

ეს დაავადებები მკურნალობისა და პროფილაქტიკის სრულიად განსხვავებულ საშუალებას საჭიროებს.

დიაგნოზის ზუსტად დასადგენად პირველ რიგში საჭიროა სისხლის საერთო ანალიზი (ანთების არსებობის დასადგენად) და რენტგენი. რენტგენის სურათზე სახსრის უმცირესი ცვლილებაც კი გამოჩნდება.

სამედიცინო პრაქტიკამ უჩვენა, რომ გაზაფხულის დასასრული და ზაფხულის დასაწყისი საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებებისთვის მშვიდი პერიოდია და ამიტომ საუკეთესოა მათ სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

## როგორ გავიუმჯობესოთ ჯანმრთელობა

### ართროზისას

შესანიშნავი იქნება ისეთი სანატორიუმი, სადაც არის გოგირდოვანი წყალი (ჩვენ ამით განებივრებული ვართ. სანატორიუმის ნაცვლად შეგიძლიათ, ჭრელი აბანოთი ისარგებლოთ).

კარგია ზღვაში ბანაობა და ყველა პროცედურა ზღვის წყლით. შესანიშნავი პროფილაქტიკაა ტალახის აბაზანები.

### ართრიტისას

ცხელი კლიმატი (მაგალითად, ეგვიპტე) რეკომენდებული არ არის! მცხუნვარე მზე და აკლიმატიზაციისგან გამოწვეული სტრესი ანთებას უფრო გაამძაფრებს.

ცხელი ქვიშა და გარუჯვაც მავნებელია.

ართრიტის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის უმჯობესია ზომიერი კლიმატური ზონა ან შავი და მკვდარი ზღვები ხავერდოვან სეზონში.

ართრიტის დროს სასარგებლოა ფიზიოთერაპია, ასევე ცურვა და სპა-პროცედურები — რემისიის დროს. ტალახით მკურნალობა არ შეიძლება.

## პრობლემური კიდურების საგაზაფხულო მენიუ

მეტი ახალი ხილი და ბოსტნეული. სახსრებისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა პომიდორი, ოხრახუში, ისპანახი, ბულგარული წიწაკა, ნიორი.

ბოსტნეულის სალათა შეაზავეთ არა მაიონეზით, არამედ ზეითუნის ზეთით, ხილის სალათა — თაფლით.

შეძლებისდაგვარად შეზღუდეთ ხორცი (განსაკუთრებით — წითელი) და კონსერვები — ითვლება, რომ ისინი ხელს უწყობენ სახსრების ანთებას.



**კენკრიდან ძალიან სასარგებლოა მოცვი, შავი მოცხარი, ალუბალი. ჩაი და ნაყენი გააკეთეთ გვირილის, წითელი მოცვის ფოთლების, კრაზანისგან. დაავადებულ სახსრებზე კარგად მოქმედებს სოია და ავოკადო. ასევე სასარგებლო მცენარეული ზეთი (ყველანაირი), გოგრის, მზესუმზირის თესლი.**

## ვარჯიში დაღლილობის წინააღმდეგ

***სახსრები რომ არ შეგიშუპდეთ და დაგიბუჟდეთ, დღეში 3-4-ჯერ მჯდომარემ შემდეგი ვარჯიშები გააკეთეთ:***

**1.** დაჭიმეთ და მოადუნეთ თეძოს კუნთები, ამ დროს მუხლები მოხარეთ და გაშალეთ (5-ჯერ).

**2.** ღრმად ჩაისუნთქეთ, მუცელი გამოზნიქეთ. ამოისუნთქეთ, მუცელი შეკუმშეთ (3-4-ჯერ).

**3.** ნელა აწიეთ ხელები ზევით — ჩაისუნთქეთ, ხელები ჩამოუშვით — ამოისუნთქეთ (3-4-ჯერ).

**4.** ფეხის თითები მოხარეთ და გაშალეთ 10-ჯერ, ნელ ტემპში.

**5.** სკამზე ჯდომისას, ფეხი ფეხზე გადაიდეთ და მოდუნებული ტერფით გააკეთეთ წრიული მოძრაობები ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ. გაიმეორეთ 10-12-ჯერ თითოეული ფეხით.

**6.** ძალიან სასარგებლოა, ტერფებით აგორავოთ ჩვეულებრივი ხისგან გაკეთებული ცომის საბრტყელებელი ან შეიძინოთ სპეციალური ტრენაჟორი, რომელიც საბრტყელებელს ჰგავს, ოღონდ, ხორკლიანია. ასეთი ვარჯიშით უმჯობესდება სისხლის ცირკულაცია ფეხებში და კუნთებისა და ძარღვების მდგომარეობა.



## დესერტი

### შემწვარი ვაშლი კენკრით.

**დიდ ვაშლს ამოვაცალოთ გული და გემოვნების მიხედვით გავავსოთ ჟოლოთი, წითელი მოცვით ან მაყვლით. ვაშლები შევწვათ ჰაერღუმელში. შეიძლება ვაშლის მომზადება კენკრის გარეშე, მაგრამ უნდა მოვაყაროთ ცოტა დარიჩინი. შეიძლება კომბინირებული ვარიანტიც.**



### ხილის სალათა ვანილის სოუსითა და ლიქიორით



**ერთი ვაშლი, ერთი მსხალი, ოთხი ცალი ქლიავი და ერთი ვაშლატამა გავრეცხოთ, დავჭრათ პატარა ნაჭრებად და ჯამში ჩავყაროთ. დავასხათ ერთი ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და 2 სუფრის კოვზი ალუბლის ლიქიორი, ამოვურიოთ და ზემოდან ვანილის სოუსი მოვასხათ.**

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

***„ასავალ-დასავალი“ იწყებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის ახლახან გამოცემული მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში და იმ პერიპეტიებს ეხება, რომლებმაც განსაზღვრეს უმძიმესი დღევანდელობა! სწორედ ამიტომაც საგულისხმოა, რამდენად და როგორ გაიყიდა საქართველო, რასაც ხუხაშვილი თავად ესწრებოდა.***


დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-27




## გია ხუხაშვილი: ეს იყო შევარდნაძის ფატალური შეცდომა, რამაც განაპირობა «ვარდების რევოლუცია!»

**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში, **ბადრი პატარკაციშვილთან** დაკავშირებული მოგონებების შემდეგ, უკან ბრუნდება და **ზურაბ ჟვანიასთან** ურთიერთობების თხრობაზე გადადის. მემუარისტი წიგნის ამ ნაწილს პირდაპირ ასე ასათაურებს — **„ზურა“** და სკანდალური ფაქტის გახსენებით იწყებს:

> ***„2005 წლის 22 იანვარი...***
>
> ***დილით ადრე ძაღლს ვასეირნებდი იაშვილის ქუჩაზე. უკვე სახლში ვბრუნდებოდი. იაშვილისა და ამაღლების ქუჩების კვეთას რომ მივუახლოვდი, უცებ რაღაც მომხვდა სახის არეში და გონება დავკარგე. ამის შემდეგ უკვე ყველაფერი ბუნდოვნად, ცალკეულ სურათებად, კალეიდოსკოპურად მახსოვს*** *— როგორ მიმიყვანეს სრულიად უცნობმა ადამიანებმა სახლში... სასწრაფო დახმარების მანქანა... კომპიუტერული ტომოგრაფია... საოპერაციო...*
>
> ***იყო მხოლოდ ერთი დარტყმა. არც დამინახავს ან დროებითი ამნეზიის გამო არ მახსოვს, ვინ დამესხა თავს“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ გვ. 111).*

ხუხაშვილის თქმით, ტრავმა უმძიმესი იყო: ზედა ყბა მთლიანად შეუნგრიეს, ქვედა კი ნამსხვრევებად იყო ქცეული და მრავალსაათიანი ოპერაციის შედეგად მძივებივით აუკინძეს...

ხუხაშვილი ასე აფასებს მასზე თავდასხმის მოტივებსა თუ მიზეზებს:

> ***„თავდასხმის სავარაუდო მიზეზებზე მოგვიანებით გესაუბრებით, თუმცა, აქვე გეტყვით, რომ მას შემდეგ, რაც რკინიგზიდან წამოვედი, ჩემი კრიტიკული აქტივობებით არაერთი ახალი თუ ძველი ინტერესჯგუფი გადავიმტერე...***
>
> *პოლიტიკასა და ეკონომიკაში პროცესების კვალდაკვალ ჩემეულ ხედვას კრიტიკული ანალიზის სახით ვაქვეყნებდი* ***გაზეთ „რეზონანსში“.*** *კრიტიკა საკმაოდ ზომიერი იყო, ყოველგვარი რადიკალიზმისა და შეუქცევადი სკეპტიციზმის გარეშე.*
>
> ***ამის ძირითადი მიზეზი ის გახლდათ, რომ ხელისუფლებაში მეგულებოდა ზურაბ ჟვანია, რომლის იმედიც მქონდა. ვფიქრობდი, რომ რახან ის პრემიერ-მინისტრია, კიდევ არსებობს შეცდომებისა და გადაცდომების გამოსწორების შანსი“*** *(იქვე, გვ. 112).*

**ხუხაშვილი** იხსენებს იმასაც, რადგან მას საუბარი ფიზიკურად არ შეეძლო, როგორ დაურეკა **პრემიერმა ჟვანიამ** მათ საერთო ახლობელს და ჰკითხა, ამ თავდასხმას გია რკინიგზასთან კრიტიკულ პოზიციას ხომ არ უკავშირებსო? ამაზე ხუხაშვილს მხრები აუჩეჩია... თუმცა, მემუარებში პირდაპირ ამბობს:

> ***„შემიძლია გითხრათ, რომ ეს იყო შეკვეთილი თავდასხმის პირველი, მაგრამ როგორც შემდგომში გაირკვა, არა უკანასკნელი ფაქტი ახალი ხელისუფლების პირობებში.***
>
> ***ალბათ, გაინტერესებთ, რატომ არ გახდა ეს შემთხვევა ისეთივე რეზონანსული, როგორიც გახდა, მაგალითად, ვალერი გელაშვილზე თავდასხმა?***
>
> ***უბრალოდ, სულ მალე ისეთი რამ მოხდა, რამაც საზოგადოებასაც და პირადად მეც დამავიწყა ჩემი პირადი ისტორია...“*** *(იქვე, გვ. 114).*

სულ მალე კი ის მოხდა, რომ ხუხაშვილზე თავდასხმიდან ათიოდე დღეში, 2005 წლის 3 თებერვალს, **პრემიერი ჟვანია** კონსპირაციულ ბინაში მკვდარი იპოვეს!

ხუხაშვილი პირდაპირ ამბობს, რომ ეს მისთვის წარმოუდგენელი შოკი იყო და იხსენებს, რამდენად მნიშვნელოვანი ადამიანი იყო ჟვანია მისთვის. რომ მხოლოდ მის გამო დაუჭირა მხარი „ვარდების რევოლუციას“, რადგან იმთავითვე არ მოსწონდა სააკაშვილი:

> ***„თავიდანვე არ მომწონდა სააკაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერში ვეთანხმებოდი, მისი პოპულიზმით გაჟღენთილი კომუნიკაციის აგრესიული სტილი ჩემში ყოველთვის იწვევდა შფოთსა და უსიამოვნო მოლოდინებს.***
>
> ***ადვილად ვხედავდი, როგორ შეეძლო მას ნგრევა, მაგრამ ფანტაზია არ მყოფნიდა იმისათვის, რომ ის მშენებლის როლში წარმომედგინა...***
>
> *სამაგიეროდ, კარგად წარმომედგინა* ***ზურაბ ჟვანია,*** *როგორც მშენებელი.*
>
> ***მათ ტანდემში დავინახე გარკვეული ტიპის სინერგია. ჩემს თვალში ისინი თითქოს ერთმანეთს ავსებდნენ — ერთს ჰქონდა ხალხის სიყვარულის მოპოვების უნიკალური უნარი, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მმართველობისათვის აუცილებელი წინდახედულობითა და სიბრძნით არ გამოირჩეოდა, ხოლო მეორეს ჰქონდა იმავე ხალხის პატივისცემა სიბრძნისა და წინდახედულობის გამო, მაგრამ არ ჰქონდა სიყვარული“*** *(იქვე, გვ. 115).*

ამის შემდეგ მემუარისტი იხსენებს, რამდენად მაღალი კლასის პოლიტიკური ფიგურა იყო **ზურაბ ჟვანია,** რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის „ვარდების რევოლუციამდე“ მიყვანამდე!

დიახ, ხუხაშვილის აზრით, მიუხედავად სააკაშვილის ხმაურიანი და სკანდალური აქტივობებისა, სწორედ ჟვანიას მრავალსვლიანმა პოლიტიკურმა თამაშმა განაპირობა შევარდნაძის რეჟიმის დამხობა და ამის მაგალითად „რკინის კაცად“ წოდებული შს მინისტრის **კახა თარგამაძის** განეიტრალების სპეცპოლიტოპერაცია მოჰყავს:

> ***„ყველა მმართველობით სისტემას ჰყავს თავისი საკვანძო ფიგურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელისუფლების კონსოლიდაციასა და სტაბილურობას...***
>
> ***ასეთი იმ წლებში გახლდათ ე.წ. „რკინის კაცი“, შს მინისტრი კახა თარგამაძე. შესაბამისად, იმისათვის, რომ პოლიტიკურად დაგემარცხებინა ხელისუფლება, აუცილებელი იყო მისი ნეიტრალიზება, რის შედეგადაც სისტემაში აუცილებლად დაიწყებოდა რყევები და შეიქმნებოდა ცვლილებებისათვის საჭირო წინაპირობები.***
>
> ***საჭირო იყო მისი „დღის სინათლეზე“ გამოყვანა, ნეგატიური იმიჯის ფორმირება, იმის ჩვენება, რომ არც ისე საშიშია და ბოლოს, მისი პოლიტიკური განადგურება“*** *(იქვე, გვ. 116).*

ანუ **კახა თარგამაძის** დისკრედიტაციისათვის „შავი სამუშაო“ **მიშა სააკაშვილმა** შეასრულა, ბოლოს კი გადამწყვეტი დარტყმისათვის სცენაზე მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე **ზურაბ ჟვანია** გამოვიდა:

> ***„ეს იყო ნამდვილი მრავალსვლიანი პოლიტიკური პარტია, რომლის ანატომია დღემდე სათანადოდ არ არის აღწერილი და გაანალიზებული...***
>
> ***ზურაბ ჟვანიამ ამ დიდი, შიდასახელისუფლებო დაპირისპირების პიკზე გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ იმ პირობით, თუ თარგამაძეც გადადგებოდა შს მინისტრის თანამდებობიდან. სწორედ აქ დაუშვა შევარდნაძემ, შეიძლება ითქვას, ფატალური შეცდომა და დათანხმდა ასეთ ორმხრივ შეწირვაზე“*** *(იქვე, გვ. 117).*

მემუარისტი იმასაც კი ამბობს და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ამ გადამწყვეტ პარტიაში **ჟვანიამ** პირწმინდად მოუგო **შევარდნაძეს:**

> ***„ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ასეთმა მრავალნაცადმა და გამობრძმედილმა პოლიტიკოსმა, როგორიც შევარდნაძე იყო, წააგო პოლიტიკური პარტია ახალი თაობის პოლიტიკოსთან ზურაბ ჟვანიასთან. თან, ეს ისე მოხდა, რომ მან თავიდან ვერც დაინახა ეს მარცხი. შესაძლოა, გარკვეული დროის განმავლობაში იმასაც ფიქრობდა, რომ ეს გამარჯვება იყო, თუმცა, დარწმუნებული ვარ, არცთუ ისე დიდი დრო დასჭირდებოდა ამ გადაწყვეტილების დამანგრეველი შედეგების გასააზრებლად“*** *(იქვე, გვ. 118).*

მემუარისტის აზრით, სწორედ **თარგამაძის** ჩანაცვლებამ ნაკლებად ავტორიტეტული **ნარჩემაშვილით** განაპირობა პოლიციის ჩამოშლა კრიტიკულ მომენტში, როდესაც სულ რამდენიმე ათასმა კაცმა მოახერხა მთელი სახელისუფლებო ვერტიკალის პარალიზება და რევოლუცია.

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***





# მიხეილ ცაგარელი:
# მთვარე და მიწათმოქმედება

*— რა დახმარებას გაუწევს ასტროლოგიური ცოდნა და, სახელდობრ, მთვარის კალენდარი მიწათმოქმედებითა და აგრარული სამუშაოებით დაინტერესებულ ადამიანებს? რომელ დღეებში არ არის რეკომენდებული ამგვარი სამუშაოების შესრულება? რა რჩევების გათვალისწინება გვმართებს მთვარის ამა თუ იმ სტიქიის ზოდიაქოს ნიშანში გავლისას? როდის არის საუკეთესო პერიოდი მიწის დამუშავების, მორწყვისა და სასუქით გამდიდრებისთვის, ანდა ნარგავების ირგვლივ გათოხვნისთვის და სარეველებისგან გათავისუფლებისთვის? მთვარის რომელი სტიქიის ზოდიაქოს ნიშნებში გავლისას აქტიურდება ფესვების ზრდა ანდა ხელი შეეწყობა ფოთლოვანი სისტემის განვითარებას? როდის ძლიერდება ზემოქმედება თესლსა თუ ნაყოფზე, ანდა როდის არ არის რეკომენდებული მოსავლის აღება? როდის მატულობს მცენარისთვის ტრავმის მიყენების საშიშროება და რატომ? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* **მიხეილ ცაგარელი** *გვესაუბრება.*

**— ზაფხულია და, მოგეხსენებათ, ეს დრო გაზაფხულ-შემოდგომასთან ერთად ბაღ-ბოსტნებსა თუ ველ-მინდვრებში ინტენსიური სამუშაოების პერიოდია. ამჟამად მიწათმოქმედებითა და მებაღეობით, გლეხებისა და ამ საქმის პროფესიონალების გარდა, ბევრი სხვადასხვა პროფესიის ადამიანია დაინტერესებული. მათ შორის, ახალბედებიც არიან, რომლებიც სოფელსა და საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებს, სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა და დისკომფორტის გამო დროებით დაუბრუნდნენ და სამუდამოდ მოიხიბლნენ დედაბუნებასთან, მიწასთან სიახლოვით, რაც, როგორც აღნიშნეთ, მეტად სასარგებლო და მისასალმებელია. შესაბამისად, ჩვენი დღევანდელი საუბარი ასტროლოგიისა და მიწათმოქმედების კავშირზე ასევე დროული იქნება.**

— დიახ, ასტროლოგიური ცოდნა, მოგეხსენებათ, ათასობით წლებს ითვლის და, მათ შორის, ერთ-ერთი პირველი ძირეული გამოყენება მან სწორედ მიწათმოქმედებაში პოვა. გლეხი და მიწის მუშა ამ ცოდნას საუკუნეების მანძილზე იყენებდნენ, რათა მოსავალი უფრო ნაყოფიერი და კარგი მიეღო. ამის შესახებ არაერთი წერილობითი წყარო არსებობს, მათ შორის, ძველქართულიც. ამგვარად, **ასტროლოგიის დახმარებით შეგვიძლია, სწორად შევარჩიოთ დღეები არამარტო დათესვისთვის, მორწყვისა და კარგი მოსავლის მისაღებად, არამედ, მიწის უკეთ გასანოყიერებლად, სხვადასხვა პარაზიტებთან, ბაქტერიებთან თუ დაავადებასთან საბრძოლველად, მოსავლის შესანახად და დასამუშავებლად, სხვადასხვა კონსერვებისა და სამზადისებისთვის და ა.შ.** არსებობენ ასტროლოგები, რომლებიც ინფორმაციას აქვეყნებენ აგრარული სამუშაოების, მებაღეობის, მებოსტნეობის და მეყვავილეობის შესახებ. მათ შორის, ქართველი ავტორებიც არიან. თუმცა, ამ ადამიანებმა, ვისაც თავად სურთ ამ მიმართებით გარკვეული ცოდნის მიღება, სასურველია, **მთვარის კალენდრები** მოიმარჯვონ, რაშიც დიდ დახმარებას ინტერნეტი გაუწევს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში **ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მთვარე, მისი ფაზები** (აღმავალი და დაღმავალი) **და ამა თუ იმ ზოდიაქოში მოძრაობის პერიოდი.** ნიშანდობლივია ისიც, რომ **არსებობს დღეები, როდესაც კატეგორიულად არ არის რეკომენდებული ამ მხრივ რაიმე სამუშაოს ჩატარება. ესენია ახალმთვარეობა, სავსემთვარეობა, მზისა და მთვარის დაბნელება და ე.წ. ჰეკატის დღეები, ანუ მთვარის კალენდრის პირველი და ოცდამეცხრე დღე.** ამგვარად, უკეთ რომ გავერკვეთ **მთვარის** კავშირზე აგრარულ სამუშაოებთან, სასურველია, ყველაზე მნიშვნელოვანი საბაზისო საკითხები განვიხილოთ.

**1. მთვარის ზემოქმედება ნიადაგზე.** ნიადაგი რთული ორგანული შემადგენლობისაა და თავის თავში მრავალფეროვან ფლორასა და ფაუნას აერთიანებს. იგი ეხმარება მცენარეს, რათა გაღვივდეს, იკვებოს, ჟანგბადი მიეწოდოს, გაიზარდოს და განვითარდეს. **სტატისტიკის თანახმად, ბოსტნის ერთი მუჭა ნიადაგი ოთხ მილიარდამდე ცოცხალ მიკროორგანიზმს შეიცავს,** რომელიც ხელს უწყობს ორგანული ნარჩენების ნეშომპალად და სასუქად გარდაქმნას, მიწის მინერალებითა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით გამდიდრებას. ყოველივე ეს კი განსაზღვრავს ნებისმიერი ტიპის ნიადაგის ნოყიერებას. ამგვარად, **მიწის დამუშავება, ბარვა, მორწყვა და სასუქით გამდიდრება საჭიროა მაშინ, როდესაც ნიადაგის მიკროსამყარო ყველაზე ძლიერი და აქტიურია, ანუ როდესაც მთვარე მიწის სტიქიის** (კუროს, ქალწულს, თხის რქას), **წყლის სტიქიის** (კირჩხიბს, ღრიანკალს, თევზებს) **და სასწორის ზოდიაქოს ნიშნებს გადის.** ამ შემთხვევაში მთვარის ფაზებს ყურადღება არ ექცევა, ხოლო **მიწის გაფხვიერება, ნარგავების ირგვლივ გათოხვნა, სარეველებისაგან ნიადაგის გათავისუფლება უმჯობესია მაშინ, როცა მთვარე გადის ვერძის, ტყუპის, ქალწულის, მშვილდოსნის, მერწყულის ნიშნებს.** ამ დროს მიწასა და ნარგავებს სუნთქვა ესაჭიროება, ამიტომ, რაც მეტი ჟანგბადია ნიადაგში, მით უკეთესია მცენარისთვის. **მცენარეების თესვა, დარგვა-გადარგვა, დაფესვიანება ან დამყნობა კი უმჯობესია მთვარის მიწისა და წყლის სტიქიის ნიშნებისა და სასწორის ზოდიაქოს ნიშნის გავლისას, თუმცა, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, სხვადასხვა მცენარისთვის ხელსაყრელი იყოს მთვარის სხვადასხვა ფაზა.**

**2. მთვარის ზემოქმედება მცენარეზე.** მოგეხსენებათ, ზოდიაქოს ნიშნები სტიქიების მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა. **მცენარეთა ზრდისა და განვითარების პროცესზე ზემოქმედების თვალსაზრისით ყველაზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მთვარის ამა თუ იმ სტიქიის ნიშნებში მოძრაობას.** ამგვარად **მიწის სტიქიის ნიშნები** (კურო, ქალწული, თხის რქა) ააქტიურებენ მცენარის განვითარებას, რამეთუ ხელს უწყობენ ფესვების ზრდას. **მთვარის** ამ ნიშნებში მოძრაობის პერიოდი განსაკუთრებით ხელსაყრელია ბოლქვოვანი მცენარეებისთვის, მათი თესვის, გამოკაფვისა და შეგროვებისთვის. ასეთი სამუშაოების ჩატარება განსაკუთრებით სასიკეთოა **დაღმავალი მთვარის ფაზაში. წყლის სტიქიის ნიშნები** (კირჩხიბი, ღრიანკალი, თევზები) მცენარის ფოთლოვანი სისტემის განვითარებაზე ზემოქმედებენ. **მთვარის წყლის სტიქიის ნიშნებში** მოძრაობისას უკეთ ვითარდება მწვანილეული და ბალახი, ფოთლოვანი ხეები და ბუჩქები. ამ დღეებში სასიკეთოა მათი დარგვა-დათესვა, გამოხშირვა, გამოკაფვა, პრეპარატებით დამუშავება და სასუქის მიწოდება, მაგრამ, ამავდროულად, არ არის რეკომენდებული მოსავლის აღება მცენარეებში გაზრდილი ტენიანობის გამო. **ჰაერის სტიქიის ნიშნები** (ტყუპი, სასწორი, მერწყული) **კი ზემოქმედებენ მცენარის ყვავილობასა და ნაყოფის წარმოქმნაზე. მთვარის** ამ ნიშნებში გავლისას განსაკუთრებით სასიკეთოა ყვავილოვან და მცოცავ მცენარესთან მუშაობა, მათი თესვა, გამოხშირვა, მარგვლა, ჩითილებისა და ბოლქვოვანი მცენარის გადარგვა. **ცეცხლის სტიქიის ნიშნები** (ვერძი, ლომი, მშვილდოსანი) **ზემოქმედებენ თესლის მომწიფებასა და ნაყოფის განვითარებაზე. მთვარის** გავლისას ამ ზოდიაქოს ნიშნებში რეკომენდებულია მსხმოიარე ხეებთან და მცენარეებთან სამუშაოების ჩატარება. ოღონდ არ არის სასურველი გასხვლა და დაზიანება, რადგან ნებისმიერი იარა დიდხანს ვერ მოშუშდება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ზოგადად, **ცეცხლის სტიქიის ნიშნები ტრავმასაშიში არიან,** რაც საყურადღებო და ცალკე განხილვის საგანია.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 19 – 25 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
შესაძლოა, ახალი შემოთავაზება მიიღოთ, რომელიც სოციალურ სტატუსსა და მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ, განსაკუთრებით ფინანსური საკითხები იქნება საყურადღებო. თქვენი კომუნიკაბელურობა, პოპულარობა და ავტორიტეტი მოიმატებს. შესაძლოა, სხვა წრის ადამიანთან სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოგიყალიბდეთ. ალკოჰოლს მოერიდეთ და მოგზაურობისას ნუ იჩქარებთ, რათა არ დაშავდეთ.

**კურო** (21.04-20.05)
თქვენი შემოსავლები და სამუშაოთა რაოდენობა მოიმატებს. გაგიჩნდებათ ურთიერთობის მოთხოვნილება იმ მეგობრებთან, რომლებიც თქვენს შეხედულებებს სრულიად გაიზიარებენ. ამის გამო, შესაძლოა, ეძიოთ ისეთი სასიყვარულო პარტნიორი, რომელთანაც მეტი სულიერ-იდეური თანხვედრა გექნებათ. ახლო მანძილზე მოგზაურობა ახლობლებთან ერთად დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს გიქადით. კარგი პერიოდია ვარჯიშისთვის, დიეტის დასაწყებად და ჯანმრთელობის პროფილაქტიკისთვის.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ეს დრო დამატებით შემოსავალსა და პერსპექტივებს გპირდებათ, თუმცა, შესაძლოა, ხარჯიც დიდი იყოს. ვარჯიში ჯანმრთელობას ხელს შეუწყობს. ქმედებებისას ნუ იჩქარებთ და იმპულსურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. წალაპარაკება ოჯახში, შესაძლოა, კონფლიქტში გადაიზარდოს, ამიტომ საკუთარი სიტყვები აკონტროლეთ. შეყვარებულს ურთიერთობას ნუ გაურჩევთ, მასზე ზეწოლას ნუ მოახდენთ და ულტიმატუმს ნუ წამოაყენებთ, რათა სიტუაცია არ დაძაბოთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
თქვენი ენერგობალანსი, ინტუიცია და შემოქმედებითი თვითგამოვლენის უნარი გაიზრდება. ხელოვნების ნებისმიერ დარგში წარმატება გელით. სტაბილური შემოსავალი თავდაჯერებას შეგმატებთ. შესაძლოა, მშობლებს თქვენი დახმარება და თანადგომა დასჭირდეთ. შეხვედრა-ურთიერთობები ხელს შეუწყობს შემოსავლის ზრდას. შესაძლოა, რომელიმე ორგანიზაციის წევრიც გახდეთ. კარგი პერიოდია საქმიანი, საქორწინო თუ სასიყვარულო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

**ლომი** (23.07-23.08)
ეცადეთ, თანამოაზრეებთან ერთად იმოქმედოთ, რამეთუ ბევრი საინტერესო იდეა დაგებადებათ, რომელთა განხორციელება ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. დრო ისე გაანაწილეთ, რომ ყურადღება არც სამსახურს მოაკლოთ და არც ოჯახს და, ამასთან ერთად გართობა და დასვენებაც მოასწროთ. აზარტულ თამაშებს, უხეშობას ერიდეთ და კანონსაც ნუ დაარღვევთ. ახალი სასიყვარულო ურთიერთობა, სავარაუდოდ, დიდხანს ვერ გასტანს და მალევე დასრულდება.

**ქალწული** (24.08-23.09)
აქტიურად თანამშრომლობა საქმიან პარტნიორებთან, მათი გამოცდილებისა და ფინანსების გამოყენება წარმატებას გიქადით. დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია მთელი ენერგიის კონცენტრირება. პრაქტიკული მოქმედებითა და საჭირო კავშირების დამყარების წყალობით, ადრე დაწყებულ საქმეებს ადვილად დაასრულებთ, შესაძლოა, სასიყვარულო ურთიერთობის გაღრმავებაზე ან გაოფიციალურებაზეც დაფიქრდეთ. ამ კვირაში მოგზაურობა სასიამოვნოდ ჩაივლის.

## 19 – 25 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ახალი ნივთების შეძენისა და ინტერიერის განახლება-გადახალისების სურვილი იმატებს. სახლი იქნება ის ადგილი, სადაც არამარტო იმუშავებთ, არამედ დაისვენებთ კიდეც. შეყვარებულთან საუბრისას სიტყვები გააკონტროლეთ, რათა გული არ ატკინოთ. ფინანსების ნაკლებობის გამო ავანტიურულ საქმეს ნუ დაიწყებთ, რათა დანაკარგს თავი აარიდოთ. მოგზაურობა კი როგორც პირადული, ისე საქმიანი დადებითად ჩაივლის.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
გაუმჯობესდება თქვენი ფსიქოსომატური მდგომარეობა და გაგიძლიერდებათ ლოგიკა, რაც პრობლემების იოლად გადალახვაში დაგეხმარებათ. გარშემო მყოფების ყურადღების მიუხედავად, შესაძლებელი იქნება პერიოდულად განმარტოება და სამომავლო გეგმების მშვიდად გაანალიზება. სასიყვარულო სარბიელზე მოსალოდნელია სერიოზული ნაბიჯების მცდელობა, რაც, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, ქორწინებითაც დასრულდეს. ექსტრემალურ სიტუაციებს კი მოერიდეთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
დრო ხელს შეუწყობს კვალიფიკაციის ამაღლებას. თქვენი ინტერესის არეალში მოხვდება არამარტო ფინანსური სტაბილურობის, არამედ სულიერ-ეზოთერული საკითხებიც. სხვა ქვეყანაში ან ქალაქში მცხოვრებ ადამიანთან ურთიერთობის დამყარება ან გაწყვეტა, შესაძლოა, შინაგანი არასტაბილურობის მიზეზი გახდეს. ოცნებისა და ილუზიების ნგრევა კი ფსიქოლოგიურ პრობლემებს შექმნის, ამიტომ ეცადეთ, ხშირად განმარტოვდეთ და დაისვენოთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
შემოქმედება თქვენი უმთავრესი საფიქრალი გახდება. ფსიქომატური მდგომარეობა გაუმჯობესდება, თუმცა, ფარულ საქმიანობას როგორც ბიზნესში, ისე პირად ცხოვრებაში უნდა მოერიდოთ. სამუშაოს რაოდენობა მოიმატებს. ამიტომ სასურველია, პერიოდულად დაისვენოთ და ავადმყოფობისგან თავი დაიცვათ. შესაძლოა, განმარტოების სურვილი გაგიჩნდეთ, რაც საყვარელი ადამიანის უკმაყოფილებას გამოიწვევს.

**მერწყული** (20.01-18.02)
თქვენი აქტიურობა მიმართული იქნება ოჯახის კეთილდღეობისა და მატერიალური სტაბილურობისკენ. ეცადეთ, განწყობის ცვალებადობა გარშემო მყოფთათვის შესამჩნევი არ გახდეს და თავის მართლება არ მოგიწიოთ. ნაცნობთა წრე გააფართოვეთ, საჭირო ინფორმაციები მიიღეთ და გამოიყენეთ ისინი მიზნების მისაღწევად. შეყვარებულთან გულახდილობა თქვენს ურთიერთობას გააუმჯობესებს. მოგზაურობა-მივლინებებმა კი შესაძლოა, თქვენი მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილოს.

**თევზები** (19.02-20.03)
ენერგიის მოზღვავება ძველი საქმეების სწრაფად დასრულებაში დაგეხმარებათ. შემოსავლები იმატებს, თუმცა, ჯობს, ფული დაზოგოთ, რათა სანუკვარი ოცნების ასრულება შეძლოთ. თქვენი მომხიბვლელობის წყალობით არაერთ თაყვანისმცემელს შეიძენთ და, შესაძლოა, ახალი სასიყვარულო ურთიერთობაც დაიწყოთ. უცხოელებთან ურთიერთობა და დამატებითი ცოდნის მიღება მომავლის კარს გახსნის. ახლო მანძილზე გადაადგილებები კი დიდხანს გემახსოვრებათ.

**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია**
**20, 22 და 25 ივნისი**

**4 ივნისი – სავსემთვარეობა, პიკი – 07.44 საათზე.**
**18 ივნისი – ახალმთვარეობა, პიკი 08.39 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 19 ივნისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 20.39 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 05.56 საათზე, ჩადის 22.11 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 05.02 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს იმატებს მოწამვლისა და მოტყუების ალბათობა. საჭმელ-სასმლის ხარისხი გააკონტროლეთ და მხოლოდ კარგად ნაფიქრ საქმეს მოჰკიდეთ ხელი, ახალი გეგმები არავის არ გაანდოთ. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ხალხური შემოქმედების ნიმუშების, ანტიკვარიატისა და ტექნიკის შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, მარჯანი, აქატი, ოპალი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 20 ივნისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 20.39 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 06.54 საათზე, ჩადის 22.53 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 06.06 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა.** **ტენდენციები:** დღეს წვრილმანს ყურადღება მიაქციეთ. მაღალია შეყვარებულთან კონფლიქტის ალბათობა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ანტიკვარიატის, ხალხური შემოქმედების ნიმუშების, ცხოველების შესაძენად, ვაჭრობისთვის, ფსიქოლოგთან კონსულტაციისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, დასუფთავებისთვის. ამავდროულად, მოჭარბებულმა ენერგიამ, შესაძლოა, უკონტროლო ემოციები გამოიწვიოს. გამახვილებულია ამბიციურობა, ამპარტავნობა, ეჭვიანობა. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა, ხელმოწერამდე საბუთები კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, რაუხტოპაზი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 21 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (18.59) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.27 საათზე, ჩადის 20.39 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.50) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 08.59 საათზე, ჩადის 23.34 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 07.19 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.43 საათიდან 01.50 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ზაფხულის მზებუდობის საკრალურ დღეს მზე გადაინაცვლებს ტყუპიდან კირჩხიბის ზოდიაქოში და გაამახვილებს გულწრფელობას, მოთმინებას, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობას, პატრიოტულ სულისკვეთებას და ასევე, სენტიმენტალურობას, მეოცნებეობას და ჭირვეულობასაც. დღეს პოზიტიურად განეწყვეთ, ილოცეთ, ყველა დალოცეთ და ყველას მიუტევეთ. სურვილები ჩაუთქვით, რამე კარგი გააკეთეთ. მოერიდეთ ინტრიგებს, ნერვიულობას, ალკოჰოლისა და ხორცეული პროდუქტის მიღებას. კარგი დღეა ახალი სამსახურის დასაწყებად, ძვირფასი ნივთებისა და საჩუქრების შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის. არ არის სასურველი ფიზიკური გადაღლა, ქორწინება, ბინის შეცვლა, ფინანსური გარიგება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სერდოლიკი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის.

## 22 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.27 საათზე, ჩადის 20.39 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 10.02 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 08.47 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 21.01 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა.** **ტენდენციები:** დღეს შესაძლოა, ძალაუფლებისა და პირველობისთვის ბრძოლამ მეტად ულმობელი სახე მიიღოს. მოერიდეთ ექსპერიმენტებს, გადაღლას, სიმძიმის აწევას. გულს გაუფრთხილდით, სასიკეთო იქნება მხედველობისა და ნერვული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა ახალი სამსახურის დასაწყებად, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, საჩუქრებისა და ძვირფასი ნივთების შესაძენად, იურიდიული საქმეებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, სოლარიუმში ვიზიტი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, სარდიონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 23 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.27 საათზე, ჩადის 20.40 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (14.14) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 11.04 საათზე, ჩადის 24 ივნისს 00.17 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 09.55 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 14.14 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროგაყვანილობისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების მიმართ. მაღალია ხანძრის გაჩენის ალბათობა, ამავდროულად, სურვილის ჩათქმის დღეა. მაღალია აღიარების სურვილიც. ურთიერთობისას მოერიდეთ აგრესიულობას, პირდაპირობას, მეწვრილმანეობას. კარგი დღეა ახალი სამსახურის დასაწყებად, იურიდიული საქმეებისთვის, გასართობი ღონისძიებებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ძვირფასი ნივთებისა და საჩუქრების შესაძენად. არ არის სასურველი სიმძიმის აწევა, ნერვიულობა, ქორწინება, ფინანსური გარიგება, ფიზიკური გადაღლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი, ნაწლავები, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა. **საღამოს** მალაქიტი, ყვითელი და მწვანე იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

## 24 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.28 საათზე, ჩადის 20.40 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 12.06 საათზე, ჩადის 25 ივნისს 00.38 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 11.11 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ნუ გადაიღლებით. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, სწავლისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, საბუთებისა და კარადების მოწესრიგებისა და დალაგებისთვის, მედიკამენტებისა და ჰიგიენისთვის აუცილებელი ნივთიების შესაძენად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ემოციურობა, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი ნაცნობობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის.

## 25 ივნისი, კვირა

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.28 საათზე, ჩადის 20.40 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 13.07 საათზე, ჩადის 26 ივნისს 00.57 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 12.27 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა.** **ტენდენციები:** დღეს უსაფრთხოების წესები დაიცავით, ტრავმულ-ავარიული დღეა. ზედმეტ საკვებს ნუ მიიღებთ და ხარისხიც გააკონტროლეთ, მოერიდეთ საქმის გარჩევას, აგრესიის გამოვლენას. კარგი დღეა საფინანსო ოპერაციებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, სწავლისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, დიეტის დასაწყებად. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, გარისკვა, ახალი ნაცნობობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, აქატი, ოპალი, მალაქიტი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.















### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. დავითნი; 7. ფედრა; 12. სტელაჟი; 13. ლონგე; 14. ჯავშანი; 15. ზუალი; 16. დრაკონი; 17. ბაბუა; 18. ინტრიგა; 22. კრეტა; 23. წიწილა; 26. ბროლი; 27. ალიტალია; 28. ლიმა; 30. მარაბდა; 31. სიქა; 33. კილოკავი; 37. ტორტი; 38. კაპიკი; 41. ნეკროლოგი; 42. პოლიცია; 44. ლიტავრა; 45. ამერიკაში; 49. პირანია; 52. ბადიში; 55. ტრილოგია; 57. კაბინა; 59. ტანტალი; 60. რაუნდი; 61. ფონეტიკა; 62. ლავანდა; 63. დომინო; 64. კინომანია.

შვეულად: 1. დიჯეი; 2. ვივატ; 3. თვალი; 4. ისიდა; 5. სევანი; 6. ჩაროზი; 7. ფიზიკა; 8. დიაბეტი; 9. ალიბაბა; 10. ანაბიოზი; 11. კერამიკა; 19. ნოლტი; 20. რეტრო; 21. გულია; 23. წამი; 24. წირვა; 25. ლიბრი; 28. ლატი; 29. მარგო; 31. სიტი; 32. ქათიბი; 33. კონკა; 34. ლაკმე; 35. კროსი; 36. ვიოლა; 38. კილი; 39. პიტნა; 40. კევრი; 42. პაპი; 43. ლორკა; 46. მურტალო; 47. როლანდი; 48. შტატივი; 50. ნეი; 51. ალაბამა; 52. ბანანი; 53. დრამა; 54. შტიფტი; 56. გრილო; 57. კონტო; 58. ბუტია.

**სანტიმეტრიკაბალატონიკითარაზოგანდივანილინი**
**პენტაგონიერიქათიბისიროკოკობალტიმორიელიავა**

| სიგრძის საზომი ერთეული | მონური დამოკი-დებულება | უალკოჰოლო გაზიანი სასმელი | ვატერპასი | ინდირა ... | ვანილის სუროგატი |
|---|---|---|---|---|---|

| ფერმწერ რაფაელის გვარი | დაბადების მოწმობა | ტბა უნგრეთში | ძვ. ბერძნული სიმებიანი საკრავი | აქა-იქ, ანუ | რბილი ავეჯი | ამერიკელი რეჟისორი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. საეკლესიო საგალობელთა (ფსალმუნთა) წიგნი; 7. ჟ. რასინის დრამა; 12. რამდენიმე სართულად გამართული თაროები; 13. ძველი ბერძენი მწერალი; 14. მეომრების ლითონის სამოსელი (ძვ.); 15. პლანეტა სატურნის ძველქართული სახელწოდება; 16. გველეშაპი; 17. მშობლის მამა; 18. ფარული საძრახისი მოქმედება, ხრიკები რაიმეს მიზნის მისაღწევად; 22. საბერძნეთის კუნძული; 23. ახლად გამოჩეკილი ქათამი; 26. მაღალი ხარისხის მინა; 27. იტალიური საავიაციო კომპანია; 28. მოდელი ადრიანა ...; 30. არსენას მშობლიური სოფელი; 31. ძალა, არაქათი; 33. ამა თუ იმ ენის უფრო მცირე ერთეული; 37. „სადღესასწაულო" ნამცხვარი; 38. საბჭოური მანეთის მეასედი; 41. სტატია ვისამე გარდაცვალების შესახებ; 42. სამართალდამცავი ორგანო; 44. სარტყმელი მუსიკალური საკრავი; 45. ამერიკული ფილმი — „ერთხელ ...; 49. მტაცებელი თევზის სახეობა; 52. შვილიშვილი; 55. ერთი დედააზრით გაერთიანებული სამი ლიტერატურული ნაწარმოები; 57. მძღოლის სათავსი ავტომობილში; 59. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 60. 2-3 წუთი კრივში; 61. ენათმეცნიერების ნაწილი (სწავლობს ბგერით შემადგენლობას); 62. ერთგვარი ყვავილი; 63. სამაგიდო თამაში; 64. კინოს დიდი სიყვარული.

შვეულად: 1. დისკ-ჟოკეი კლუბებში, უკრავს მუსიკას; 2. წამოძახილი: გაუმარჯოს! 3. მხედველობის ორგანო; 4. ნაყოფიერობის ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. ტბა სომხეთში; 6. დესერტი (ზოგად.); 7. მეცნიერების დარგი; 8. შაქრის დაავადება; 9. აღმოსავლური ზღაპრის პერსონაჟი; 10. სასიცოცხლო პროცესების დროებითი შენელება ორგანიზმში; 11. გამომწვარი თიხის ნაკეთობანი; 19. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 20. სიტყვის ნაწილი, ნიშნავს „უკან"; 21. აფხაზი მწერალი; 23. წუთის 1/60 ნაწილი; 24. მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება; 25. ბისტი თვალზე; 28. ლატვიის ვალუტა; 29. ა. დიუმა — „დედოფალი ..."; 31. ლონდონის საქმიანი ცენტრი; 32. ქალის ზედა ბეწვმოვლებული წამოსასხამი; 33. ტრამვაის წინამორბედი; 34. დელიბის ოპერა; 35. სპორტული სირბილი; 36. ვიოლინოს წინაპარი; 38. მცირე ნაკლი; 39. ეთერზეთოვანი მცენარე; 40. პურეულის სალეწი იარაღი ძველად; 42. კათოლიკური ეკლესიის მეთაური; 43. ესპანელი მწერალი ფედერიკო გარსია ...; 46. კუკარაჩას მკვლელი; 47. ძველი ფრანგული ეპოსის მთავარი გმირი; 48. დასაკეცი სამფეხი რაიმე აპარატების ზედ დასამაგრებლად; 50. ნაპოლეონის მარშალი; 51. აშშ-ის შტატი; 52. ტროპიკული ხილი; 53. სცენაზე დასადგმელად განკუთვნილი ლიტერატურული ნაწარმოები; 54. რაიმე დეტალების უძრავად შესაერთებელი წკირი; 56. მზეს მოფარებული ადგილი, ჩრდილი; 57. ანგარიში (ფინანს.); 58. ვინც ხშირად იბუტება.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| აშშ-ის სამხედრო უწყება | ძახილი საშველად | ყაჯირი | სტილი არქიტექტურაში | ქალაქი აშშ-ში | მსახიობი ლია .... |
|---|---|---|---|---|---|

| რთულ სიტყვებში ნიშნავს ხუთს | ჭკვიანი | ქალის ზედა ტანსაცმელი | ცხელი ქარი სამხრეთ ევროპაში | ქიმიური ელემენტი, ლითონი | ზოდიაქოს ნიშანი | ... გარდნერი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზოგადრეიტინგული

ასავალ დასავალი

2023 წლის 19 — 25 ივნისი №28 (1492)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი"**.

ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;

„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**


